პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეათე წელი

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 65, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე კვირა-უქმეების დღის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 54, ტელეფონი № 8—31.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

- საფრანგეთში და ავსტრიაში გაიმართა ანტიფაშისტური მუშათა მასიური დემონსტრაციები
- პოლონეთის მონარქისტებმა გამოუშვეს მოწოდება, რომელშიაც მოითხოვენ პოლონეთში მონარქიული წესწყობილების დამყარებას
- საბჭოთა კავშირის 1929—30 წ. მთლიანი ბიუჯეტის პროექტი
- საბჭოთა კავშირში ჩამოსულ უცხოეთის მუშათა დელეგატების განცხადება

ხუთშაბათი, 14 ნოემბერი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 262 (2608)

ვემზადოთ გაცხოველებული ტემპით

სოციალისტური რეკონსტრუქციის მიმდინარე პერიოდში, როცა ჩვენს წინაშე მთელი თავისი სიმწვავით სდგას მუშაობის ტემპის გაათკეცების და შრომის ახალი, გაუმჯობესებული მეთოდების განმტკიცების საკითხი, როცა კლასობრივი ბრძოლა სოფლად და ქალაქად უფრო და უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს, საბჭოთა აპარატის გაჯანსაღება - გაუმჯობესების ამოცანა ერთ-ერთ მთავარ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. ამ მიზნით აპარატის გაწმენდას პოლიტიკურად მტრულ და კვალიფიციურად უვარგის ელემენტებისაგან უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა. ჩვენი მიზანია გარდავქმნათ საბჭოთა აპარატი ისე, რომ ის მაქსიმალურად იქნას შეთანხმებული სოციალისტური მშენებლობის ახალ ამოცანათა პრაქტიკულად გადაწყვეტასთან. ეს კი უმთავრესად შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გავცხრილავთ სახელმწიფო მმართველობის მანქანის ყოველ შემადგენელ ნაწილს ისეთი ელემენტებისაგან, რომელნიც აბრკოლებენ ამ მანქანის ნორმალურ მუშაობას და მის შემდგომ გაშლა-განვითარებას ჩვენი პირობების მოთხოვნილებასთან შესაფერისად.

სამზადისი პარტიის წმენდისათვის უკვე საკმაოდ დიდი ხანია დაიწყო, მაგრამ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ შედეგები ამ მხრივ ჯერ-ჯერობით დამაკმაყოფილებელი არაა და ეს იმიტომ, რომ მუშაობა საბჭოთა აპარატის შემოწმების მოსამზადებლად მეტად სუსტად მიმდინარეობს. ასეთია ის დასკვნა, რომელსაც იძლევა თავის სპეციალურ დადგენილებაში ამ საკითხზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური საკონტროლო კომისია. „**სახელმწიფო აპარატის წმენდის მოსამზადებელი მუშაობა**, ვკითხულობთ ჩვენ აღნიშნულ დადგენილებაში, **მეტად სუსტად და არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს**".

ასეთი არანორმალური მდგომარეობის მიზეზები უმთავრესად იმაში უნდა ვეძებოთ, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფესიონალური და კომკავშირული ორგანიზაციები უმეტეს შემთხვევაში თავიდანვე სათანადო აქტივობით ვერ გამოეხმაურენ პარტიისა და ხელისუფლების ორგანოების მითითებებს საბჭოთა აპარატის წმენდისათვის მოსამზადებელი მუშაობის დაწყების შესახებ.

საბჭოთა აპარატის წმენდის წარმატებით ჩატარების ერთ-ერთი მთავარი საწინდარია მასების აქტიური მონაწილეობა ამ საქმეში. ადგილობრივ ორგანოების საქმიანობა მასების ორგანიზაციულად დარაზმვისათვის საბჭოთა აპარატის წმენდის მოსამზადებელ მუშაობაში მეტად მოდუნებულია. წარმოება - დაწესებულებები ჯერ კიდევ არ გაშლილა ამ მიმართულებით მასების ინიციატივა და აქტიობა. უმეტეს შემთხვევაში ადგილობრივი ორგანიზაციები დაკმაყოფილდნენ მოვალეობის ფორმალურად შესრულებით. გაკეთდა შესაფერი მოხსენებები. დაარსდა წმენდისათვის ხელის შემწყობი კომისიები, დაიწერა შენიშვნები ადგილობრივ კედლის გაზეთებში და საქმეც ამის იქით არ დაძრულა. ცხადია, თუ ასეთი მდგომარეობა ძირფესვიანად არ შეიცვალა, აპარატის წმენდა ვერ მოგვცემს იმ ნაყოფს, რომელსაც მისგან მოველით. საჭიროა დაუყოვნებლივ მოხდეს საფუძვლიანი გარდატეხა. თუ დღემდე ადგილობრივი ორგანიზაციები უმოქმედობას აპარატის წმენდისათვის სამზადისის საქმეში იმით ხსნიდნენ, რომ ამ მუშაობას ხელს უშლიდა პარტიის წმენდა, დღეს ასეთი, ისედაც მიუღებელი არგუმენტი, აღარავის გამოადგება. პარტიის წმენდა უკვე დასასრულს მიუახლოვდა. მთელი ძალღონე უნდა გადატანილ იქნას აპარატის შემოწმების სამზადისის გაცხოველებისათვის. პირობები ამისათვის მეტად ხელსაყრელია.

ჩვენ ვიცით, თუ რამდენად დაინტერესებულია წმენდის საკითხით, პირველ ყოვლისა, თვით საბჭოთა აპარატის მუშაკები. უდიდეს ყურადღებას იჩენენ ამ საკითხისადმი მუშათა მასები. საჭიროა ასეთი აქტიობის რაც შეიძლება მთლიანად გამოყენება, როგორც ყოველთვის, თაოსნობა ამ საქმეში უნდა გამოიჩინონ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებმა, მათი ხელმძღვანელობით უნდა ამოძრავდნენ პროფესიონალური კავშირები და კომუნისტური ახალგაზრდობის ორგანიზაციები.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა აპარატის წმენდა მიზნად ისახავს არა მარტო მტრულ და უვარგის ელემენტების განდევნას ჩვენი დაწესებულების კედლებიდან, არამედ აპარატის მთელი მუშაობის სისტემის საფუძვლიან შემოწმებასაც. ამავე დროს აპარატის წმენდა განსაკუთრებული სიმწვავით აყენებს მუშაკთა ახალი კადრების წამოყენება - მომზადების საკითხს. ყოველივე ეს კი მოითხოვს ენერგიულ წინასწარ სამზადისს. ჩვენმა ადგილობრივ ორგანიზაციებმა ბევრ შემთხვევაში ამას სათანადო ანგარიში ვერ გაუწიეს. ამით უნდა ავხსნათ, რომ, მაგალითად, თბილისში აპარატის შემოწმება ვერ დაიწყო მიმდინარე წლის პირველ ნოემბრიდან, როგორც ეს წინასწარ იყო განზრახული. თბილისის საოლქო გამწმენდ კომისიამ ვერ გამოიჩინა საჭირო უნარი მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად. ასეთივე სურათია მთელ რიგ ცალკე დიდ დაწესებულებებში, როგორც თბილისში, ისე სხვაგანაც.

ეს გაკვეთილი მთლიანად უნდა იქნას გამოყენებული, წმენდის დაწყებამდე სულ ცოტა დრო დარჩა. საქმის გადადება ყოვლად მიუტევებელ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს. საჭიროა ძალთა უდიდესი მობილიზაცია საბჭოთა აპარატის წმენდის მოსამზადებელი მუშაობის გაცხოველებისათვის. ჩვენი მიზანია გადავახალისოთ და გავაუმჯობესოთ საბჭოთა აპარატი, ამას დაჟინებით მოითხოვენ სოციალისტური მშენებლობის შემდგომი წარმატებით განვითარების ინტერესები. ადგილობრივი ორგანიზაციები უნდა გაიმსჭვალონ ამ შეგნებით და აქედან სათანადო პრაქტიკული დასკვნა უნდა გააკეთონ. საბჭოთა აპარატის წმენდა უნდა გადაიქცეს მორიგ უძლიერეს მასიურ კამპანიად.

შემდგომი სამეურნეო წარმატებებისაკენ

განვლილი სამეურნეო წელი საბჭოთა მეურნეობის განვითარებაში რამდენადმე გადამწყვეტ წელს წარმოადგენს. საბჭ. მეურნეობის მშენებელნი და მთელი მუშათა კლასი ენერგიულად შეუდგნენ რეკონსტრუქციის ამოცანების გადაწყვეტას და არსებულ ძალებს და რესურსებს საბჭოთა მშენებლობის გამოცდილების და პრაქტიკის ნიადაგზე უფარდებდენ ჩვენი ქვეყნის სრული ტეხნიკური და სოციალური რეკონსტრუქციის ახალ გიგანტურ ამოცანებს. ინდუსტრიამ—ამ გასაღებმა მთელი სახალხო მეურნეობის აღორძინებისა და განვითარების დაჩქარებისათვის, მასთან სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარებისათვის,—საგრძნობი ნაბიჯები გადასდგა წინ. საბჭოთა კავშირის ლითონის ბაზა განმტკიცდა, რაც უზრუნველჰყოფს ჩვენი ქვეყნის, როგორც სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის, დამოუკიდებლობას. განვლილი წელიწადი არის ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის თვალსაჩინო გამტკიცების წელიწადი.

ამ წარმატებებს მივაღწიეთ იმიტომ, რომ მუშათა კლასი ფართო ფრონტით ჩაება სოციალისტურ მშენებლობაში, რომ მისი აქტიობა არაჩვეულებრივად გაიზარდა, რომ შეუჩერებლად იზრდებოდა მისი კულტურულ-ყოფაცხოვრებითი და მატერიალური დონე. ფართოდ გაშლილმა თვითკრიტიკამ და სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომლებიც უფრო და უფრო მეტ მუშათა მასებს იზიდავენ, გამოიწვიეს ინდუსტრიის ასეთი საგრძნობი განმტკიცება და მისი ხელმძღვანელი როლის ზრდა მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებასა და გარდაქმნაში.

მაგრამ ჭეშმარიტად მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ პარტია და მუშათა კლასი განვლილ წელს უშუალოდ მიუდგნენ სოფლის კოლექტივიზაციის ამოცანას, წვრილი და უწვრილესი გლეხური მეურნეობის ძირიან - ფესვიანად გარდაქმნის ამოცანას. კოლექტიური ფერმების სწრაფი ტემპით ზრდა სოფლის მეურნეობაში, ამ დარგში დასახული გეგმების საგრძნობლად გადაჭარბება ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშანია განვლილი წლისათვის. კოლექტივიზაციაში ებმებოდნენ არა მარტო ღარიბ, არამედ საშუალო გლეხთა მასები. საწარმოო კავშირის ზრდის და კოლექტივიზაციის პროცესების გაშლის ნიადაგზე მაგრდება კავშირი მუშათა კლასსა და გლეხობას შორის.

განვლილი სამეურნეო წელი სრულ საფუძველს გვაძლევს გამოვიყვანოთ შემდეგი დასკვნები: პირველი—საბჭოთა მშენებლობის გამოცდილებამ დაამტკიცა ხუთწლიანი გეგმის სრული რეალობა. ხუთწლიანი გეგმა ბოლშევიკების ფანტაზია არ არის, როგორც ამას ამტკიცებენ კლასობრივი მტრები და მათ ბანს აძლევენ ყველა ჯურის ოპორტუნისტები, ის არის ჩვენი მეურნეობისათვის სოციალისტური ბაზისის შექმნის რეალური გეგმა, გეგმა, რომელიც უეჭველად შესრულდება უფრო მოკლე დროის განმავლობაში. მეორე—განვლილი სამეურნეო წელი სრულ უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ არა მარტო ხუთწლიანი გეგმის სრულ რეალობაზე, არამედ მასში დასახული ტემპების საგრძნობლად დაჩქარების შესაძლებლობაზე. ჩვენ გვაქვს გარდატეხა საბჭოთა მშენებლობის განვითარებაში, განვითარების ყველა ტემპების დაჩქარების დასაწყისი. საბჭოთა კავშირი შევიდა თავისი განვითარების დაჩქარების პერიოდში. პარტიის ბოლშევიკურად ნაცადი ხაზის მეოხებით ხორციელდება ის, რაც ლენინმა ჯერ კიდევ 1922 წელს სთქვა განვითარების ისეთ დაჩქარებაზე, რომელზედაც „ჩვენ ეხლა ოცნებაც კი არ შეგვიძლია".

მაგრამ სამეურნეო წარმატებების ანალიზი სწორი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ, რომ ისინი მიღწეულ იქნენ მშენებლობის ორი გეგმის, ორი პოლიტიკის, ორი პროგრამის შეტაკების და ბრძოლის შედეგად. პარტიის გეგმა წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის მძაფრი და გადაუხრელი ინდუსტრიალიზაციის, მძიმე ინდუსტრიის შეუნელებელი მშენებლობის, რეკონსტრუქციის პერიოდის სიძნელეთა ბოლშევიკურად დაძლევის, სოფლის შეუჩერებელი კოლექტივიზაციის, კაპიტალისტურ ფესვების ამოფხვრისათვის წარმოებული დაჭიმული მუშაობის გეგმას. მემარჯვენე ოპორტუნისტების, მოწუწუნეთა და კაპიტალისტების გეგმა მდგომარეობდა იმაში, რომ უფრო მეტად გაგვედიდებია პურის ფასები, უკან დაგვეხია კულაკური, კაპიტალისტური ელემენტების შეტევის წინაშე და შემოგვეტანა პური საზღვარ-გარეთიდან, რაც ფაქტიურად ნიშნავს მანქანების შემოტანის შემცირებას და რაც გამოიწვევს კაპიტალურ სამუშაოთა გეგმის შემოკლებას. ოპორტუნისტების ხაზი არის ინდუსტრიალიზაციის შენელების ხაზი, სიძნელეთა წინაშე უკან დახევის და პოზიციების კლასობრივი მტრისათვის დათმობის ხაზი.

წარსული წლის სამეურნეო წარმატებებს მივაღწიეთ მემარჯვენე კაპიტალისტების გეგმასთან მეტად მკაცრი, მეტად გადამწყვეტი ბრძოლის შედეგად. მემარჯვენეთა ეს გეგმა, რომელიც გამოხატავს პანიკას კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ფაქტის წინაშე, წვრილ ბურჟუაზიული სტიქიის და კულაკების გავლენას მუშათა კლასის და ჩვენი პარტიის ცალკე ელემენტებზე, სავსებით დამარცხდა ცხოვრებამ.

ჩვენი პარტია, ემყარება რა განვლილი წლის გადამწყვეტ მიღწევებს, მრეწველობის ხვედრითი წონის გადიდებას, მისი ხელმძღვანელი როლის განმტკიცებას და გარემოებას, მიმდინარე წლისათვის ითვალისწინებს უფრო ფართო და ღრმა სოციალისტური შეტევის გეგმას.

არა ერთხელ იყო მოყვანილი მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ზრდის ციფრები, რომლებიც მიმდინარე წლისათვის არიან დასახულნი. ჩვენ აქ მხოლოდ გავიხსენებთ, რომ კაპიტალურ დაბანდებათა თვალსაჩინო ზრდის შედეგად (13 მილიარ. მ. ნაცვლად 8,6 მილიარდისა, 1928—29 წ. და 10,2 მილიარდი ხუთწლიანი გეგმით), სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდების ზრდის შედეგად, დასახულია მრეწველობის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის საგრძნობლად გაზრდა. კერძოდ და განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიამ უდიდესი ნაბიჯი უნდა გადასდგას წინ, მან პროდუქცია უნდა გაადიდოს თითქმის 1 ნახ.-ჯერ განვლილ წელთან შედარებით. ცალკე უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის ზრდა, რომელსაც განიცდის სასოფლო-სამეურნეო მანქანათ მშენებლობა. ახალი ქარხნების მშენებლობამ და სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებათა ბუმბერაზულმა ზრდამ შესაძლებელი გახადა უკვე მიმდინარე წელს გადაისინჯოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათ-მშენებლობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა და ეს გეგმა გადიდებულ იქნას თითქმის ერთი ორად, 600 მილიონი მანეთიდან 1.000 მილიონ მანეთამდე. ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მრეწველობა ამგვარად უფრო და უფრო მეტ საშუალებას გვაძლევს წვრილი გლეხური მეურნეობის ძირიან ფესვიანად გარდაქმნისათვის.

შემდეგ, საკონტროლო ციფრებში უფრო გადაჭრით უნდა დაისვას ტრანსპორტის და გზების პრობლემა. სატრანსპორტო სიძნელეთა განვლილი თვეები მოწმობენ, რომ ტრანსპორტი შეიძლება გადაიქცეს იმ ვიწრო ადგილად, რომელიც დააბრკოლებს მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებას, თუ კი დაუყოვნებლივ არ გაძლიერდება ყურადღება მუშაობის ამ ფრონტისადმი, თუ კი არ გადიდდება კაპიტალური მშენებლობა ტრანსპორტზე და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება წელს უნდა მიექცეს მუშაობის ხარისხობრივ მხარეს. აქაც, მუშაობის ხარისხის საქმეში საჭიროა ტემპების დაჩქარება. ჩვენ არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ თვითღირებულების მხოლოდ ხუთი პროცენტით შემცირებით. თვითღირებულების შემცირება საკონტროლო ციფრებში დასახულია 11 პროცენტით. საგრძნობლად უნდა გაიზარდოს აგრეთვე შრომის ნაყოფიერება. კაპიტალური მშენებლობის და ტეხნიკური რეკონსტრუქციის ახლანდელი მოცულობის დროს შრომის ნაყოფიერების 25 პროცენტით გადიდება სავსებით რეალური ციფრია. მაგრამ შრომის ნაყოფიერების ასე საგრძნობლად გადიდება ადასტურებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასის მატერიალური და კულტურული დონის უფრო აჩქარებულად აწევას. და ჩვენ მოვალენი ვართ 12 პროცენტზე არა ნაკლებ გავადიდოთ რეალური სამუშაო ხელფასი. მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ დიდი ენერგია უნდა გამოვიჩინოთ ფასების შემცირების, მომარაგების გაუმჯობესების და სხვ. საქმეში. პროფესიონალური კავშირები ვალდებულნი არიან უფრო გადაჭრით მოახდინონ გარდატეხა თავიანთ მუშაობაში იმ მხრივ, რომ მეტი ყურადღება მიაქციონ წარმოებას.

დაბოლოს, ჩვენს წინაშე სდგას უმნიშვნელოვანესი და უმწვავესი პრობლემა — კადრების პრობლემა, ტეხნიკური განათლების პრობლემა, მუშათა და გლეხთა ფართო მასებისათვის. კულტურული სამსახურის გაწევის პრობლემა. მუშაობის ეს ფრონტი საგრძნობლად ჩამორჩა. ამავე დროს კი ქალაქისა და სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქცია შეიძლება წარმატებით წავსწიოთ წინ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადავსწყვეტთ ამ პრობლემას. ამიტომ მიმდინარე წლის უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს გადამწყვეტი გარდატეხის მიღწევა მშენებელთა ახალი კადრების დაწინაურების და აღზრდის საქმეში. გარდატეხას უნდა მივაღწიოთ აგრეთვე იმ მხრივ, რომ დაჩქარდეს ტემპები ამ საქმეში, რომ სოციალ-კულტურული მუშაობის ფრონტი გამოვასწოროთ სამეურნეო მშენებლობის მოთხოვნილებებთან შეფარდებით.

პარტიის ამოცანად კვლავ რჩება სოფლის მეურნეობის განვითარების ყოველგვარი საშუალებით დაჩქარება. თუმცა უკანასკნელ წელს დასახულ იქნა სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარება, მაგრამ იგი აშკარად არ არის საკმაო, არ შეეფერება სახალხო მეურნეობის საჭიროებებს. პარტიამ დიდ წარმატებებს მიაღწია მარცვლეული მეურნეობის დარგში. მაგრამ აქ უნდა მივაღწიოთ განვითარების ტემპების შემდგომ დაჩქარებას. სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარება კი ორგანიულად უკავშირდება კოლექტივიზაციის უფრო მეტად გაშლას, მუშაობის უფრო მეტად გაფართოებას კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის საქმეში. გლეხურ მეურნეობას ამჟამად ყველაზე მეტად აწუხებს ტრაქტორებისა და რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანების ნაკლებობა. ამიტომ გეგმით ნავარაუდევი ზრდა ინდუსტრიისა და განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო მანქანათ-მშენებლობის ზრდა წარმოადგენს იმის საწინდარს, რომ საგრძნობლად დაჩქარდება სოფლის მეურნეობის ყველა დარგების განვითარება. კერძოთ, პარტიის წინაშე მთელი სიმწვავით სდგება ამჟამად ის ამოცანა, რომ მესაქონლეობის განვითარების დარგში მიღწეულ იქნას გადამწყვეტი გარდატეხა.

თუმცა სამეურნეო ზრდის გეგმა, დასახული მიმდინარე წლისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის განმტკიცების გეგმა, მეტად დაჭიმულ გეგმას წარმოადგენს, მაგრამ იგი მაინც სავსებით რეალურია. სოციალისტური მშენებლობის ხასიათი, თავისებურებანი და უპირატესობანი იმის საწინდარია, რომ განვითარების ტემპების დასახული თვალსაჩინო დაჩქარება როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში, ნამდვილად განხორციელდება. საბჭოთა სისტემა აამჟღავნებს ახალ და ახალ რეზერვებს, რომლებიც ებმებიან სოციალიზმისათვის ბრძოლაში. სოციალისტური მშენებლობის ძირითად გადამწყვეტ რეზერვს შეადგენს მუშათა კლასის აქტიობა, მისი შეგნებისა და სოციალისტურ მშენებლობაში მონაწილეობის ზრდა. მუშათა კლასის აქტიობამ არა ერთხელ მოახდინა სასწაული. მან ახლა თვალსაჩინოდ და საგრძნობლად იჩინა თავი მშენებლობის ყველა დარგში, ფასების შემცირების, შრომის ნაყოფიერების გადიდების და სხვა დარგებში. გეზი მუშათა კლასზე, მისი უფრო მეტად ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში, მისი თვითკრიტიკის შემდგომი გაფართოება, მისი შეგნების ზრდა—ჩვენი პარტიის ძირითად ამოცანას შეადგენს. და სწორედ ამიტომ ჩვენი პარტია, გამობრძმედილი მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნიზმთან ბრძოლებში, ძლევამოსილად წაიყვანს წინ ჩვენს ქვეყანას და გადალახავს ყველა დაბრკოლებებს, რომლებიც მას გადაეღობებიან ამ გზაზე.

„პრავდა" (გადმოცემულია ტელეგრაფით)

ინგლისის მთავრობამ დანიშნა ელჩი მოსკოვში

განზრახულია აგრეთვე სავაჭრო წარმომადგენლის დანიშვნა საბჭოთა კავშირში

ჩან-ფაი-გუიმ დაამარცხა ნანკინის ჯარები და აიღო ქალაქი უჩჟოუ

ამერიკის მთავრობამ აცნობა ჩინეთს, რომ ექსტერიტორიალური უფლებები ძალაში რჩება

ინგლისის ელჩის დანიშვნა მოსკოვში

ელჩად დაინიშნა ესმონდ ოვეი

ლონდონი, 12 ნოემბერი. ინგლისის ელჩად მოსკოვში დაინიშნა ესმონდ ოვეი.

ოვეი დაიბადა 1876 წელს. იგი 26 წელიწადია, რაც ინგლისის დიპლომატიურ სამსახურში იმყოფება. უკანასკნელ დროს ესმონდ ოვეი მექსიკაში იყო ინგლისის ელჩად.

1900 წელს მან იმოგზაურა მოსკოვსა, კავკასიასა და ყირიმში. (ადს).

შეკითხვა თემთა პალატაში

ლონდონი, 13 ნოემბერი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, კონსერვატიული პარტიის წევრი ო. ნეილი თემთა პალატაში ჰენდერსონს შეეკითხა — განზრახვა აქვს თუ არა ინგლისის მთავრობას, საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შემდეგ, მოითხოვოს, რომ მოწესრიგებულ იქნეს რუსეთის მთავრობის ომის წინა დროინდელი ვალდებულებანი რუსეთის ფასიანი ქაღალდების კერძო პატრონთა მიმართ ინგლისში.

ჰენდერსონმა უპასუხა, რომ ოქტომბერში დადებული ოქმი სხვა საკითხებთან ერთად, რომლებიც მოწესრიგებულ უნდა იქნას ორივე მთავრობას შორის, ითვალისწინებს პრეტენზიებს და კონტრ - პრეტენზიებს, აგრეთვე ამ პრეტენზიებთან და კონტრ - პრეტენზიებთან დაკავშირებულ ფინანსიურ საკითხებს (ადს).

სმიტის შეკითხვა

ლონდონი, 13 ნოემბერი. თემთა პალატაში მუშათა პარტიის დეპუტატი **სმიტი** შეეკითხა ვაჭრობის მინისტრს — ხომ არ ფიქრობს იგი ახლო მომავალში დანიშნოს ინგლისის სავაჭრო წარმომადგენელი მოსკოვში.

ვაჭრობის მინისტრის ამხანაგმა ჯილეტმა უპასუხა, რომ **სამინისტრო არკვევს საკითხს მოსკოვში სავაჭრო ატაშეს დანიშვნის შესახებ** (ადს).

ნანკინის ჯარების დამარცხება

ჩან ფა-გუის შეტევა

შანხაი, 12 ნოემბერი. რეიტერის ცნობით, გონკონგში უკანასკნელი დღეების განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა ჩინელ ვაჭრებთან დადებულ განრიგებათა რიცხვი, რადგანაც დაჟინებით ამბობენ, რომ უახლოესი სამი კვირის განმავლობაში ჩან ფაგუი კანტონს დაიჭერსო. გუანსის გენერალმა ჩენ ჩი-მომ უღალატა ნანკინის მთავრობას: ის ჩან ფა-გუის მიემხრო და ამით მეტად გააძლიერა ჩან ფაგუის გამარჯვების შანსები. (ადს)

ჩან ფა-გუის ჯარებმა უჯოუ დაიჭირეს

პეიპინი, 12 ნოემბერი. პრესის ცნობით, **ჩან-ფა-გუის ჯარის ნაწილებმა გუანსის პროვინციაში დაიჭირეს მნიშვნელოვანი პუნქტი — უჯოუ.**

ნანკინის ჯარი კრიტიკულ მდგომარეობაშია

პეიპინი, 12 ნოემბერი. რეიტერის ცნობით, **ხენანის ფრონტზე ნანკინის ჯარის მდგომარეობა კრიტიკულია. ნანკინის მთავრობამ მნიშვნელოვნად შეასუსტა უხანის დაცვა და ყველა თავისი შეიარაღებული ძალები ხენანის ფრონტზე გაგზავნა.** (ადს).

ხარბინის დოლარი თანდათან ეცემა

პეიპინი, 12 ნოემბერი. ხარბინის დოლარის კურსი თანდათან ეცემა. ამჟამად 100 დოლარი იაპონიის 56 იენს უდრის. (ადს)

იმპერიალისტების პოლიტიკა უცვლელი რჩება

ვაშინგტონი, 13 ნოემბერი. გამოქვეყნდა ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრის ნოტა, რომელიც ნოემბერში გაეგზავნა ჩინეთის მთავრობას. ეს ნოტა წარმოადგენს ჩინეთის იმ ნოტის პასუხს, რომელიც ექსტერიტორიალობის უფლების გაუქმებას მოითხოვდა. ამერიკის მთავრობა თავის პასუხში იმეორებს თავის წინანდელ განცხადებებს იმის შესახებ, რომ **ჩინეთის ახლანდელი მდგომარეობა ხელს არ უწყობს ექსტერიტორიალობის გაუქმებასო.** ნოტა აღნიშნავს, რომ „უკანასკნელ თვეებში მომხდარი ამბები მხოლოდ ადასტურებენ იმ აზრს, რომ პირადი და ქონებრივი უშიშროების იურიდიული და ფიზიკური გარანტიები ჩინეთში ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი". თუმცა ნოტაში პირდაპირ არაფერია ნათქვამი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარ ამბების შესახებ, მაგრამ ვაშინგტონის წრეებში ფიქრობენ, რომ უკანასკნელ ფრაზას სწორედ ეს ამბები აქვს მხედველობაში. (ადს)

ლონდონი, 13 ნოემბერი. როგორც საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, ინგლისსა და ნანკინის მთავრობის შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის ძალითაც 15 ნოემბერს ჩინეთს უნდა დაუბრუნდეს ჯენძიანის კონცესია. ეს კონცესია მდებარეობს ნანკინის აღმოსავლეთით, ამ ქალაქიდან 70 კილომეტრის მანძილზე. (ადს)

ჩინეთ-საბჭოთა საზღვარზე

სროლა საბჭოთა საზღვარზე გრძელდება

ჩიტა, 13 ნოემბერი. 8 ნოემბერს ჩინელმა ჯარისკაცებმა შვეინსიანის რაიონში თოფები და ტყვიამფრქვევლები დაუშინეს ჩვენს სანაპირო რაზმს ოლოჩინსკის სტანიცაში. არიან მოკლულნი და დაჭრილნი სტანიცის მშვიდობიან მცხოვრებთა შორის. ჩვენი საპასუხო სროლის შემდეგ ჩინელმა ჯარისკაცებმა შესწყვიტეს სროლა. (ადს)

ხაბაროვსკი, 13 ნოემბერი. 7, 8 და 9 ნოემბერს ჩინელი ჯარისკაცები პოგრანიჩნაია - პოლტავის რაიონში სისტემატიურად ესროდნენ ჩვენს სანაპირო რაზმს და მშვიდობიან მცხოვრებლებს. ჩვენი სანაპირო რაზმის საპასუხო სროლის შემდეგ ჩინელებმა შესწყვიტეს სროლა. (ადს)

საალყო წესები ხარბინში

ტოკიო, 13 ნოემბერი. 12 ნოემბერს ხარბინში გამოცხადდა საალყო წესები. (ადს)

სუნ ჩუნ-ფანი მესამე არმიის სარდალია

პეიპინი, 12 ნოემბერი. პრესის ცნობით, სუნ ჩუნ-ფანი მუკდენში ჩავიდა. ფიქრობენ, რომ ჩან სიუე-ლიანი მას დანიშნავს ამასწინად სპეციალურად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შედგენილი მე-3 არმიის სარდლად. (ადს)

საბჭოთა მოქალაქეების დაპატიმრება გრძელდება

პეიპინი, 12 ნოემბერი. უკანასკნელი დღეების განმავლობაში ხარბინში დააპატიმრეს 400-ზე მეტი საბჭოთა მოქალაქე (ადს).

სემიონოვი არმიის შექმნას აპირებს

შანხაი, 13 ნოემბერი. ატამანმა სემიონოვმა მუკდენში წინადადება მისცა ჩან სიუე-ლიანს, რომ იგი თეთრგვარდიელთა არმიას შექმნის, რომელიც მუკდენის ჯართან ერთად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იმოქმედებს. (ადს)

შეკითხვა თემთა პალატაში ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის შესახებ

ლონდონი, 12 ნოემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება: თემთა პალატაში მუშათა პარტიის წევრმა კენვორტიმ ჰკითხა საგარეო საქმეთა მინისტრს—შეუძლია თუ არა მას, განცხადება გააკეთოს ჩინეთ საბჭოთა კონფლიქტის შესახებ და აპირებს თუ არა მთავრობა ზომების მიღებას კონფლიქტის მშვიდობიანად მოწესრიგებისათვის. ჰენდერსონმა უპასუხა—ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის მდგომარეობა არ შეცვლილა, საზღვრებზე თავდასხმა გრძელდებაო.

შემდეგ ჰენდერსონმა განაცხადა:

ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აცნობა ინგლისის წარმომადგენელს ნანკინში, რომ ჩინეთის მთავრობას არა აქვს განზრახვა მიმართოს ერთა ლიგას, თუ საბჭოთა მთავრობა ომს არ გამოუცხადებს ან თუ საბჭოთა ჯარი სერიოზულად არ შეიჭრება ჩინეთის ტერიტორიაზეო. დასასრულ, ჰენდერსონმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობას მიზანშეწონილად არ მიაჩნია კონფლიქტში ჩარევა დღევანდელ პირობებშიო. (ადს).

მასიური ანტიფაშისტური დემონსტრაციები

ვენა, 13 ნოემბერი. ავსტრიის რესპუბლიკის დაარსების წლის თავზე გრაცში გაიმართა მასიური ანტიფაშისტური დემონსტრაციები. სოციალ-დემოკრატების დემონსტრაციის საპასუხოდ, ფაშისტებმა გამართეს კონტრ-დემონსტრაციები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ვენიდან და შტირიიდან ჩამოსულმა ფაშისტურმა რაზმებმა. სოციალ - დემოკრატები ურჩევდნენ მუშებს — გვერდი ექციათ ფაშისტური დემონსტრაციებისათვის და მონაწილეობა მიეღოთ ჩირაღდნებით მსვლელობაში. ამისდამიუხედავად, **რამდენიმე ასი მუშა, კომუნისტების ხელმძღვანელობით, დემონსტრაციით შეხვდა ქალაქში შემოსულ ხეიმვერთა რაზმებს. კომკავშირელებმა გაარღვიეს ფაშისტების რიგები. მაშინ პოლიციამ შეუტია მუშებს და რეზინის კეტები და ცივი იარაღი აამოქმედა. დაშავდა რამდენიმე მუშა. მრავალი დააპატიმრეს.**

კუკის რენეგატული განცხადება

ლონდონი, 18 ნოემბერი. მემაღაროეთა ფედერაციის მდივანმა არტურ კუკმა პრესაში გამოაქვეყნა ახალი რენეგატული განცხადება, რომელშიაც სწერს, რომ მემაღაროეთა ფედერაციის ბელადები „მიისწრაფიან მშვიდობიანობისა და მემაღაროეთა კეთილდღეობისაკენ". ამასთან დაკავშირებით, კუკი მოუწოდებს მთავრობის წინადადება ქვა-ნახშირის მრეწველობის საკითხის შესახებ მიღებულ იქნას როგორც პირველი ნაბიჯი იმ მიზნისაკენ, რომლისკენაც მემაღაროენი მიისწრაფვიან. „მთავრობის პირობების უარყოფა, სწერს კუკი,—ნიშნავს ძველი მდგომარეობის გაგრძელებას, გაფიცვების, ლოკაუტების, დეზორგანიზაციისა და სასოწარკვეთილების გაბატონებას. მე დარწმუნებული ვარ, რომ მთელი ერი დაუჭერს მხარს მთავრობას მის მძიმე მუშაობაში". (ადს).

პოლონეთის მონარქისტების მოწოდება

მონარქიულ წესწყობილებაზე ოცნებობენ

ვარშავა, 13 ნოემბერი. პოლონეთის სახელმწიფოს 11 წლის თავის გამო, პოლონეთის მონარქისტულმა ორგანიზაციამ გამოაქვეყნა მოწოდება პილსუდსკისადმი მიმართული ღია ბარათის სახით. **ორგანიზაცია მოითხოვს ახალი კონსტიტუციის გამოცხადებას სეიმის გარეშე და სრული მონარქიის დაარსებამდე რეგენტობის შემოღებას.** მართალია, მოწოდებას კონფისკაცია უყვეს. მაგრამ კონფისკაციის შემდეგ იგი აშკარად ვრცელდებოდა. კონსერვატორთა თათბირზე გამოითქვა ის აზრი, რომ **საჭიროა სეიმის გარეკა და ახალი კონსტიტუციის გამოცხადება.** (ადს)

გლეხთა გამოსვლები

ვარშავა, 13 ნოემბერი. ლვოვის რაიონში განაგრძობენ ცეცხლის წაკიდებას. ცეცხლს უკიდებენ უმთავრესად მემამულეთა სახლ-კარს. (ადს)

გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობა

პარიზი, 13 ნოემბერი. გერმანიის ელჩმა საფრანგეთში ფონ-გეშმა ბრიანთან საუბარის დროს მოითხოვა ჰააგის შეთანხმებათა საჩქაროთ დამთავრება და ჰააგის მეორე კონფერენციის დაუყოვნებლივ მოწვევა. მან აღნიშნა, რომ ჰუგენბერგის ცდა — ჩაშალოს იუნგის გეგმის რატიფიკაცია, მარცხით დამთავრდებაო. **ბრიანმა გადაწყვეტილი უარით უპასუხა და სთქვა, რომ, სანამ პლებისციტის შედეგები არ გამოირკვევა და რეიხსტაგი იუნგის გეგმას არ დაამტკიცებს, ლაპარაკიც კი არ შეიძლება რეინის ოლქის მესამე ზონის ევაკუაციის თუნდაც მარტო მზადების შესახებო.** (ადს)

პარიზის მუშების რევოლიუციონური გამოსვლები

პარიზი, 13 ნოემბერი. 11 ნოემბერს, 1918 წლის დროებითი ზავის (მსოფლიო ომის დროს) წლის თავზე, მუშებმა, პარიზის უბნების მეტ ნაწილში, ნაციონალისტური დემონსტრაციების საპასუხოდ, მოაწყეს რევოლიუციონური და ომის საწინააღმდეგო გამოსვლები.

როგორც ბურჟუაზიული გაზეთები იუწყებიან, მომხდარმა ინციდენტებმა „ჩაამწარეს" ოფიციალური დღესასწაული. ასე მაგალითად, **ომის ძეგლებზე გაჩნდა ომის საწინააღმდეგო ლოზუნგები; ერთ-ერთ თეატრში პატრიოტულ კონცერტზე, რომელსაც ავიაციის მინისტრი ეინაკიც დაესწრო, ხალხის ერთი ნაწილი სტვენითა და „ძირს ომი"-ს ყვირილით შეეგება კინო - სურათს, რომელზედაც სამხედრო საჰაერო მანევრები იყო წარმოდგენილი.** (ადს)

კოოპერატ. ორგანიზაციების საერთაშორისო სოც. შეჯიბრება

ბერლინი, 13 ნოემბერი. სამომხმარებლო და შემნახველი გაერთიანების გამგეობამ მერზებურგში, რომელიც გამორიცხულ იქნა გერმანიის სამომხმარებლო საზოგადოებათა ცენტრალური კავშირიდან, ყველა რევოლიუციონურ სამომხმარებლო გაერთიანებებს მიმართა წინადადებით—მიიღონ მონაწილეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში. გამგეობამ ასეთივე წინადადება გაუგზავნა ლისიჩანის ცენტრალურ მუშათა კოოპერატივს „კრასნი ხიმიკ"-ს (უკრაინაში), რომელიც დასთანხმდა ხელშეკრულების დადებაზე. შეჯიბრება გაგრძელდება 1929 წლის ოქტომბრიდან 1930 წლის აპრილამდე. (ადს).

ავღანისტანის ახალი მთავრობა

თეირანი, 12 ნოემბერი. იმ დეპეშის თანახმად, რომელიც ავღანისტანიდან მიიღო ავღანისტანის საელჩომ თეირანში, **მოჰამედ ნადირ-შაჰმა** შეადგინა ავღანისტანის მთავრობა, რომელშიაც შედიან: დიდი სერდარი **შაჰი ვალი-ხანი** — ავღანისტანის შაჰის მოადგილე, სერდარი **შაჰი მაჰმუდ - ხანი**— სამხედრო მინისტრი, **ფეიზ მოჰამედ-ხანი** — სახალხო განათლების მინისტრი, **ალი მოჰამედ - ხანი** — სასახლის მინისტრი, **ახმედ ალი-ხანი** — შინაგან საქმეთა მინისტრი, **შირ ალა-ხანი** — იუსტიციის მინისტრ, **მოჰამედ აკბერ-ხანი** — ვაჭრობის მინისტრი, **მოჰამედ ეიბ-ხანი** — ფინანსთა მინისტრი.

თანახმად იმავე დეპეშისა, ქვემოდ ჩამოთვლილი პირები დაინიშნენ შემდეგ თანამდებობებზე: **მოჰამედ იაკუბ-ხანი** — ქაბულის გუბერნატორად, **მირზა მოჰამედ-ხანი** — გარეშე საქმეთა, მინისტრის ამხანაგად, **გულამ მუხიედდინ-ხანი** — სასახლის მინისტრის ამხანაგად, **მაჰმედ გოლ-ხანი** შაჰის ადიუტანტად. (ადს)

ნობელის პრემია

სტოკჰოლმი, 12 ნოემბერი. ნობელის 1928 წლის პრემია მიუსაჯეს ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორს **რიჩარდსონს** ფიზიკის იმ ახალი კანონის აღმოჩენისათვის, რომელსაც რიჩარდსონის სახელი ეწოდა.

1929 წლის პრემია ფიზიკაში მიესაჯა პარიზელ მეცნიერს **ლუი ვიქტორ დებროლს** ელექტრონების ტალღისებური ხასიათის აღმოჩენისათვის. 1929 წლის პრემია ქიმიაში მიუსაჯეს ლონდონელ პროფესორს **არტურ გარდენს** და სტოკჰოლმელ პროფესორს **ჰანს ფონეილერ-ჩელპინს** იმ გამოკვლევისათვის, რომელიც მათ მოახდინეს შაქროვან ნივთიერებათა ფერმენტაციის დარგში.

სტოკჰოლმი, 13 ნოემბერი. შვეციის სამეცნიერო აკადემიამ ნობელის 1929 წლის სალიტერატურო პრემია მიუსაჯა გერმანელ მწერალს ტომას განს. (ადს).

პოლიტპატიმართა შიმშილობა

ფინეთში

ჰელსინგფორსი, 12 ნოემბერი. „ეკენესი"-ს საკატორღო საპყრობილეში, აუტანელი რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, 98 პოლიტპატიმარმა შიმშილობა გამოაცხადა მის გამო კომუნისტმა დეპუტატებმა შეკითხვა შეიტანეს სეიმში. (ადს).

ნორვეგიის კომპარტიაში

სტოკჰოლმი, 12 ნოემბერი. კომპარტიის ორი ორგანო—„ნორგეს კომუნისტბლად"-ი და „არბეიდერენ"-ი—შეერთდა. ამჟამად გამოდის ნორვეგიის კომპარტიის ცენტრალური ორგანო —„არბეიდერენ"-ი. (ადს).

უმუშევრობა ინგლისში

ლონდონი, 12 ნოემბერი. ოფიციალურად აღრიცხულ **უმუშევართა რიცხვი 4 ნოემბერს შეადგენდა** — 17.612 კაცით მეტს, ვიდრე ერთი კვირის წინათ. (ადს).

მიწისძვრა განჯაში

განჯა, 13 ნოემბერი. 13 ნოემბერს დილის 5 საათზე, განჯაში მიწა იძრა' მიწის ძვრის დროს ისმოდა გუგუნი.

ტრაქტორები

დონის - როსტოვი, 13 ნოემბერი. ნოვოროსისკში ამერიკიდან მოვიდა გემი, რომელმაც ჩამოიტანა 60 ტრაქტორი ჩრდილოეთ კავკასიისა, ამიერ-კავკასიისა და შუა აზიისათვის.

შეხმატკბილებული უკიდურესობანი

შეცდომაა ლენინის ხაზიდან მემარჯვენე და „მემარცხენე" გადახრათა ერთმანეთში არევა, როგორც ეს ზოგიერთ ამხანაგებს სჩვევია. მაგრამ ამ გადახრებს ხანდისხან სრულებით შეგნებულად ურევენ ერთმანეთში. ზოგიერთები ამას იმ მიზნით სჩადიან, რომ ტროცკიზმთან ბრძოლა მთავარ ამოცანად დასახონ და მით ფაქტიურად უარი სთქვან ბრძოლაზე მემარჯვენე გადახრასთან, რომელიც მე-15 ყრილობის შემდეგ პარტიას მთავარ საფრთხედ მიაჩნია როგორც საკავშირო კომპარტიაში, ისე კომინტერნში. სხვები ერთმანეთში ურევენ მემარჯვენე და „მემარცხენე" გადახრას იმ მიზნით, რომ მიაფუჩეჩონ ტროცკისტული სულისკვეთებისა და ტროცკისტული იდეოლოგიის ნაშთებთან ბრძოლა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთი თვალსაზრისი ხელს უშლის მემარჯვენე გადახრასთან და ტროცკიზმთან ბრძოლას.

მაგრამ, როდესაც მემარჯვენე და „მემარცხენე" გადახრებს შორის ერთგვარ საზღვარს ვავლებთ, ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ, როგორც მემარჯვენე, ისე „მემარცხენე" გადახრა წვრილ ბურჟუაზიული ელემენტებისა და წვრილ ბურჟუაზიის სხვადასხვა ფენების ინტერესებს გამოხატავს,და ამიტომ ეს ორი გადახრა ხანდისხან ერთმანეთს უახლოვდება თავისი იდეოლოგიით. პარტიამ საკმაო სიცხადით შეაფასა ამ გადახრათა წვრილ-ბურჟუაზიული ბუნება. ცხოვრებამ გვიჩვენა, თუ რამდენად სწორი იყო ეს შეფასება. ტროცკისტები, რომლებიც „ოპოზიციის პლატფორმის ერთგულნი" დარჩნენ, ისეთ თვალსაზრისამდე ჩამოქვეითდნენ, რომ თითქმის შეუძლებელი ხდება მათსა და მენშევიკებს შორის რაიმე განსხვავების მონახვა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ტროცკისტული „ცამეტის პლატფორმა" ამჟამად მხოლოდ სამის პლატფორმას წარმოადგენს (ისიც, ალბად, მცირე ხნით), რადგანაც ათმა ტროცკისტმა, რომელთაც 1927 წელს პლატფორმას ხელი მოაწერეს, აშკარად აღიარა პარტიის ხაზის სისწორე და თავისი შეცდომა და პლატფორმიდან მოხსნა თავისი ხელმოწერა. განსაკუთრებით განსაცვიფრებელია ტროცკისტული თვალსაზრისის ახლო ნათესაობა მენშევიკების პოზიციასთან პოლიტიკური მომენტის შეფასებაში. მენშევიკები გამოდიან იმ თვალსაზრისიდან, რომ ოქტომბრის რევოლიუცია კრიზისს განიცდის. ამას ისინი იმეორებენ ყოველწლიურად და მათმა წინასწარმეტყველებამ თვით მათთვინაც დაჰკარგა დამაჯერებელი ხასიათი. ტროცკისტებმა მთლიანად გადმოიღეს მენშევიკებისაგან მათი პესიმისტური და კონტრრევოლიუციონური შეფასება. ამას წინად ამა წლის ზაფხულში, ერთ-ერთ სადირექტივო წერილში ტროცკი არწმუნებდა თავის მოსკოველ თანამოაზრეებს—უახლოეს შემოდგომაზე (ესე-იგი გასულ შემოდგომაზე ემ.-ი-სკი) მოსალოდნელია სასტიკი კრიზისი, უსასტიკესი შეხლა-შემოხლაო. გასული (1928) წლის მიწურულში ტროცკი წინასწარმეტყველებდა საბჭოთა მთავრობის დამხობას და არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლას. ამ წლის ზაფხულში ტროცკი ესაუბრა ერთ-ერთ თავის თანამოაზრეს, რომელიც პირდაპირ გაოცებული დარჩა იმით, რაც თავის „ბელადისაგან" გაიგონა. აი, რასა სწერს ის ამის შესახებ: „უპირველესად ყოვლისა, მე მისგან გავიგონე სრულებით გარკვეული თვალსაზრისი საბჭოთა რეჟიმის დამხობის შესახებ არა როგორც შორეული პერსპექტივა, არამედ როგორც უახლოესი თვეების შესაძლებლობა"-ო. ამას ტროცკიმ დაუმატა—1929 წლის შემოდგომაზე მე დარწმუნებული ვიყავი, რომ 3—4 თვის შემდეგ ბოლშევიკები მომიწვევდნენ, რათა „წამეკითხა მოხსენება შემდეგ თემაზე: „რა ვქნათ", —მაგრამ უკვე გვიან იქნება"-ო.

სასაცილოა ასეთ წინასწარმეტყველებათა გაკეთება მაშინ, როდესაც საბჭოთა ქვეყანა ასეთი სწრაფი ტემპით მიექანება უდიდესი გამარჯვებისაკენ სოციალისტური მშენებლობის გზებზე, როდესაც მუშათა მასები უდიდესი ენტუზიაზმი და სოციალისტური შეჯიბრების სხვადასხვა ფორმა ქალაქში ეურთდება გაუგონარ რევოლიუციას გლეხის მეურნეობაში, რომელიც მთელ რიგ რაიონობით კოლექტივიზაციაში გადადის. ასეთ რეაქციონურ წინასწარმეტყველებას შორისა და სიდამპლის სუნი ასდის. ამიტომ ჩვენ არ გვაკვირვებს ჩვენი მტრების ბანაკში გადაბარგებულ ტროცკის რეაქციონური ლოზუნგები. ამიტომ ჩვენ არ გვაკვირვებდა და არც გვაკვირვებს აგრეთვე ის, რომ ტროცკი და ტროცკისტები თავიანთ დასკვნებსა და მსჯელობაში მემარჯვენეთა დებულებებს იმეორებენ.

ჩვენს ხელთ არის ერთ-ერთი ასეთი თვალსაჩინო განმეორება—ვინმე ნეველსონის, ტროცკის ერთერთი უახლოესი მოწაფის, ნაშრომი. ამ ნაშრომს სათაურად აქვს „ახალი ეტაპი და ჩვენი ამოცანები" და იგი დათარიღებულია 1929 წლის ივლისის 14-ით. როგორ წარმოუდგენია ავტორს ეს „ახალი ეტაპი"? თურმე ნუ იტყვით: „კრიზისი ღრმავდება". ხდება „კავშირის გაწყვეტა საშუალო გლეხთან"... „ხელმძღვანელობამ კატასტროფის პირამდე მიიყვანა ჩვენი ქვეყანა: იგი უკვე სასურსათო გაწერას აწესებს. კიდევ რამდენიმე ასეთი შეცდომა და ხელმძღვანელობას ერთი „პატარა" საქმეღა დარჩენია.. სავსებით გააუქმოს ახალი ეკონომიურ პოლიტიკა და გააჩაღოს სამოქალაქო ომი. მაგრამ ეს უკვე შედარებით პატარა საქმეა".

მაგრამ როგორღა უნდა შევხედოთ ისეთ ფაქტს, როგორიცაა სოციალისტური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა! მისი აზრით, ეს არაფერსაც არ ნიშნავს.

„ხუთწლიან გეგმას და საბჭოთა მეურნეობების შესახებ ლაყბობას ჩვენ ჯერჯერობით გადამწყვეტ მნიშვნელობას ვერ მივაკუთვნებთ, ვინაიდან თვით საკითხი საბჭოთა ხელისუფლების, როგორც პროლეტარიატის ხელისუფლების, არსებობის შესახებ, ხელმძღვანელობის შემცდარი გენერალური ხაზის გამო, გადასწყდება მეტად მოკლე და უახლოეს ისტორიულ ხანში. ამჟამად აღტაცება ხუთწლიანი გეგმის გამო წარმოადგენს ისეთსავე უაზრობასა და სისულელეს, როგორც სისულელეა ავადმყოფის ლოგინთან გავმართოთ ლაყბობა მის ბრწყინვალე მომავალზე იმის ნაცვლად, რომ სასწრაფოდ და ენერგიულად ვიმოქმედოთ მის განსაკურნავად".

კიდევ შემდეგ: „საბჭოთა მეურნეობების პური წვეთია გაჭირვების თვალუწვდენ ზღვაში. როდესაც ასეული მილიონები გვაკლია, ერთი-ორი ათეული მნიშვნელოვან როლს ვერ ითამაშებს. როდესაც კლდეები იქცევა, მათ კარტონის კოლონებით ვერ შეაკავებ... საბჭოთა მეურნეობების პური დღესვე საჭიროა. დღეს კი ის არა გვაქვს".

კიდევ ორი ციტატა: „ოპოზიციას სურს მუშათა კლასის კავშირის გაწყვეტა საშუალო გლეხობასთან გადააქციოს მათ ნამდვილ კავშირად ახალი ეკონომიური პოლიტიკის, და არა სამხედრო კომუნიზმის საფუძველზე"...

„ჩვენ ვამჯობინებთ პატიოსან ნაცადს ახალ ეკონომიურ პოლიტიკას, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვუცადოთ მსოფლიო რევოლიუციას".

ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე ამ მენშევიკური ციტატების მოყვანისათვის ტროცკისტების ნაწერიდან. ჩვენ მათ ყურადღებას არ მივაქცევდით, რომ ამ ციტატებში არ ვაისმოდეს ის ფორმულები, რომლებიც განუწყვეტლივ გვესმის მემარჯვენეთა განცხადებებში. მემარჯვენეების მხრიდან ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინად გაისმოდა იგივე დამპალი წინასწარმეტყველებანი კატასტროფების, დაღუპვის და სხვ. შესახებ. ეს წინასწარმეტყველებანი მემარჯვენეთა წარმომადგენლებისაგან ზოგჯერ დღესაც გვესმის, როდესაც ცხოვრებამ ულმობლად გააცამტვერა ყველა მათი უწინდელი წინასწარმეტყველება. გვესმის იგივე ლაყბობა საშუალო გლეხთან „კავშირის გაწყვეტის" შესახებ. მხოლოდ ტროცკისტები, რომელთაც არასოდეს არ ესმოდათ ბოლშევიკების ტაქტიკა გლეხობის მიმართ, იმეორებენ დღეს მემარჯვენეთა ლაყბობას საშუალო გლეხობასთან კავშირის გაწყვეტის შესახებ, თუმცა ცოტა ხნის წინად თითონვე ფიქრობდნენ, რომ დროებით შეიძლება დაშვებულ იქნას კავშირის გაწყვეტა საშუალო გლეხობასთან. ასეთივეა ლაყბობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა მეურნეობების პური არ არის რეალური, ვინაიდან ამ პურით დღეს ჯერ კიდევ არ შეიძლება გამოვკვებოთ მშიერნი. ასეთივეა ფიქრები იმის შესახებ, რომ პარტია აუქმებს ახალ ეკონომიურ პოლიტიკას და უბრუნდება სამხედრო კომუნიზმის მეთოდებს.

ხდება უკიდურესობათა ურთიერთ შეთავსება. ტროცკისტების მთლიანად რეაქციონური თვალსაზრისი ჩვენ საკმაოდ გამოვააშკარავეთ. მაგრამ ნათლად უნდა ვხედავდეთ, რომ მემარჯვენეებიც რეაქციონურ განწყობილებათა ამავე დაღმართზე ეშვებიან. დეე, ტროცკისტებმა გული გაიკეთონ, რომ თავიანთ პოზიციებზე მათ შეუძლიათ „უცადონ მსოფლიო რევოლიუციას".

ყოველი დღე ჩვენი მუშაობისა ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის რევოლიუციის მამოძრავებელს წარმოადგენს და უაღრესად აახლოვებს რევოლიუციის გამარჯვების დღეს. დეე, იწინასწარმეტყველონ ტროცკისტებმა, რომ „კრიზისის გარდუვალობა აუცილებლად გამოიწვევს საბჭოთა ხელისუფლების დაცემასო" და სხვ. მათი ღვარძლიანი ჩურჩული მცირე რამეს თუ უმატებს მენშევიკურ წინასწარმეტყველებათა საერთო განგაშს. მაგრამ დეე დაფიქრდნენ ისინი, ვინც ჯერ კიდევ ნათლად ვერ ხედავს, თუ საით დაეშვა მემარჯვენე ოპოზიცია: რატომ დღითი-დღე იჩენს თავს ამდენად დიდი თანხმობა მემარჯვენე შეხედულებებსა და წვრილბურჟუაზიულ შეფასებებს შორის, მემარჯვენე შეხედულებებსა და ტროცკისტულ შეფასებებს შორის? დაფიქრდნენ, რით აიხსნება ტროცკისტებისა და მემარჯვენეების შეხედულებათა ასეთი შეთანხმება?

ე. იაროსლავსკი.

მოსკოვი, 13 ნოემბერი.

უცხოელი მუშები საბჭოთა კავშირის შესახებ

მოსკოვი, 13 ნოემბერი. უცხოელ მუშათა დელეგატებმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომლებს გაუზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებანი ჩვენი მრეწველობის მიღწევებისა და მუშათა მდგომარეობის შესახებ საბჭოთა კავშირში. ამერიკის დელეგაციის მეთაურმა **ხაიმანმა** განაცხადა:

„ჩვენ დავათვალიერეთ ვოლოდარსკის სახელობის ფაბრიკა და ლენინგრადის მრავალი სხვა საწარმო. **მოწყობილობა და მუშაობის სისტემა ამ საწარმოებში არ განსხვავდება ამერიკული ფაბრიკებისაგან.** ლენინგრადის ფაბრიკების პროდუქცია (ტანისამოსი) თავისი ღირსებით არ ჩამოუვარდება ამერიკულს. შრომის ნაყოფიერება, ამერიკასთან შედარებით დაახლოებით 20 პროც.-ით ნაკლებია, მაგრამ მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში გაუსწრებთ ამერიკას".

ფრანგი დელეგატი **ხალანიაკი** შეეხო მუშაობის პირობებს „კრასნი პროლეტარ"-ის ქარხანაში. მან განაცხადა:

„ყველაზე მეტად გამაკვირვა ვენტილიაციის სისტემამ ქარხანაში. **არსად საფრანგეთში, ახალ ქარხნებშიაც კი, არ მინახავს მსგავსი რამ.** ქარხნის მუშებთან საუბრის დროს დავრწმუნდი, რომ **საბჭოთა მუშები თავიანთი განვითარებით ბევრად მაღლა დგანან ჩვენს მუშებზე**".

ამერიკის ხალხთა დელეგატმა ამხ. **ანდერსონმა** კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის მუშებს შორის არ არსებობს ეროვნული შუღლი.

გერმანელი მუშების დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. **რახლერი** შეეხო სახელმწიფო ელექტროტრესტის მუშაობას. მან განაცხადა:

„მუშაობის სისტემა ქარხანაში სავსებით შეიძლება შედაროს გერმანიის სას. შრომის პირობები უკეთესია, ვიდრე გერმანიის ქარხნებში. **უდიდესი ზრუნვა სახელმწ. ელექტრო-ტრესტის მუშების კულტურული და პოლიტიკური აღზრდისათვის შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარიატის ბატონობის პირობებში.** საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს აქვს სრული საფუძველი, რათა მთელი ძალ-ღონით დაიცვას თავისი მუშური სახელმწიფო".

ავსტრიელმა ფეიქრებმა განაცხადეს:

„ჩვენ განცვიფრებულნი ვართ სოციალისტური მშენებლობის ასე ფართოდ გაშლით. განსაკუთრებით გაგვახარა ზრუნვამ ქალებისა და ბავშვებისათვის".

ესტონელ მუშათა დელეგაციის თავმჯდომარემ სთქვა:

„საბჭოთა მუშების მატერიალური პირობები ბევრად უკეთესია, ვიდრე ესტონელი მუშების".

ლატვიელ მუშათა დელეგაციის წევრებმა განაცხადეს:

„ყველაზე სასიხარულო, რაც ჩვენ ვნახეთ, არის სოციალისტური შეჯიბრება საწარმოებში. განუწყვეტელ კვირაზე გადასვლის შესახებ ჩვენი ბურჟუაზიული პრესა სწერდა, რომ „რუსი მუშები ახლა მონების მდგომარეობაში იქნებიან, რადგან მათ მთელი წელიწადი დაუსვენებლად უნდა იმუშაონო". ამიტომ ბევრ ჩვენგანს მეტად აინტერესებდა, რას წარმოადგენს განუწყვეტელი საწარმოო კვირა. ჩვენ დავრწმუნდით, რომ **განუწყვეტელი კვირა არა თუ არ აუარესებს მუშების მდგომარეობას, პირიქით, აუმჯობესებს კიდეც. დასვენება ყოველ მეხუთე დღეს საბჭოთა პროლეტარიატის უდიდესი მიღწევაა".** (ადს)

1.000 მემაღაროეს დაწინაურება

მოსკოვი, 13 ნოემბერი. მემაღაროეთა კავშირის ც. კ.-ის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა—დააწინაუროს 1.000 მემაღაროე საპასუხისმგებლო სამეურნეო, საბჭოთა და კოოპერატიულ სამუშაოზე. გეგმის თანახმად, უკრაინაში დაწინაურებული იქნება 300 კაცი, აზერბეიჯანში — 100, ურალზე— 120, ჩრდილოეთ - კავკასიაში — 100 კაცი და სხვ.

1929—30 წ. მთლიანი ბიუჯეტის პროექტი

მოსკოვი, 13 ნოემბერი. საკავშირო სახკომსაბჭომ ცაკს განსახილველად წარუდგინა საბჭოთა კავშირის მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი 11 მილიარდი 390 მილიონი მანეთის რაოდენობით, რაც თითქმის 50 პროცენტით აღემატება განვლილი წლის ბიუჯეტს. ყურადღებას იქცევს სახელმწიფო ქონებიდან და საწარმოთაგან ნავარაუდევი შემოსავლის უდიდესი ზრდა. ეს შემოსავალი 118 პროც.-ით აღემატება წარსული წლის ბიუჯეტით ნავარაუდევ შემოსავალს. ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში უნდა აღინიშნოს ასიგნობების თვალსაჩინო ზრდა სახალხო მეურნეობისათვის ფინანსების მისაწოდებლად — 3 მილიარდი 743 მილიონი მანეთი, რაც 85,5 პროც.-ით აღემატება წარსულ წელს გადადებულ თანხას. მიმდინარე წლის ბიუჯეტში საგრძნობლად იზრდება ასიგნობები სოფლის მეურნეობისათვის — 72 პროცენტით და ახალი რკინის გზების გასაყვანად — 108 პროც.-ით. ბიუჯეტის საგასავლო ნაწილს ახასიათებს ასიგნობების უმნიშვნელო ზრდა უწყებათა და დაწესებულებათა შესანახად. საგასავლო ნაწილში გათვალისწინებულია 60 მილიონი მანეთის გადადება სახელმწიფო პურის ფონდის შესაქმნელად. სახკომსაბჭომ მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებს წინადადება მისცა — შეადგინონ მტკიცე გეგმები უმაღლესი და საშუალო ინდუსტრიალური, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო განათლებისათვის ფინანსების მისაწოდებლად. რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მთავრობამ ამ მიზნისათვის უნდა გადასდოს 884 ნახ. მილიონი მანეთი, ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რესპუბლიკამ — 10 მილიონი მანეთი, თურქესტანის ს. ს. რესპუბლიკამ —1.700.000 მანეთი, უზბეკისტანის ს. ს. რესპუბლიკამ — 2.700.000 მანეთი, ტაჯიკისტანის ს. ს. რესპუბლიკამ — ნახევარი მილიონი მანეთი. (ადს)

წლიური გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით

მოსკოვი, 18 ნოემბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-მა მიიღო ცნობა, რომ **„ელექტროსილა“-ს ქარხანამ ლენინგრადში წლიური გეგმა შეასრულა 102 პრ.-ით.** მთავრობის დავალება თვითღირებულების შემცირების შესახებ გადაჭარბებით იქნა შესრულებული. ქარხანა ახლა გადადის შვიდი საათის სამუშაო დღეზე. თავის ხუთწლიან გეგმას ქარხანა შეასრულებს ოთხ წელიწადში.

„ჩვენი განწესია, — ამბობენ „ელექტროსილა“-ს მუშები და მოსამსახურენი თავიანთ მისასალმებელ დეპეშაში, — არც ერთი ნაბიჯი უკან სოციალისტური მშენებლობის აღებული ტემპებისაგან. მკაცრი იერიშით უკუვაგდებთ მემარჯვენე უკლონისტებს და რწმენა მოკლებულებს“. (ადს).

ინდუსტრ. მესამე სესხის თანხის გადიდება

მოსკოვი, 13 ნოემბერი. საკავშირო სახკომსაბჭომ გადასწყვიტა — ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის თანხა გაადიდოს 150 მილიონი მანეთით. მესამე სესხის საერთო თანხა 900 მილიონ მანეთს უდრის. (ადს)

სომხეთის კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმი

ერევანი, 13 ნოემბერი. 17 ნოემბერს გაიხსნება სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ.-ის პლენუმი. დღის წესრიგში—მიწად მოქმედების სახ. კომისარიატისა, სასოფლო-სამეურნეო ბანკისა და „აიგიუხ კოოპ“-ის მოხსენებები. (ადს).

საბჭოთა ახალი გემები

ბაქო, 12 ნოემბერი. ბაქოში მიღებულია ცნობა იმის შესახებ, რომ სორმოვოში წყალში ჩაუშვეს ნავთის საზიდი 2 დიდი გემი კასპიის სანაოსნო საზოგადოებისათვის. თვითეული გემი 10.000 ტ. ნავთს იტევს. ყველაზე უფრო დიდ გემში, რომელიც ამჟამად კასპიის ფლოტში იმყოფება, 6.000 ტონამდე ნავთი ეტევა. ახალი გემების ექსპლოატაცია გაზაფხულიდან დაიწყება. (ადს).

მებამბეობის კოლმეურნეობათა ზრდა

ბაქო, 12 ნოემბერი. ხუთწლიანი გეგმის მიხედვით, ე. ი. 1933 წლამდე—განზრახულია ბამბის ყველა მეურნეობათა გაერთიანება კოლმეურნეობებში. ბამბის ნათესების საერთო სივრცემ 201.000 ჰექტარს უნდა მიაღწიოს. მებამბეები გაერთიანებული იქნებიან კოლმეურნეობათა ჯგუფებში, მოწყობილი იქნება კოლმეურნეობათა 67 ჯგუფი, თვითეული ჯგუფი მოიწყობა 3.000 ჰექტარ სივრცეზე. (ადს).

რიონჰესის მშენებლობა

ქუთაისი, 12 ნოემბერი. მიმდინარე 1929—30 წელი გადამწყვეტი წელიწადია რიონჰესის მშენებლობაში. ყველა სამუშაო გაძლიერებული ტემპით სწარმოებს, რათა ორი წლის შემდეგ, 1931 წლის 1 ოქტომბრისათვის, დამთავრდეს მშენებლობა. ამჟამად სწარმოებს მუშაობა ქვაბულის ამოსაღებად მომავალი რკინაბეტონის საგუბარისათვის. მთავარ საგუბარზე წყალი უკვე გადაყვანილია მდინარის მარჯვენა მხარეზე. დროებითი კაშხალების მოწყობა დამთავრებულია და სწარმოებს ქვაბულის გათხრა რიონის მარცხენა ნაპირზე იმ ანგარიშით, რომ ეს სამუშაო დამთავრდეს 1930 წლის მარტისათვის, გაზაფხულის წყალდიდობამდე.

მუშაობა გვირაბის გასაყვანად წარმატებით მიმდინარეობს; პირველ გვირაბში ორივე მხრიდან გათხრილია 1.050 მეტრი, მეორეში—650 მეტრი.

გვირაბების გათხრის შემდეგ სწარმოებს გვირაბის კედლების ბეტონით შემოსვა. დამთავრდა სადერივაციო არხის გაყვანა გვირაბებს შორის, სწარმოებს მუშაობა სადერივაციო არხის გასაყვანად მეორე გვირაბიდან საწნეო აუზამდე და ქვაბულის ამოსაღებად რიონჰესის საგენერატორო შენობისათვის.

კრედიტის მიღების შემდეგ გაიშალა მუშაობა რიონჰესის მესამე უბანზე. საჭირო მასალის მხრივ დაბრკოლება არ არის. დამატებით გადადებულია 12.500.000 მანეთი. ჰიდროსადგურის მთელი მოწყობილობა, კერძოთ ტურბინებიც, შეკვეთილია საბჭოთა ქარხნებში. ახლო მომავალში დაიწყება მოწყობილობის თანდათანობით მიღება. მშენებლობაში ჩაბმულია 8.000-მდე კაცი, რომელნიც განუწყვეტლივ მუშაობენ სამ წყებად. მუშებისათვის აგებულია 6 ბარაკი, დამატებით შენდება 8 ბარაკი. გაზაფხულისათვის საგენერატორო სადგურთან დამთავრდება მუშათა მუდმივი ქალაქის აგება. მუშათა ქალაქში იქნება კლუბი-თეატრი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები. (ადს).

რიონჰესის სამუშაოები

გადამჭრელი ორგანიზაციული ზომები მემარჯვენე ფრაქციონერების წინააღმდეგ—ასეთია თბილისის მუშა-ბოლშევიკების ერთსულოვანი კატეგორიული მოთხოვნა

ან პარტიასთან—ან მის გარეთ

მემარჯვენე ოპოზიციის ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ დღითი დღე მწვავე ხასიათს ღებულობს. მემარჯვენეები აშკარათ ესხმიან თავს ლენინური პარტიის გენერალურ ხაზს და უხეშათ არღვევენ ბოლშევიზმის რკინის დისციპლინას. ისინი დღეს უკვე აღარ მალავენ თავიანთ ფრაქციულ მუშაობას.

მემარჯვენე გადახრის ბელადები ჯერ კიდევ 1928 წლის ივლისის პლენუმის დამთავრებიდან აწყობდნენ ცალკე ბინებში საუბრებს, აქ სწყდებოდა საკითხი იმის შესახებ, თუ სად უნდა გამოსულიყვნენ, როგორ უნდა გამოსულიყვნენ, როგორ უნდა განემტკიცებინათ თავიანთი გავლენა, როგორ ჩაეთრიათ ოპორტუნისტულ მუშაობაში „თანამებრძოლთა“ ახალი კადრები.

მემარჯვენეთა ასეთ ანტიბოლშევიკურ მუშაობას პარტიამ ფარდა ახადა. პარტიულ მასებისათვის ცნობილი ფაქტია ბუხარინისა და მისი სკოლის ანტილენინური იდეოლოგია. მაგრამ აღსანიშნავია ბუხარინის სკოლის ახალგაზრდა წარმომადგენელთა თავისებური გამოსვლები. ყაზანში ამხ. **აიხენვალდი** აცხადებს, რომ ის „თანახმაა“ დაიცვას პარტიის ხაზი, და ამავე დროს ამბობს, რომ იზიარებს ბუხარინის თეორიას კულაკის სოციალიზმში მშვიდობიანად შეზრდის შესახებ.

ამხ. აიხენვალდი აცხადებს, რომ ბუხარინის გაგება შეიძლება ორნაირადო „გონივრულად და სულელურად“. ის ვინც აკრიტიკებს ბუხარინის წერილებსა და შეხედულებებს, მისი გაგება არის „სულელური“, ხოლო მათ, ე. ი. ბუხარინის თანამებრძოლებს ბუხარინის თეორია გაგებული აქვთ „გონივრულად“.

მემარჯვენეები იბრძვიან ლენინიზმის თეორეტიულ საფუძვლების წინააღმდეგ, ისინი უარყოფენ პარტიის პრაქტიკული მუშაობის ხაზს და ფეხქვეშ სთელავენ მე-15 პარტყრილობის, ცეკას აპრილის პლენუმის და მე-16 პარტკონფერენციის დადგენილებებს. მიუხედავათ მთელი რიგი გაფრთხილებისა, მემარჯვენეები არამც თუ სწყვეტენ ფრაქციულ მუშაობას, არამედ ახალ თავდასხმებს აწყობენ პარტიაზე, ქორებით გამოდიან პარტიის გენერალური ხაზისა და კომინტერნის წინააღმდეგ.

მაგრამ არ გამართლდა მემარჯვენეების იმედი, მათ თეორიას და პრაქტიკას წინაღუდგა მთელი პარტიული მასა. მთელ რიგ საწარმოო ქალაქებში მუშური უჯრედები აღშფოთებით შეხვდნენ მემარჯვენეთა უკანასკნელ თავდასხმებს და ცილისწამებას. საწარმოო უჯრედებმა ბოლშევიკური-პროლეტარული პასუხი გასცა მემარჯვენეთა გამოსვლებს.

თბილისის მუშა ბოლშევიკები კატეგორიულათ მოითხოვენ მემარჯვენეებისაგან ფრაქციული მუშაობის შეწყვეტას პარტიის წინააღმდეგ, მოითხოვენ მემარჯვენეების მიმართ ორგანიზაციული ზომების მიღებას.

— „იმ შემთხვევაში,—ამბობენ მუშა-ბოლშევიკები,—თუ ამხ. ბუხარინმა არ შესწყვიტა ფრაქციული მუშაობა და არ დაემორჩილა პარტიის გადაწყვეტილებებს, ის გამოყვანილ უნდა იქნეს პოლიტბიუროს შემადგენლობიდან“.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მუშები სავსებით თავისუფალი იყვნენ მემარჯვენე გავლენისაგან, რომ მუშათა ჩამორჩენილ ფენებში არ მოიპოვებოდენ თითო-ოროლა ელემენტები, რომელნიც განიცდიან წვრილ ბურჟუაზიული სტიქიის დაწოლას, ანტი-პროლეტარულ გავლენას.

ამას წინად ამხ. **ლადო სუხიშვილმა** ლენ-რაიონის მუშათა ფართე აქტივის თათბირზე მოხსენება გააკეთა კოლმეურნეობათა მშენებლობაზე. თავის სიტყვაში ამხ. სუხიშვილმა მოუწოდა იმ მუშებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ ღარიბ და საშუალო გლეხობის სოფელთან, დაეხმარონ ინდივიდუალური მეურნეობის კოლმეურნეობად გარდაქმნის საქმეში. მუშების დიდი უმრავლესობა აღფრთოვანებით შეხვდა ამ მოწოდებას.

მაგრამ მუშა **ჭელიძემ** გამოამჟღავნა თავისი უკმაყოფილება პარტიის მიერ აღებული ხაზით, მან გაილაშქრა სოფლის კოლექტიური გარდაქმნის წინააღმდეგ.

ამხ. ჭელიძემ განაცხადა, რომ გლეხებთან კოლექტიურ მეურნეობის მნიშვნელობაზე ლაპარაკიც ზედმეტიაო. მან შეუძლებლად მიაჩნია სოფლად კოლექტიური მეურნეობის მოწყობა. მუშა ჭელიძემ ვერ დაინახა ის დიადი მშენებლობა, რომელიც დღეს მიმდინარეობს სოფლად კოლექტივების, კომუნების, არტელების და სხვა კოოპერატიულ გაერთიანებათა შექმნით.

ამხ. ჭელიძემ სოფლათ ვერ დაინახა კულაკი, ვერ შეამჩნია კლასიური ბრძოლის გამწვავება, როდესაც აცხადებდა, რომ რაჭაში კულაკებს არ გვყავს და ამავე დროს გავიძახით, რომ კულაკებმა ღარიბი გლეხობა დაჩაგრაო.

ამხ. ჭელიძის განცხადება საინტერესოა მით, რომ ასეთი განწყობილება მარტო მასში არ არის. ზოგიერთი მუშა-კომუნისტები, დღემდე ვერ ერკვევიან პარტიის გენერალურ ხაზში და ვერ შეუგნიათ სოფლის სოციალისტური გარდაქმნის მთელი მნიშვნელობა. საჭიროა მუშათა შორის მეტი მუშაობის წარმოება, საჭიროა მემარჯვენე ოპოზიციის ანტიპროლეტარული ზრახვების მხილება მუშათა ფართე მასების წინაშე.

ლ. ხ.—ა.

ბუხარინის მუშაობა მიმართულია პროლეტარიატის ინტერესების წინააღმდეგ

გუშინ თბილისის ელექტრო-მექანიკური ქარხნის კომუჯრედის სხდომამ მემარჯვენე ოპოზიციის შესახებ მოისმინა ამხ. ალ. ჟუჟიკაშვილის მოხსენება მემარჯვენე-ოპორტუნისტების ანტიპარტიული „მოღვაწეობის“ შესახებ.

მოხსენებამ გაცხოველებული კამათი გამოიწვია მუშებში.

— ლენინმა,—აღნიშნა მუშა **თურაჯევმა**,—მტკიცე საფუძველი ჩაუყარა სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობას; მუშათა კლასი ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ და ურყევად განაგრძობს დიად სოციალისტურ მშენებლობას. ის არავის ნებას არ მისცემს, რომ ლენინის დაწყებული საქმე შეაფერხოს და რღვევა შეიტანოს მასში.

ჩვენ თავზე ხელს ვერ მოუსვამთ ბუხარინს და არ ვაპატიებთ პარტიის წინააღმდეგ ბრძოლას, მემარჯვენე ოპოზიციის საკითხს ბოლო უნდა მოეღოს, ჩვენ სხვა მრავალი ფრიად საყურადღებო საქმეები გვაქვს.

ნათესებს რომ მავნე ბალახი გამოერევა, ის დროზე და ძირშივე უნდა მოვგლიჯოთ, თორემ მოსავალს დაგვიზარალებს. ასევე უნდა მოვექცეთ ჩვენ მემარჯვენეთა ბელადებს—დასძინა ამხ. თურაჯევმა.

მართალია ამხ. ბუხარინი იყო პარტიის ერთ-ერთი ბელადი,—ამბობს ამხ. ფომინი, მაგრამ დღეს მან მუშათა კლასის საქმეს უღალატა და იგი პარტიის წინააღმდეგ მოქმედებს. აქედან ცხადია, რომ პარტიის წინააღმდეგ მებრძოლს, ლენინის პარტიის რიგებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ჩვენი წინადადებაა, რომ ეთხოვოს ხელმძღვანელ პარტორგანოებს, რომ ბუხარინისა და მისი მიმდევრების მიმართ მიღებული იქნეს სათანადო ზომები.

არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოვიჩინოთ ლმობიერება ამხ. ბუხარინის მიმართ, თუ ის არ აღიარებს თავის შეცდომებს და სავსებით და მთლიანად არ დაემორჩილება პარტიის დადგენილებებს.

ჩვენ მოვითხოვთ გადამწყვეტ ზომების მიღებას მემარჯვენე-ოპორტუნისტების წინააღმდეგ,—აღნიშნავს ამხ. ავეტისოვი,—კოლმეურნეობათა მშენებლობა, რომ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ეს უდაო ჭეშმარიტებაა. დღეს, როცა გლეხობამ შეიგნო კოლმეურნეობათა მნიშვნელობა, ის სიამოვნებით ეწერება მასში. მემარჯვენენი კი ხელს გვიშლიან და უკან გვეზიდებიან.

კამათში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ამხ. ზარმანოვმა, ნაზარეტიანმა და სხვ.

დასასრულ კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს ბუხარინის და მისი ჯგუფის სასტიკად დასჯას, თუ ის არ დაემორჩილება პარტიას.

შევინარჩუნებთ ლენინური პარტიის მთლიანობას

გუშინ, საღამოს 7 საათზე, შესდგა ამიერკავკასიის კომუნივერსიტეტთან არსებულ კომპარტიისა და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებული კრება. კრებამ მოისმინა ამხ. ლისოვსკის ინფორმაცია მემარჯვენე ოპორტუნისტების უკანასკნელ გამოსვლებზე.

— მემარჯვენე ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლას—განაცხადა ამხ. ლისოვსკიმ,—განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენს სამოსწავლო პროგრამებში. კომუნივერსიტეტში პარტიული და კომკავშირული სტუდენტები შეგნებულად სწავლობენ ლენინიზმს და მარქსიზმს. ამიტომ ისინი პარტიის გენერალური ხაზის დაცვის მოწინავე რიგებში უნდა იდგნენ. უმაღლეს სასწავლებლის უჯრედებმა, საწარმოო უჯრედებთან ერთად თავისი სიტყვა უნდა სთქვან მემარჯვენეთა წინააღმდეგ.

მაშინ, როდესაც პარტია გაძლიერებული ტემპით აწარმოებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ზრდას, როდესაც პარტიისა და ხელისუფლების მთავარი ყურადღება მიქცეულია სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გარდასაქმნელად, ამ დროს გამოდიან პარტიის მერყევი წევრები და გაიძახიან, რომ კოლექტიური მეურნეობა არ წარმოადგენს სოციალისტური მრეწველობის ძირითად ფაქტორს, მაშინ, როდესაც სოფლად გამწვავებული კლასიური ბრძოლაა, როდესაც კულაკები აშკარა შეტევაზე გადმოდიან და ანადგურებენ კოლექტივების ქონებას, ამ დროს მემარჯვენეები ასაბუთებენ კულაკების სოციალიზმში მშვიდობიანად შეზრდის თეორიას.

ა.-კ. კომუნივერსიტეტის პარტიულ ორგანიზაციამ ყველას გასაგონად უნდა სთქვას, რომ ის ყოველთვის მზათ იქნება დაიცვას ლენინის პარტიის მთლიანობა, პარტიის ყრილობების, კონფერენციების და პლენუმების დადგენილებები. ის ვინც არ დაემორჩილება პარტიის ნებას და კვლავ განაგრძობს ფრაქციულ ანტიკომუნისტურ მუშაობას, მას პარტიამ სასტიკი პასუხი უნდა მოსთხოვოს.

ამხ. ლისოვსკის ინფორმაციის მოსმენის შემდეგ გაერთიანებულ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი შინაარსის რეზოლუცია.

მოისმინა რა ამხ. **ლისოვსკის** მოხსენება მემარჯვენე ოპორტუნისტების ფრაქციული მუშაობის შესახებ, ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის პარტიულ და კომკავშირელთა უჯრედების გაერთიანებული კრება სცნობს, რომ ბუხარინის ჯგუფის წარმომადგენელთა (სლეპკოვის, აიხენვალდის, ზაიცევის, მ. მათვეევების) უკანასკნელი გამოსვლები ადასტურებენ, რომ შორს წავიდნენ მემარჯვენე კაპიტულიანტები თავისი ანტიპარტიული მოქმედებით. ეს ჯგუფი არამც თუ არ ასრულებს ც. კ.-ის აპრილის პლენუმისა და კომინტერნის აღმასკომის მე-10 პლენუმის გადაწყვეტილებებს მემარჯვენე ოპორტუნისტულ შეხედულებათა სრული და უყოყმანო უარყოფის შესახებ, არამედ აშკარა შეტევაზედაც კი გადადის პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ.

ამავე დროს სლეპკოვი და კულაკური იდეოლოგიის სხვა გამომხატველნი თვალთმაქცად აცხადებენ, რომ პარტიის გენერალურ ხაზს სცნობენ, საქმით კი ქადაგებენ პარტიის მიერ დაგმობილ აშკარა ოპორტუნისტულ თვალსაზრისს სოციალისტური მშენებლობის მთავარ საკითხებზე.

კრება თავის ღრმა აღშფოთებას გამოხატავს ბუხარინის ოპოზიციის ანტიპარტიული, დეზორგანიზატორული მოქმედების გამო და ესალმება საკავშირო კომპარტიის (ბ) ლენინურ ც. კ.-ს მისი პრინციპიალური, მტკიცე, შეურიგებელი პოლიტიკისათვის, რომელსაც იგი აწარმოებს პარტიის გენერალური ხაზის ყოველგვარი გართულების წინააღმდეგ. კრება აღნიშნავს, რომ პრაქტიკულ მუშაობაში მემარჯვენე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად, საჭიროა უდიდესი ყურადღება მიექცეს იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლას.

კრება მოითხოვს მემარჯვენე კაპიტულიანტებისაგან, რომ მათ დაუყოვნებლივ შესწყვიტონ თავისი ფრაქციული მუშაობა, აღიარონ შეცდომები და უყოყმანოთ უარჰყონ თავისი ანტილენინური შეხედულებანი; იგი დაჟინებით მოითხოვს, რომ პარტიულმა ორგანოებმა დაუნდობლად აღკვეთონ ყოველგვარი ანტიპარტიულ-ფრაქციული გამოსვლები და არ დაერიდონ მკაცრ ორგანიზაციულ ზომების მიღებას.

ჩვენ უმთავრესი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემარიგებელი დამოკიდებულების წინააღმდეგ, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ საჭიროა განვაგრძოთ ბრძოლა ტროცკიზმის რეციდივების საბოლოოდ დაძლევისათვის.

პარტიისა და პროლეტარიატის ძალების მობილიზაციით ჩვენ შევსძლებთ გამანადგურებელი ლახვარი ჩავსცეთ მემარჯვენე კაპიტულიანტებს, უკან გავიყოლიოთ მშრომელთა მილიონიანი მასები და შევასრულოთ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის ამოცანები.

მემარჯვენეთა წინააღმდეგ მოვითხოვთ ორგანიზაციულ ზომების მიღებას

პირველ სტამბის მუშა-ბოლშევიკების საერთო კრებამ მოისმინა რა ამხ. **ბრიგორიანის** მოხსენება მემარჯვენე ანტი-ბოლშევიკურ გამოსვლების შესახებ, აღნიშნავს, პარტიის უდიდეს წარმატებას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და იმ გადამწყვეტი ბრძოლის საქმეში, რომელიც სწარმოებს ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ-კულაკური ელემენტების წინააღმდეგ.

კრება აღნიშნავს, რომ მემარჯვენე ოპორტუნისტები, ამხ. **ბუხარინის** მეთაურობით მოითხოვს პარტიის გენერალური ხაზის შეცვლას.

კრება ხაზს უსვამს, ამხ. ბუხარინისა და მის ანტიპარტიულ მომხრეთა გამოსვლების სრულ დამარცხებას და მემარჯვენეთა იდეოლოგიის გაკოტრებას. ამხ. ბუხარინი და მისი მომხრენი არ ემორჩილებიან კომინტერნის აღმასკომის მე-10 პლენუმისა და საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის 1929 წლის აპრილის პლენუმის დადგენილებებს და აქტიურ-ფრაქციულ ბრძოლას აწარმოებენ თავისი მემარჯვენე-ესერული მსოფლმხედველობის განსახორციელებლად.

უჯრედის კრება მოითხოვს საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის მომავალი პლენუმისაგან, რომ ამხ. ბუხარინი გამოყვანილ იქნას პოლიტბიუროს შემადგენლობიდან, იმ შემთხვევაში, თუ ამხ. ბუხარინი თავის შეცდომებს არ აღიარებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის პლენუმამდე.

ამავე დროს უჯრედის კრება, გმობს რა მემარჯვენე ოპოზიციის მოქმედებას, საჭიროდ სთვლის, რომ მის წინააღმდეგ მიღებულ იქნას მკაცრი და გადამწყვეტი ზომები, კომპარტიის რიგებიდანაც კი იქნან გამორიცხული ის პირები, რომლებიც არღვევენ საკავშირო კომპარტიის (ბ) მთლიანობას და არ ემორჩილებიან საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის და კომინტერნის აღმასკომის პლენუმის დადგენილებებს.

მოვახდენთ პროლეტარულ ძალების მობილიზაციას პარტიის გენერალური ხაზის დასაცავად

გუშინ, მუშაობის დამთავრების შემდეგ, ავეჯეულობის ქარხანაში შესდგა პარტ-უჯრედის კრება. კრებამ მოისმინა მოხსენება მემარჯვენე ოპორტუნისტების უკანასკნელ გამოსვლების შესახებ.

მომხსენებელი ამხ. ადამიძე ვრცლად შეჩერდა ტროცკისტულ ოპოზიციის ანტიპარტიულ ბუნებაზე. „მემარცხენე“ ოპოზიცია,—განაცხადა ამხ. ადამიძემ,—საბოლოოდ დამარცხდა, მაგრამ ჯერ კიდევ დარჩენილია ტროცკისტების ნამსხვრევები, რომელთა წინააღმდეგ პარტია აწარმოებს სასტიკ ბრძოლას.

ამ ბოლო დროს პარტიაში თავი იჩინა მემარჯვენე გადახრამ. ამჟამად პარტიულ ორგანიზაციების მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დავანთოთ ცეცხლი მემარჯვენე გადახრის წარმომადგენელთა წინააღმდეგ. მემარჯვენე გადახრა უკვე ჩამოყალიბდა, როგორც ფრაქცია ამხ. ბუხარინის ხელმძღვანელობით. მემარჯვენეები ყოველგვარ პროვოკაციას მიმართავენ პარტიის წინააღმდეგ. ისინი სცემენ არალეგალურ, ანტიბოლშევიკურ ლიტერატურას; ისინი სცდილობენ ძირი გამოუთხარონ საბჭოთა ხელისუფლებას. მაგრამ ისინი ამ აშკარა რეაქციონურ მიზანს ვერ მიაღწევენ, პარტია მათ სათანადო პასუხს გასცემს.

მაშინ, როდესაც პარტია აწარმოებს გიგანტურ სოციალისტურ მშენებლობას, მემარჯვენე ოპოზიცია სცდილობს ხელი შეუშალოს პარტიას, სურს შეაფერხოს ხუთწლიანი გეგმის მოკლე დროში განხორციელება.

მოხსენების დასასრულს, გაიმართა გაცხოველებული კამათი. კამათში გამოსულმა მუშა-ბოლშევიკმა ამხ. ლიცევიჩმა განაცხადა: ჩვენ მუშა-კომუნისტები ფხიზლად უნდა ვიდგეთ, რათა უჯრედში არ შემოგვეპარონ ანტიკომუნისტურად განწყობილი ელემენტები. მათ ვინც შემჩნეული იქნება ჩვენს უჯრედში მემარჯვენე გადახრაში, სასტიკ პასუხს მოვსთხოვთ. ჩვენ ნებას არავის მივსცემთ შეანელოს პარტიის მიერ აღებული კურსი მძიმე ინდუსტრიის განვითარების საქმეში.

მეორე მუშამ ამხ. კულუგანოვმა აღნიშნა:— ჩვენ ვიძლევით პროლეტარულ ბოლშევიკურ ფიცს, რომ ერთსულოვნათ შევებრძოლებით ყოველგვარ გადახრებს პარტიაში. მემარჯვენეები, რომლებმაც აშკარა ანტიბოლშევიკური ბრძოლა გაიჩაღეს, უნდა განვდევნოთ წარმოებიდან და საბჭოთა დაწესებულებებიდან.

კამათში გამოსული სხვა ამხანაგებიც ერთსულოვნად მოითხოვდნენ მემარჯვენეების წინააღმდეგ ორგანიზაციულ ზომების მიღებას პარტიის რიგებიდან გამორიცხვამდეც კი.

დასასრულ, ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელშიც კრება სასტიკად გმობს მემარჯვენეების ფრაქციულ მუშაობას და სთხოვს პარტიის უმაღლეს ორგანოებს მემარჯვენეების წინააღმდეგ გადამწყვეტ ზომების მიღებას.

პარტიაში

ყოველმხრივ დავეხმარებით პარტიას

მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში

პოლიგრაფტრესტის მეხუთე სტამბის კომუჯრედის დახურულ კრებამ მოისმინა ამხ. **ბედიას** მოხსენება მემარჯვენე ფრაქციონერთა უკანასკნელ თავხედურ ანტიპარტიულ გამოსვლების შესახებ.

კრება აღშფოთებით აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც ცხოვრებამ მთლიანად დაამსხვრია მემარჯვენე ოპორტუნისტების ყველა „წინასწარმეტყველებანი“, ისინი მაინც არ იშლიან თავიანთ ანტიპარტიულ მუშაობას. „ბუხარინის ახალგაზრდათა სკოლის“ წარმომადგენლების—სლეპკოვისა, აიხენვალდის, ზაიცევის და სხვების უკანასკნელი თვალთმაქცური გამოსვლები, რომელნიც აცხადებენ, რომ იზიარებენ პარტიის გენერალურ ხაზს და ამავე დროს თავს ესხმიან ამ ხაზიდან გამომდინარე თითქმის ყველა ძირითად პრაქტიკულ დასკვნებს, მოწმობს, რომ მემარჯვენე გადახრის იდეურად გაკოტრებული წარმომადგენელნი გადადიან აშკარა ფრაქციულ ბრძოლის გზაზე ლენინური პარტიის წინააღმდეგ.

უჯრედის კრება მოითხოვს, რათა პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებმა გადამწყვეტი ზომები მიიღონ გათავხედებულ მემარჯვენე ოპორტუნისტების წინააღმდეგ. ჩვენ ვიცით, თუ რათ სჭირდება აიხენვალდ-სლეპკოვის ფლიდური განცხადება იმის შესახებ, რომ ისინი იზიარებენ პარტიის ხაზს. ფრაქციული ბრძოლის ეს უკვე საკმაოდ გაცვეთილი ხერხი, მათ არ იხსნის სასტიკ პარტიულ პასუხისმგებლობისაგან.

უჯრედი აღუთქვამს პარტიის ცეკას ყოველგვარ დახმარებას მემარჯვენე ფრაქციონერების ანტიპარტიულ მუშაობის ძირშივე ალაკვეთად და ამავე დროს გაორკეცებული ენერგიით იბრძოლებს ტროცკისტული ნამსხვრევების ლიკვიდაციისათვის. უჯრედი მოუწოდებს ყველა წევრებს და კანდიდატებს მემარჯვენეთა წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად ერთი წუთითაც არ შეანელონ ბრძოლა „მემარცხენეების“ წინააღმდეგაც.

ავლაგმავთ მემარჯვენე ოპორტუნისტებს

ხარკოვი, 13 ნოემბერი. უკრაინის სამხედრო ოლქის უმაღლეს უფროსთა შემადგენლობის პარტიული ნაწილის თათბირმა მოისმინა უკრაინის კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის გენერალური მდივნის ამხ. კოსიორის მოხსენება და მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მემარჯვენე უკლონისტები არ ემორჩილებიან საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის აპრილის პლენუმისა და კომინტერნის აღმასკომის მე-10 პლენუმის დადგენილებებს და მიმართავენ ბრძოლის ფრაქციულ მეთოდებს. თათბირი მოითხოვს საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის პლენუმისაგან, რომ მან მემარჯვენე ფრაქციონერების მიმართ მკაცრი ორგანიზაციული ღონისძიებანი მიიღოს. (ადს).

მხარს უჭერენ პარტიის გენერალურ ხაზს

მოსკოვი, 13 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლუციის თორმეტი წლის თავის გამო საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისათვის გაგზავნილ მისალმებაში ლუგანსკის მუშები სწერენ:

„ჩვენ მტკიცედ ვიცავთ პარტიის გენერალურ ხაზს. ჩვენ მხარს ვუჭერთ ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებას. ძირს მერყევები და მხდალები“. (ადს).

ფრაქციული გამოსვლების წინააღმდეგ

ლენინგრადი, 13 ნოემბერი. ლენინგრადის ფაბრიკა-ქარხნებისა, სამხედრო ნაწილებისა და უმაღლეს სასწავლებლების კომუნისტები მთელ რიგ კრებებზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციებში კატეგორიულად ჰგმობენ მემარჯვენე უკლონისტების ოპორტუნისტულ თეორიებს და ფრაქციულ მუშაობას. რეზოლუციები მოითხოვენ, რომ ც. კ-მა ბოლო მოუღოს მემარჯვენეთა დეზორგანიზატორულ მუშაობას.

ლენინგრადის კომუნისტური უმაღლესი სასწავლებლისა, შლისელბურგის, პროლეტარული, ლითონისა და სხვა ქარხნების პარტიული კრებები მოითხოვენ, რომ მემარჯვენე უკლონისტებმა შესწყვიტონ ფრაქციული ბრძოლა და უარჰყონ თავიანთი ოპორტუნისტული თეორიები.

„კრასნი ტრეუგოლნიკ“-ის პარტიული კომიტეტის გაფართოებული პლენუმი აღნიშნავს მემარჯვენეების გადასვლას ფრაქციულ ბრძოლაზე და მოითხოვს, რომ საკავშირო კ.პ. (ბ) ც. კ-მა გადამჭრელი ზომები მიიღოს, რათა ბოლო მოეღოს მემარჯვენეების ანტიპარტიულ მუშაობას,—არ მოერიდოს ორგანიზაციულ დასკვნებსაც კი.

ანალოგიური რეზოლუციები კიდევ ბევრ საწარმოებზე იქნა მიღებული. (ადს).

კლასობრივი ხაზის დამახინჯება

ხარკოვი, 13 ნოემბერი. უკრაინის კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმი აღნიშნავს კლასობრივი ხაზის და პარტიის დირექტივების უხეშად დამახინჯებას ბერდიანსკის რაიონის საბჭოთა და კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობაში. ამ დამახინჯებამ კულაკებს და ნეპმანებს საშუალება მისცა შემძვრალიყვნენ კოლმეურნეობებში, არტელებში, კოოპერაციაში და საბჭოთა აპარატში, დაეჭირათ ხელმძღვანელი ადგილები ბევრ კოოპერატიულ არტელსა და ამხანაგობაში და საზოგადოებრივი სექტორის შეღავათები და კრედიტები გამოეყენებიათ საკუთარ ინტერესებისათვის.

ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ეს ფაქტები წარმოადგენენ მემარჯვენე ოპორტუნისტული გადახრის გამოხატულებას ბერდიანსკის საბჭოთა და კოოპერატიული ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში. ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმმა ბერდიანსკის პარტორგანიზაციის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებლად სცნო, ბერდიანსკის რაიპარტკომის ბიუროს სასტიკი საყვედური გამოუცხადა. რაიპარტკომის მდივანი მალაი მოხსნილ იქნა საპასუხისმგებლო მუშაობიდან, ამასთან სასტიკი საყვედური გამოეცხადა. პარტიიდან გამორიცხულ იქნენ რაიაღმასკომის თავმჯდომარე და სხვები,

ბერდიანსკში განმეორებით მოხდება საბჭოთა და კოოპერატიული უჯრედების წმენდა. დამნაშავენი პასუხისგებაში არიან მიცემული. რესპუბლიკის პროკურატურას წინადადება მიეცა—სასწრაფოდ მოახდინოს გამოძიება. (ადს).

კომკავშირის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზაციას გაჯანსაღება ესაჭიროება

კომკავშირის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზაციის შემადგენლობა ჭრელია. აქ ნახავთ ყოფილი მღვდლების, თავადების და ვაჭრის შვილებს, 1924 წლის აგვისტოს ავანტიურის აქტიურ მონაწილეებსაც. ამ ხალხის დიდი ნაწილი ორგანიზაციაში შემოვიდა მხოლოდ პირადი სარგებლობის მიზნით. ორგანიზაციის ასეთი შემადგენლობა, ცხადია, საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენს ყოველგვარი ანტი-პარტიული გადახრებისათვის.

ამას წინად, კომკავშირის სახ. უნივერსიტეტის ორგანიზაციაში მოსმენილ იქნა მოხსენება „ორ ფრონტზე ბრძოლის“ შესახებ.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამომჟღავნდა მემარჯვენე გადახრის ნიშნები კომკავშირელთა შორის. კამათში გამოსულ ამხანაგების ერთი ნაწილი მოითხოვდა, რომ „ცენტრმა“ მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ ძალდატანება არ უნდა იხმაროსო.

ამ კომკავშირელებს „ცენტრად“ წარმოუდგენია პარტია, რომელიც, მათი აზრით, ვითომც მემარჯვენეების და „მემარცხენეების“ შერიგებას ცდილობს. ასეთ ხალხს სრულებით ვერ შეუგნია, რომ ლენინის პარტიის გენერალური ხაზის გატარება მოითხოვს ორ ფრონტზე შეუნელებელ ბრძოლის წარმოებას.

კომკავშირელების ასეთ არაბოლშევიკურ გამოსვლას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაციამ საკადრისი პასუხი გასცა.

ამასთან დაკავშირებით, კომკავშირის უნივერსიტეტის ორგანიზაციამ ერთსულოვნად დაგმო ამხ. შაცკინის, სტენის, ბობრიშევის და სხვ. „მემარცხენე“ გამოსვლები. კრებამ ერთხმად მოიწონა კომკავშირის ა. კ. საოლქო კომიტეტისა და საქ. კომკავშირის ცეკას ბიუროს დადგენილება ამხ. ხომასურიძის და გაზეთ „მოლოდოი ლენინეცი“-ს შეცდომების შესახებ.

კომკავშირის სახ. უნივერსიტეტის ორგანიზაცია უსათუოდ უნდა გაიწმინდოს ისეთ ელემენტებისაგან, რომლებიც მხარს უჭერენ მემარჯვენეთა იდეოლოგებს და წარმოადგენენ ლენინურ კომკავშირისთვის მიუღებელ ელემენტებს.

ბ. ქ.

კოლმეურნეობათა ზრდა საქართველოში

ლენინის კოოპერატიული გეგმის მიხედვით, ჩვენი სოფლის წვრილი ინდივიდუალური მეურნეობანი უნდა გარდაიქმნას მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებათ მაღალ ტეხნიკის საფუძველზე. „ყველაზე სასარგებლოა, რომ ჩამორჩენილი, წვრილი, განკერძოებული გლეხური მეურნეობა თანდათან გაერთიანდეს, შეკავშირდეს მსხვილ სამიწადმოქმედო მეურნეობად“ (ლენინი ტომი მე-18. გვ. 189). ამ დებულებიდან გამომდინარეობდა საკავშირო კომუნისტური პარტიის მე-15-ტე ყრილობა, რომელიც თავის დადგენილებებში აღნიშნავს: „ამჟამად პარტიის ძირითად ამოცანას სოფლად წარმოადგენს წვრილი ინდივიდუალური მეურნეობების მსხვილ კოლექტივებად გაერთიანება და გარდაქმნა“.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 5 წლიანი გეგმა შედგენილ იქნა ამ დირექტივების თანახმად, რომელიც განიხილა საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-6 ყრილობამ. ყრილობა გადაჭრით აღნიშნავს ჩვენი სოფლის მეურნეობის კოლექტიურ საფუძველზე გარდაქმნის აუცილებლობას: „საქართველოს სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობის დაძლევის გადამჭრელ მეთოდს წარმოადგენს მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შექმნა. მხოლოდ მსხვილ წარმოებას შეუძლია უზრუნველჰყოს შრომის დიდი ნაყოფიერება და სოფლის მეურნეობის განვითარების სწრაფი ტემპი“. ყრილობის მიერ დამტკიცებული გეგმა ითვალისწინებს ხუთი წლის განმავლობაში გლეხურ მეურნეობათა 16,4 პროცენტით კოლექტიურ გაერთიანებას. კოლექტივების მოსახლეობა უნდა შეადგენდეს მთელი გლეხური მოსახლეობის 15,6 პროცენტს, კოლექტივების ნათესების ფართობი ხუთი წლის ბოლოს უნდა შეადგენდეს მთელი ნათესის 16 პროცენტს და სხვა... ამას ემატება აგრეთვე საბჭოთა მეურნეობები ხუთი წლის შემდეგ. ამრიგად განსაზოგადოებული სექტორის მიწად-სარგებლობა უნდა უდრიდეს ჩვენში 16,4 პროცენტს, ნათესის ფართობი—16,8 პროცენტს.

ხუთწლედის ერთმა სამეურნეო წელმა უკვე განვლო. ოქტომბრის რევოლუციის 12 წლის თავზე აუცილებელია შემოწმებულ იქნეს ჩვენი მიღწევები სოციალისტურ აღმშენებლობაში. ამ შემთხვევაში საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორ ხორციელდება 5 წლიანი გეგმა სოფლის მეურნეობის განვითარებაში. კერძოთ რა მიღწევები გვაქვს ჩვენ სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებულ სექტორში. ჩვენ ხელთ გვაქვს 1928 და 29 წ. 1-ლ ივნისისათვის კოლმეურნეობათა აღწერის წინასწარი შედეგები. რომ მიღწევები თვალსაჩინო გახდეს, მოვიყვანოთ რამოდენიმე ცნობა *) ამ გამოკვლევიდან და განვიხილოთ განსაზოგადოებული სექტორი მის დინამიკაში.

1928 წელს საქართველოში ჩვენ გვქონდა სასოფლო სამეურნეო კომუნა 11, სასოფლო-სამეურნეო არტელი 135, მიწის საზოგადოებრივი შრომით დამუშავების ამხანაგობანი 98, ხოლო 1927 წელს კომუნების რიცხვი გაიზარდა 20-მდე, სასოფლო-სამეურნეო არტელების 528-მდე და მიწის საზოგადოებრივი შრომის დამუშავების ამხანაგობანი 200-მდე. გაიზარდა ასევე კოლექტიურ გაერთიანებათა სამივე ხსენებული სახის სათესი ფართობი 2156,0 ჰექტარიდან 11492,8 ჰექტარამდე. თუ 1928 წელს კოლმეურნეობებში ჩაბმული იყო 3649 წევრი, 1929 წელს კი ჩაბმული იყო 11690.

მოყვანილი ცხრილი ყოველ ახსნა-განმარტების გარეშე ნათელს ხდის თუ რა უჩვეულო ტემპით ვითარდება ჩვენი სოფლის მეურნეობა სოციალისტური გზით. ერთი წლის განმავლობაში კომუნები გაიზარდა 82 პროცენტით. სასოფლო-სამეურნეო არტელები—291 პროცენტით და მიწის საზოგადოებრივად დამუშავების ამხანაგობები 104 პროცენტით. საშუალოთ ყველა სახის კოლმეურნეობის მატების პროცენტი უდრის 207-ს. ცხადია, კოლმეურნეობათა ასეთი ზრდა აიხსნება როგორც ხელისუფლების მიერ მიღებული ზომებით ისე იმის გამოც, რომ გლეხობის ღარიბმა ფენამ და საშუალო გლეხობის საგრძნობმა ნაწილმა უკვე თანდათან შეიგნო წვრილი მეურნეობის კოლექტიურ საფუძველზე გარდაქმნის აუცილებლობა. ეკონომიური ეფექტი, რომელიც კოლექტიურად გაერთიანებას თან სდევს, სრული შეგნებით იზიდავს ღარიბ გლეხობას კოლექტივისაკენ.

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ კოლექტიური მეურნეობის რომელი ფორმა აღმოჩნდა უფრო მისაღები ჩვენს პირობებში, — რომელში უფრო ერთიანდებიან გლეხები, მაღალი თუ დაბალი ტიპის კოლექტივებში. კოლმეურნეობათა საერთო რიცხვიდან — 748 სას.-სამ. არტელებზე მოდის — 528, ესე იგი 70,6 პროც. ყველა კოლექტივებისა. მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობათა რიცხვი 200, ესე იგი 26,7 პროც., დანარჩენი (2,7 პროც.) კომუნებია. აქედან, ცხადია, რომ საქართველოში ყველაზე უფრო გავრცელებულია სას.-სამეურნეო არტელები. თუ განვიხილავთ იმ პროცესებს, რომელსაც ადგილი აქვს კოლმეურნეობათა განვითარებაში, დავრწმუნდებით, რომ არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ მაღალი ტიპის კოლექტიური გაერთიანება გადასულიყოს დაბალში. პირიქით, მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელ ამხანაგობიდან ადგილი აქვს არტელის ფორმაზე მასიურად გადასვლას, რაც ნიშნავს კოლმეურნეობათა განვითარებას სწორი გზით.

კოლმეურნეობათა რიცხვობრივ ზრდასთან ერთად, სწრაფად იზრდება ნათესის ფართობი. 1928 წელს კოლექტიური ნათესის ფართობი უდრიდა 2156,0 ჰექტარს, 1929 წელს კი — 11492,2 ჰექტარს, მატება უდრის—433 პროც. თუ განვიხილავთ ნათესის ფართობის ზრდას თვითეული სახის კოლექტივებში, ვნახავთ, რომ აქაც პირველი ადგილი სას.-სამ. არტელებს უკავიათ. ნათესი ფართობის მატება არტელებში უდრის — 539 პროც. შემდეგ მიდის მიწ. საზ. შრომით დამმუშავებ. ამხ-ბები, სადაც მატება უდრის 509 პროც. თუ შევადარებთ კოლმეურნეობათა რაოდენობის ზრდას ერთი წლის განმავლობაში მათი ნათესის ფართობის ზრდას, ნათლად სჩანს, რომ კოლექტიურ მეურნეობათა რიცხვობრივ ზრდას თან სდევს კიდევ უფრო მეტად მისი ეკონომიური სიძლიერის ზრდა. 1928 წელს თითო კოლექტივზე საშუალოდ მოდის 8,5 პროც. ჰექტარი ნათესი, 1929 წელს — 15,3 ჰექტარი. აქედან ცხადია, თუ რა სწრაფად ძლიერდება ჩვენი კოლექტივები.

ასეთივე ტემპით იზრდება კოლმეურნეობებში გაერთიანებულ ინდივიდუალურ მეურნეობათა რაოდენობა და კოლექტივის მთელი მოსახლეობა. ერთი წლის განმავლობაში კოლექტივებში გაერთიანებულ გლეხურ მეურნეობათა რიცხვმა 3699-დან მიაღწია 11690-მდე. ზრდა უდრის 220 პროც. მთელს საქართველოში კოლექტივიზაციაქმნილი მეურნეობანი შეადგენენ გლეხური მეურნეობის [illegible] პროც. კოლექტივის მოსახლეობა კი შეადგენს მთელი სოფლის მოსახლეობის 2,5 პროცენტს. თუ ავიღებთ ცნობებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ ტიპიურ მაზრებისას, გვაქვს მეტად საინტერესო ციფრები. კახეთის ოლქში კოლექტივიზაციაქმნილია გლეხურ მეურნეობის 4,5 პროც., მასში გაერთიანებული მოსახლეობა კი— 3,7 პროც., ოზურგეთის მაზრაში ჩვენ გვაქვს კოლექტივიზაციის სარეკორდო ციფრი. კოლექტივებში გაერთიანებულია მეურნეობათა 13,9 პროც., კოლექტივების მოსახლეობა შეადგენს სოფლის მოსახლეობის 14 პროც. ეს ცნობები ამტკიცებენ, რომ კოლექტივიზაციის საქმეში ჩვენ გვაქვს დიდი მიღწევა.

სოფლად სოციალისტური აღმშენებლობა არ განისაზღვრება მარტო წვრილ გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციით, აქ თვალსაჩინო ადგილი უკავია მსხვილ საბჭოთა მეურნეობების განვითარებას.

რა სურათი გვაქვს ამ მხრივ?

საბჭოთა მეურნეობების რიცხვი 1928 წელს უდრიდა 37, ხოლო 1929 წელს 39 (საცდელ-საჩვენებელ და ადგილობრივ აღმასკომების საბჭოთა მეურნეობათა გარეშე). საბჭოთა მეურნეობების სათესი ფართობი — 1010,6 ჰექტარს უდრიდა, ხოლო 1929 წელს— 2071,5 ჰექტარს, ფართობის მატება მთელი 105,6 პროცენტს შეადგენს. საბჭოთა მეურნეობებს 1928 წელს ჰყავდათ 6207 სული საქონელი, 1929 წელს — 11828, ანუ 90,6 პროც. ზრდა.

როგორც ვხედავთ მსხვილი საბჭოთა მეურნეობანი 1-ლი წლის განმავლობაში რაოდენობის მხრივ გაზრდილა 5,4 პროცენტით, მაგრამ აღებული ხაზი საბჭოთა მეურნეობების განვითარებაში გამოიხატება არა მარტო მათი რიცხვობრივად გამრავლებაში, არამედ უმთავრესად ამ მეურნეობათა ეკონომიურად გაძლიერებაში. ამ თვალსაზრისით ჩვენ უსათუოდ დიდი მიღწევა გვაქვს. საბჭოთა მეურნეობანი საქართველოში ერთი წლის განმავლობაში ერთი-ორად გაძლიერდა.

ყველა ეს ცნობები უკვე საკმაო საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ხუთწლიანი გეგმა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დარგში რეალურად ხორციელდება, პირველმა წელიწადმა ამ მხრივ მოლოდინს საგრძნობლად გადააჭარბა. სოციალისტური სექტორი სოფლად ჩქარი ტემპით ვითარდება.

ვ. ჯანელიძე.

---

*) ჩვენ არ მოგვყავს ცნობები იმ კოლექტივთა შესახებ, რომელნიც 1929 წლის აღწერის დროს ფაქტიურად არსებობდენ, მაგრამ წესდება არ ჰქონდათ ჯერ კიდევ დამტკიცებული.

სოფელთან დაკავშირებულ მუშების თათბირი

თათბირზე ადგილი ჰქონდა მემარჯვენე გამოსვლას. მუშა ჭელიძემ უარყო კულაკებთან ბრძოლის საჭიროება, შეუძლებლად აღიარა სოფლის კოლექტივიზაცია

ამხ. ლ. სუხიშვილის მოხსენება

სოფელთან დაკავშირებულ მუშების თათბირი მოწვეულ იქნა ამ დღეებში ლენინის რაიონში. თათბირზე ვრცელი მოხსენებით პარტიის პოლიტიკის შესახებ სოფლად და სოფელთან დაკავშირებულ მუშების ამოცანებზე გამოვიდა ამხ. ლადო სუხიშვილი.

მუშათა კლასი,—ამბობს მომხსენებელი,—არის მშრომელი გლეხობის ხელმძღვანელი. მუშათა კლასის თაოსნობით და ხელმძღვანელობით ჩვენი სოფლის მეურნეობა უნდა გარდაიქმნას სოციალისტურ მეურნეობად. სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მოჯამაგირეების დარაზმვა ღარიბ და საშუალო გლეხობასთან ერთად კულაკების წინააღმდეგ, რადგან ეს უკანასკნელნი წარმოადგენენ ახალი, სოციალისტური სოფლის მშენებლობის დაუძინებელ მტრებს.

საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის ურთიერთ კავშირის განმტკიცება. დღეს საკმაო არ არის ისეთი კავშირი, რომელიც სამოქალაქო ომის დროს არსებობდა მუშებსა და გლეხებს შორის. მუშათა კლასის წინაშე დღეს უფრო რთული ამოცანებია დასმული, ვიდრე ეს იყო სამოქალაქო ომის დროს. ამიტომ, დღევანდელ პირობებში საჭიროა გლეხობასთან კავშირის გარდაქმნა ახალ ამოცანებთან შეფარდებით, სახელდობრ:—საწარმოო კავშირის დამყარება. საწარმოო კავშირი გულისხმობს იმას, რომ ღარიბისა და საშუალო გლეხობა გავაერთიანოთ კოლექტიურ მეურნეობებში, არტელებში, კომუნებში და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დაარსებას, კონტრაქტაციის განვითარების გზით. ამ ამოცანების შესრულება გააუმჯობესებს გლეხობის ეკონომიურ მდგომარეობას და განამტკიცებს პროლეტარიატის პოლიტიკურ გავლენას გლეხობაზე, ის უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნას, რისთვისაც მუშათა კლასი ყველაზე მეტადაა დაინტერესებული, რადგან სოფლის მეურნეობა მრეწველობის შინაური ბაზარია, ის სამრეწველო ნედლეულის და სამრეწველო მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიმწოდებელია.

ამ ამოცანებს პარტია და ხელისუფლება ახორციელებს მთელი რიგი ღონისძიებათა გატარებით. ამ საქმის გარშემო მობილიზაცია ქმნილია მთელი პარტიული და საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღება. მაგრამ ეს კიდევ არაა კმარა. საჭიროა მთელი მუშათა კლასის მონაწილეობა და აქტიური დახმარება. იმ ამოცანათა განხორციელების საქმეში, რომელსაც ისახავს პარტია და ხელისუფლება სოფლად, განსაკუთრებით დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ იმ მუშებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სოფელთან.

ჩვენს პირობებში, კერძოდ კი თბილისში ასეთი მუშები მრავალია. სანამ შევუდგებოდეთ სოფელთან კავშირის მქონე მუშების ამოცანათა განხილვას, საჭიროა მოკლედ დავახასიათოთ ის მდგომარეობა, რომელიც დღეს გვაქვს სოფლად.

საქართველო უმთავრესად გლეხური ქვეყანაა, ამიტომ ჩვენს მუშაობაში სოფლის მეურნეობის საკითხებს უჭირავს დიდი ადგილი. პარტიის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა სოფლად ნაყოფი გამოიღო. კერძოთ, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში ჩვენ გვაქვს ასეთი მიღწევები: 1928 წლის 1 ოქტომბრისათვის ითვლებოდა საქართველოში 325 კოლმეურნეობა, 1929 წლის 1 ოქტომბრისთვის კი ითვლება 910 კოლმეურნეობა, ე. ი. კოლმეურნეობათა ზრდა ერთი წლის განმავლობაში უდრის 282 პროცენტს. მთელი სახნავ-სათესი მიწების ის ნაწილი, რომელიც გაერთიანებულია კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში გაიზარდა 0,9 პროცენტიდან—3,5 პროცენტამდე. ამჟამად უკვე გადადგა ნაბიჯები მსხვილ კოლმეურნეობათა შესაქმნელად. არის შემთხვევები, როდესაც სოფლები მთლიანად შედიან კოლმეურნეობებში; მაგ., სოფ. კოდალო, ზემო ქედის რაიონის 4 სოფელი და სხვ. მსგავს მოვლენებს აქვს ადგილი გორისა და თბილისის ოლქში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კოლმეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს დავალება პურის დამზადების საქმეში. შემდეგისათვის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას ხელს შეუწყობს და გააძლიერებს სატრაქტორო კოლონების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დაარსება. მომავალ წელს მოწყობილი იქნება საქართველოში ორი სამანქანო-სატრაქტორო სადგური. თვითეულ სადგურს ექნება 70 ძლიერი ტრაქტორი და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები. წარსულ წელს ტრაქტორების მიერ მუშავდებოდა მხოლოდ 25 ათასი ჰექტარი მიწა, მომავალ წელს კი შესაძლებელია დამუშავდეს უკვე 100 ათასი ჰექტარი. შემოტანილი იქნება დამატებით 280 ტრაქტორი. მთავრობის დადგენილებით სამი წლის განმავლობაში კავი სრულიად უნდა განდევნის ხმარებიდან. მიღებულ ღონისძიებათა საშუალებით, მიუხედავად არა ხელსაყრელი პირობებისა, დათესილი სივრცე წარსულ წელს გაიზარდა 2,5 პროცენტით.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში გაერთიანებულია ღარიბ და საშუალო გლეხურ მეურნეობათა 49 პროც. წარსულ წელს კი 35 პროცენტი, სამომხმარებლო კოოპერაციაში ჩაბმული გლეხობა 50,1 პროც., წარსულ წელს იყო 36 პროცენტი. რასაკვირველია ეს დიდი მიღწევებია, მაგრამ ჩვენ ამ მიღწევებით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. სოფელი მეტად ჩამორჩენილია კულტურულად. საერთოდ საქართველოში წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი 64,1 პროცენტს უდრის. საქ. კ. პ. (ბ) მეექვსე ყრილობის დადგენილებით კი საქართველოში წერა-კითხვის უცოდინარობა სავსებით უნდა აღმოიფხვრას სამი წლის განმავლობაში.

რა არის მაშასადამე სოფელთან დაკავშირებულ მუშების კონკრეტული ამოცანები? ესაა: წვრილი დაქსაქსული ინდივიდუალური მეურნეობის გაერთიანება კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობაში, მოჯამაგირეების, ღარიბისა და საშუალო გლეხობის დარაზმვა სხვადასხვა სახის კოოპერაციაში. გლეხობაში სათანადო აგიტაციის გაწევით მოსავლიანობის გადიდებისთვის ხელის შეწყობა, აგრომინიმუმის გატარება სოფლად, ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან, მოჯამაგირეების და ღარიბ და საშუალო გლეხობის დარაზმვა კულაკების წინააღმდეგ და რაც მთავარია, პირველ რიგში თქვენი საკუთარი მეურნეობის კოლექტივებში გაერთიანება, რომ ამით მაგალითი მისცეთ მშრომელ გლეხობას, როგორც მოწინავე მუშებმა.

იმ მუშებმა, რომელთაც სოფელთან ჯერ არ გაუწყვეტიათ კავშირი, შეუძლიათ ეს მცირე დრო, რომელსაც ისინი სოფლად ატარებენ შვებულების თუ სხვა მიზნით გამგზავრების დროს, გამოიყენონ სოფლად პარტიისა და ხელისუფლების დადგენილებათა პოპულარიზაციისათვის, გასაგები მუშური ენით განუმარტონ ჩვენს ღარიბ და განსაკუთრებით საშუალო შეძლების გლეხებს, რომ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია ასწევს მათ მატერიალურ კეთილდღეობას და გამოიყვანს მშრომელ გლეხობას იმ გაჭირვებიდან, რომელშიაც ის იმყოფება სოფლის მეურნეობის ტეხნიკური ჩამორჩენილობის გამო.

სამწუხაროდ არის ფაქტები, რომ სოფლად ჩასული ზოგიერთი მუშა ეწევა აგიტაციას კოლექტივიზაციის წინააღმდეგ, ემხრობა კულაკებს, არ ღებულობს სოფლის საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას და სხვ. რასაკვირველია ასეთ მოვლენებს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოთ.

სოფელთან კავშირის განმტკიცებისათვის დიდ მუშაობას აწარმოებს საშეფო საზოგადოება. მაგრამ არის არა ნაკლები საშუალება აღნიშნული კავშირის დასაჭერად სოფელთან. ეს არის სათვისტომოები. ჩვენი პარტიის ჯერ კიდევ მეცამეტე ყრილობამ პირველმა დასვა საკითხი სათვისტომოთა დაარსების შესახებ, მაგრამ ის რატომღაც დღემდე ერთ წერტილზე გაყინულა. მე-15-ტე ყრილობამ კვლავ დასვა სათვისტომოების საკითხი და აღნიშნა ამ მუშაობის დიდი მნიშვნელობა. საჭიროა გამოვიყენოთ ყოველმხრივ სოფელთან დაკავშირების ეს ფორმა და გავაძლიეროთ სათვისტომოების მუშაობა.

თავის სიტყვის დასასრულს ამხ. სუხიშვილმა მოუწოდა იმ მუშებს, რომელთაც კავშირი აქვთ სოფელთან ჩაუდგნენ სათავეში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას და გაატარონ ცხოვრებაში ის ამოცანები, რომელნიც მოითხოვს პროლეტარიატის ინტერესები ჩვენს ქვეყანაში წარმატებით სოციალისტური აღმშენებლობისათვის.

კამათი ამხ. სუხიშვილის მოხსენების ირგვლივ

ამხ. გორდაძე მიზანშეწონილად სცნობს სოფელთან დაკავშირებულ მუშების თათბირის მოწვევას, რადგან სოფელთან დაკავშირებულ მუშებმა საუკეთესოდ იციან სოფლის ჭირ-ვარამი და ყველაზე უკეთესად შეუძლიათ თავიანთ სოფლის მშრომელ გლეხობისათვის დახმარების გაწევა. ამხ. სიყვარულიძე მოითხოვს რომ მუშები, და განსაკუთრებით სოფელთან დაკავშირებული ამხანაგები ნათლად გაერკვენ სოფლად მუშაობის ამოცანებში, იმისათვის რომ მათ არ დაამახინჯონ პარტიის ხაზი სოფლად. მუშები, რომ გახდნენ საუკეთესო მასწავლებლები გლეხების, ამისათვის საჭიროა, რათა თვდაპირველად თვით მათ შეისწავლონ კარგათ სოფლის განვითარების თანამიმდევრობის გზები.

არ არის საკმარისი, რომ სოფლად დაკავშირებულმა მუშებმა მარტო ვილაპარაკოთ კოლექტივებზე, მოუწოდოთ გლეხობას კოლექტივებში გაერთიანება და ჩვენ კი კოლექტივების გარეშე დავრჩეთ. საჭიროა თვით ჩვენ, სოფელთან კავშირის მქონე მუშებმა მივცეთ პირველი მაგალითი გლეხობას კოლექტივიზაციის საქმეში—ამბობს ამხ. ვაშაკიძე. საბჭოთა კანონმდებლობის ახსნა-განმარტებას აღნიშნავს ამხ. შეჟინაძე—ნაკლები ყურადღება ექცევა. საჭიროა ყოველი მუშა კარგად გაერკვეს საბჭოთა კანონმდებლობის საკითხებში, რომ სოფლად ჩასვლის დროს მან სწორი ცნობები მიაწოდოს გლეხებს.

ჩემი წინადადებაა, ამბობს ამხ. დუნდუა,—რომ სოფელთან დაკავშირებულმა მუშებმა ერთმანეთი გამოვიწვიოთ სოც. შეჯიბრებაში და გავაერთიანოთ საკუთარი მეურნეობანი კოლექტივებში.

მეტი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები, მეტი ტრაქტორები გადავისროლოთ სოფელში, ამბობს ამხ. გოგნიაშვილი, ჩვენ ამისათვის არ დავიშურებთ უკანასკნელ კაპეიკსაც კი.

ხშირად გავგზავნოთ მუშათა ბრიგადები აგიტ-კოლონები სოფლად, მოვაწყოთ სათვისტომოები, რომ ამით დავაჩქაროთ სოფლის სოციალისტურად გარდაქმნა—ამბობს ამხ. მაპინაშვილი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ თათბირზე თავი იჩინა მემარჯვენე განწყობილებამ. ამ აღნიშნავს კამათში გამოსული ამხ. ჭელიძე: **კოლექტივებში ჯერ მუშებმა უნდა შევიდეთ ჯერ ქალაქად და შემდეგ გლეხობას დაუწყეთ ლაპარაკი კოლექტივების შესახებ. არ გვყავს რაჭაში კულაკები და ყოველ ნაბიჯზე კი გაგვყვირიან რომ კულაკობა სოფლად ჩაგრავს ღარიბ გლეხობას. კულაკების რაოდენობა თითებზე ჩამოსათვლელია. ისინი არც უნდა გვეშინოდეს.**

რასაკვირველია ასეთ გამოსვლებზე მუშებმა ამხ. ჭელიძეს სათანადო პასუხი გასცეს. კამათში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ამხ. ქვაშილავამ, ის. თედიაშვილმა, ქ. კალანდაძემ, ხატიაშვილმა, მანგიაშვილმა, წიქარიშვილმა, შალამბერიძემ, წიქაძემ. მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ თათბირმა მიიღო რეზოლუცია. უნდა აღინიშნოს, რომ თათბირი [illegible] ჩატარდა.

პურის დამზადების შედეგები საქართველოში

სულ დამზადებულია 615.798 ფ. ხორბლეული, გეგმა შესრულებულია 23,1 პროც. გადამეტებით

პურის დამზადებაში საუკეთესო შედეგებს მიაღწია ცეკავშირმა, რომელმაც თავის ხაზით გეგმა შეასრულა 127,5 პროცენტით

პურის დამზადების კამპანია მთელ საქართველოში წარმატებით დამთავრდა

პურის დამზადება საქართველოში დასასრულს უახლოვდება. დამზადება სწარმოებდა კახეთის, გორის და თბილისის ოლქებში და ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში.

გეგმის მიხედვით სულ დამზადებული უნდა ყოფილიყო 500.000 ფუთი ხორბლეული, აქედან 400 ათასი ფუთი პური და 100 ათასი ფუთი ქერი; ნამდვილად კი დამზადებულია, 606.798 ფუთი ხორბლეული (462.057 ფუთი პური და 144.741 ფუთი ქერი), ე. ი. გეგმა შესრულებულია 121,4 პროც.-ით.

პურის დამზადება ცალკე რაიონების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

კახეთის ოლქს უნდა დაემზადებია 270.000 ფუთი ხორბლეული (235.000 ფ. პური და 35.000 ქერი), ნამდვილად კი დაამზადა 324.081 ფუთი (280.457 ფუთი პური და 43.624 ფუთი ქერი), ე. ი. გეგმა შესრულებულია 120 პროც.-ით.

გორის ოლქში გეგმის მიხედვით დამზადებულ უნდა ყოფილიყო 97.000 ფუთი ხორბლეული (86.000 ფუთი პური და 11.000 ფუთი ქერი), ნამდვილად კი დამზადებულია 102.426 ფუთი (84.159 ფუთი პური და 18.267 ფუთი ქერი), ე. ი. გეგმა შესრულებულია 105,6 პროც.-ით.

თბილისის ოლქს გეგმის მიხედვით უნდა დაემზადებია 75.000 ფუთი ხორბლეული (59.000 ფუთი პური და 16.000 ფუთი ქერი), ნამდვილად კი დამზადა 122.133 ფ. (84.434 ფუთი პური და 37.699 ფუთი ქერი), ე. ი. გეგმა შესრულა 162,8 პროც.-ით.

ახალციხის მაზრაში გეგმის მიხედვით დამზადებული უნდა ყოფილიყო 20 ათასი ფუთი ხორბლეული (11.000 ფუთი პური და 9.000 ფუთი ქერი); დამზადებულია 15.191 ფუთი; (5.975 ფუთი პური და 9.215 ფუთი ქერი); გეგმა შესრულებულია 76 პროც.-ით.

ახალქალაქის მაზრაში გეგმის თანახმად დამზადებული უნდა ყოფილიყო 38.000 ფუთი ხორბლეული (9.000 ფუთი პური და 29.000 ფ. ქერი), ნამდვილად კი დამზადებულია 42.967 ფუთი (7.029 ფუთი პური და 35.935 ფუთი ქერი); გეგმა შესრულებულია 113,1 პროცენტით.

ამას გარდა შირაქის ხორბლეულის საბჭოთა მეურნეობამ უშუალოდ ჩააბარა სათანადო ორგანიზაციებს 9 ათასი ფუთი ხორბალი.

ამრიგად, სულ საქართველოში დამზადებულია 615.798 ფუთი ხორბლეული, ე. ი. წლიური დავალება შესრულებულია 123,1 პროცენტით.

დამმზადებელ ორგანიზაციებიდან პირველ ადგილზე სდგას ცეკავშირი, რომელმაც გეგმა თავის ხაზით შესრულა 127,5 პროცენტით.

ცალკე რაიონებიდან ყველაზე წინ სდგას თბილისის ოლქი, რომელმაც დავალება შესრულა 162,8 პროც.-ით, შემდეგ კახეთის ოლქი (120 პროც.), ახალქალაქის მაზრა (113,1 პროც.), გორის ოლქი — (105,6 პროც.), და, ბოლოს ახალციხის მაზრა, სადაც წლიური დავალების შესრულება 15 ოქტომბრისათვის უდრის მხოლოდ 76 პროც.; პურის დამზადება აღნიშნულ მაზრაში გრძელდება და არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ გეგმა შესრულებული იქნება მთელი 100 პროცენტით.

ხორბლეულის ძირითადი მასა, როგორც მოსალოდნელი იყო, დამზადებული იქნა კახეთის ოლქში — 333.081 ფუთი, რაც მთელ რესპუბლიკაში დამზადებულ პურის რაოდენობის 54 პროც.-ს შეადგენს.

პურის დამზადება შემდეგი მიმართულებით სწარმოებდა: შესყიდვით დამზადებული იქნა 565.885 ფუთი ხორბლეული; კონტრაქტაციით დამზადებულია 49.913 ფუთი. პურის დამზადებას კონტრაქტაციის წესით აწარმოებდა მხოლოდ „სოფლის კავშირი". სულ სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ხაზით დამზადებული იქნა 249,717 ფუთი, აქედან კონტრაქტაციის წესით დამზადებულია 20 პროც.;

ხორბლეულის სუსტი შეგროვება კონტრაქტაციის წესით აიხსნება ორგანიზაციული დეფექტებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1928 წლის შემოდგომის ნათესების და 1929 წლის გაზაფხულის ნათესების კონტრაქტაციის კამპანიის ჩატარების დროს, და აგრეთვე სტიქიურ უბედურობებით, რამაც გამოიწვია მოსავლის დაღუპვა კონტრაქტაციაქმნილ სივრცეზე კახეთის და თბილისის ოლქის და ახალციხის მაზრის ზოგიერთ რაიონებში.

კოლმეურნეობათა მონაწილეობა პურის დამზადებაში გამოიხატება შემდეგში:

1-ლ ოქტომბრისათვის კოლმეურნეობებმა დამმზადებელ ორგანიზაციებს ჩააბარეს 77.219 ფუთი ხორბლეული, ე. ი. 97 პროც. იმ რაოდენობისა (78.000 ფ.), რომელიც უნდა ჩაებარებინათ გეგმის მიხედვით.

პურის დამზადებას აწარმოებდნენ შემდეგი ორგანიზაციები:

კახეთის ოლქში — 19 სამომხმარებლო საზ-ბა და 25 საკრედიტო ამხ-ბა, თბილისის ოლქში — 13 სამომხმარებლო საზოგადოება და 23 საკრ. ამხ-ბა, გორის ოლქში — 8 სამომხმარებლო საზოგადოება და 10 საკრედიტო ამხანაგობა, ახალციხის მაზრაში — 4 სამომხმარებლო საზ-ბა და 3 საკრ. ამხ-ბა, ახალქალაქის მაზრაში — 6. სამომხმ. საზ-ბა და 4 საკრ. ამხ-ბა, სულ რრ დამმზადებელი პუნქტი სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის და 50 პუნქტი ცეკავშირის ხაზით.

პურის დამზადების შედეგები

(გორის ოლქის გამოცდილება)

თუ ჯერ კიდევ ერთი წლის წინად არ იყო ყველასათვის ცხადი—რამდენად საჭიროა საქართველოში პურის დამზადების ჩატარება, დღეს ასე წარმატებით განხორციელებულმა კამპანიამ უკვე ცხადჰყო, რომ ამ საკითხში აღარ შეიძლება რაიმე ეჭვის შეტანა.

პურის დამზადების კამპანიამ ერთხელ კიდევ ნათელჰყო ჩვენი მუშაობის, როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები. ამიტომ მთელი ჩვენი შემდგომი მუშაობისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მიღწევებისა და დეფექტების სისწორით აღნუსხვას, რომელთაც ადგილი ჰქონდათ კამპანიის ჩატარების დროს. პარტიის მიერ ჩატარებული მასიური პოლიტიკური კამპანიის წყალობით, პურის დამზადება გორის ოლქში შესრულებულ იქნა 116 პროცენტით. პურის დამზადების მთელი პერიოდის განმავლობაში, როგორც საოლქო, ისე ქვედა პარტაქტივი, მიმაგრებული იყო ადგილებზე. პარტიამ მოახერხა მოეწყო სხვადასხვა ფორმის ფართო მასიური მუშაობა (სოც. შეჯიბრება რაიონებსა და სოფლებს შორის, ინდივიდუალური სოც. შეჯიბრება საგიტაციო კოლონები, წითელი ქარავნები და სხვ.).

იმ მასიური მუშაობის გამოცდილება, რომელიც მივიღეთ პურის დამზადების დროს, უნდა გამოვიყენოთ ყველა დიდი პოლიტიკური კამპანიის ჩატარების დროს სოფლად.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს მთელი პარტიული მასის დიდი აქტივობა. კომუნისტები და კომკავშირელები არა მარტო ახსნა-განმარტებით კამპანიას აწარმოებდნენ, არამედ პირად მაგალითსაც აძლევდნენ სხვებს (კომუნისტებმა და კომკავშირელებმა სათანადო ორგანოებს 7.686 ფუთი მარცვლეული ჩააბარეს).

მაგრამ პარტიული ორგანიზაციის ცალკე რგოლებში, ცალკე კომუნისტებს შორის ადგილი ჰქონდა კლასობრივი ხაზის დამახინჯებას, პარტიული დირექტივების დარღვევას, მემარჯვენე გადახრის ცალკე ფაქტებს. არის ისეთი ფაქტები, როგორიც ცალკე კომუნისტების გამოსვლა პურის დამზადების წინააღმდეგ, კულაკების დაცვა, გლეხობის ყველა ფენების დაბეგვრა, ცალკე შემთხვევები, როდესაც საშუალო გლეხები იბეგრებოდნენ კულაკებთან თანაბრად და სხვ.

კომკავშირის ორგანიზაციები პურის დამზადების კამპანიაში გამოდიოდნენ, როგორც მისი აქტიური მონაწილენი და ორგანიზატორები. ცალკე უჯრედებსა და რაიონებს შორის ჩატარებულ იქნა სოციალისტური შეჯიბრება. პურის დამზადების საკითხი განხილულ იქნა კომკავშირის ყველა უჯრედებში, ყველგან მოეწყო მსუბუქი კავალერიის რაზმები. ესენი თვალყურს ადევნებდნენ იმას, თუ რამდენად ხორციელდებოდა სოფლის ყრილობების და ღარიბ გლეხთა კრებების გადაწყვეტილებანი, ააშკარავებდნენ კულაკების არასრულ დაბეგვრის და მათ მიერ ზედმეტი პურის გადამალვის შემთხვევებს.

კომკავშირის უჯრედები დახმარებას უწევდნენ პარტუჯრედებს ღარიბ გლეხთა კრებების და ღარიბთა ჯგუფების მოწყობაში. კომკავშირის მიერ ჩატარებული „ერთ-დღიური"-ს წყალობით, პურის დამმზადებელ ორგანოებს მარტო კომკავშირელებმა 4.179 ფუთი მარცვლეული ჩააბარეს. ამასთან ერთად, აქაც, როგორც პარტიულ ორგანიზაციაში, ადგილი ჰქონდა პურის დამზადების წინააღმდეგ გამოსვლისა და კულაკების დაცვის შემთხვევებს და სხვ. პურის დამზადების კამპანიის შედეგები ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული უცხო ელემენტებისაგან კომკავშირის რიგების გაწმენდის დროს.

პარტიას უხათუოდ დიდი მიღწევები აქვს კულაკის წინააღმდეგ საბრძოლველად ღარიბთა დარაზმვისა და საშუალო გლეხებთან კავშირის განმტკიცების საქმეში. ღარიბი გლეხობის დასარაზმავად გაწეულ მუშაობას უნდა მიეწეროს ის, რომ გადაჭრით დაძლეულ იქნა კულაკების წინააღმდეგობა და დამზადებული პურის ძირითადი მასა (81,4 პროცენტი) ჩაბარებულ იქნა ღარიბი და საშუალო გლეხების მიერ.

პურის დამზადების კამპანიამ მოგვცა იმისი ცხადი გაკვეთილი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ღარიბ გლეხებს შორის მუშაობას.

კულაკი ეწინააღმდეგება პურის დამზადებას მისთვის მისაწვდენი ყოველი ღონისძიებით. ეს ღონისძიებებია: კრებების ჩაშლის ცდა, პროვოკაციული ხმების გავრცელება, ყრილობების დადგენილებათა განსაჩივრება საბჭოთა უმაღლეს ორგანოებში, თითო-ოროლა ღარიბი და საშუალო გლეხისა და თვით პარტიისა და კომკავშირის წევრების ინდივიდუალურად გადაბირება.

ის ძლევამოსილი შეტევა კულაკის წინააღმდეგ, რომელიც გაიშალა პურის დამზადების კამპანიის დროს, ოდნავადაც არ უნდა იქნას შენელებული. პირიქით, ეს შეტევა მომავალში უნდა განვითარდეს და გაძლიერდეს სხვადასხვა ეკონომიური და პოლიტიკური ღონისძიებების ხაზით.

სოფლის საბჭოები მეტად სუსტ მონაწილეობას იღებდნენ კამპანიაში (პურის დამზადების დროს სწარმოებდა ოლქის ადმინისტრატიული დარაიონება; ამას მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება მიეწეროს სოფლის საბჭოების სუსტი მონაწილეობა პურის დამზადების საქმეში).

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ საბჭოების ქვედა ორგანოები სათანადო მონაწილეობას არ იღებდნენ პურის დამზადების საქმეში; ეს საკითხი სათანადოდ უნდა იქნას შესწავლილი. ჩვენ უკვე შევუდექით უშუალო მუშაობას სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისთვის, და საბჭოების მუშაობის გაცხოველების ამოცანა უფრო და უფრო პირველხარისხოვან ამოცანად ხდება.

პურის დამზადების პერიოდში განზრახული იყო მთელი რიგი ფინანსიური ღონისძიებების გატარება სოფლად, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ვადაზე ადრე აკრეფა, პირველ რიგში იმ მეურნეობებში, რომლებიც ინდივიდუალურად იქნენ დაბეგრილი, სამხედრო გადასახადის აკრეფა, ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის რეალიზაცია, აკრეფა სოცდაზღვევის ნაშთებისა და გადასახადების.

ხსენებული ღონისძიებანი მეტად სუსტად იქნა ჩატარებული, და ეს უმთავრესად საბჭოთა სათანადო ორგანოების გულგრილობას უნდა მიეწეროს.

პურის დამზადების კამპანიაში სრულებით არ მიუღია მონაწილეობა სოფლის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და, კერძოდ, გლეხკომებს.

ცალკე უნდა შევჩერდეთ კოოპერაციის როლზე. უნდა აღინიშნოს კოოპერატიული ორგანოების მეტისმეტად სუსტი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობა. კოოპერაციას არ უწარმოებია თავის წევრებს შორის მუშაობა იმ მიმართულებით, რომ მათ კოოპერაციისთვის ჩაებარებინათ ზედმეტი პური.

კამპანიის წარმატებით მსვლელობას მეტად უშლიდა ხელს მტკიცე წლიური გეგმიანი დავალების უქონლობა. მხოლოდ წლის ბოლოს მოხერხდა დავალების საბოლოო მტკიცე რაოდენობის გამორკვევა.

როგორც ცეკავშირს, ისე სოფლის კავშირს არ გააჩნდათ სათანადოდ შემოწმებული ცნობები და თვითონ ქვედა ქსელს დავალებებს აძლევდნენ ადგილობრივი ორგანოების ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე თვიდან-თვემდე. ეს დავალებები ხშირად ასეთ ფორმაშია გამოთქმული: „დაამზადე, რამდენიც შეგიძლიან". იყო შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის კოოპერატივი, რომელიც პურის დამზადების რაიონში იმყოფება, არავითარ დავალებას არ ღებულობდა, ან, პირიქით, კოოპერატივს აძლევდნენ ისეთ დავალებებს, რომლებიც აბსოლუტურად აღემატებოდა მის ძალღონეს. სარაიონო და საოლქო პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს დავალების რაოდენობის გამოსარკვევად კოოპერატივებში უხდებოდა ცნობების შეკრება. რასაკვირველია, ასეთ პირობებში მეტად ძნელი იყო კამპანიის წარმატებით ჩატარება.

როგორი იყო კოლმეურნეობათა დამოკიდებულება პურის დამზადებისადმი?

საერთოდ, ისინი პურის დამზადების ამოცანებს სათანადო შეგნებით ვერ მოეკიდნენ. ბევრი კოლმეურნეობა სცდილობდა არ ჩაებარებია ზედმეტი მარცვლეული არა მარტო თავისუფალი დამზადების წესით, არამედ კონტრაქტაციის წესითაც. კოლმეურნეობები შეეცადნენ მიეღოთ კერძო პირებზე მაღალ ფასებში პურის გაყიდვის „პრივილეგია". მხოლოდ ხეიროვნული ზეგავლენის შედეგად გახდა შესაძლებელი კოლმეურნეობებისაგან ზედმეტი პურის მიღება. ცხადია, რომ კოლმეურნეობის ორგანიზაციისა და პირადი შემადგენლობის მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის. ეს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული კოლმეურნეობათა მშენებლობის საქმეში შემდგომი მუშაობის დროს.

შ. მათიკაშვილი.

პურის დამზადება კახეთის ოლქში

კახეთის ოლქში, პურის დამზადების კამპანია ფაქტიურად დაიწყო პირველ აგვისტოდან. კახეთის ოლქს უნდა დაემზადებია საკრედიტო ამხანაგობების ხაზით 53,956 ფუთი პური და 14.002 ფუთი ქერი, სულ კი 67,958 ფუთი ხორბლეული; სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით დამზადებული უნდა ყოფილიყო 109.000 ფუთი პური და 32.000 ფუთი ქერი, სულ კი 141.000 ფუთი ხორბლეული.

შემდეგში, დამზადების კამპანიის შუა პერიოდში, თვით სამაზრო ხელისუფლების ინიციატივით პურის დამზადების ძირითადი ნორმა გადიდებული იქნა და მას დაემატა 73.000 ფუთი. ამგვარად, კახეთის ოლქს უნდა დაემზადებია 281,958 ფუთი. ოლქის ფარგლებში პურის დამმზადებელ ორგანიზაციებად ცნობილ იქნენ „სოფლის კავშირი" და ცეკავშირი.

დამზადების პროცესში ადგილი ჰქონდა კულაკურ ელემენტების მტრულ გამოსვლებს. ასე, მაგალითად, კულაკები ავრცელებდნენ ათასგვარ პროვოკაციულ ხმებს; ერთმა კულაკმა ჩასაბარებელ პურში ქვიშა გაურია. კულაკები სცდილობდნენ თავის გავლენის ქვეშ მოექციათ ღარიბი გლეხები. მაგალითად, სოფელ მაჩხაანში კულაკმა ყორიაშვილმა, რომელსაც უნდა ჩაებარებია 600 ფუთი ხორბალი, თავის გავლენის ქვეშ მოაქცია ღარიბი გლეხი, რომელმაც სცემა ღარიბსავე გლეხს—რათ ამოაჩინე ყორიაშვილის დამალული პური. კულაკების ასეთმა გამოსვლამ აიძულა ადგილობრივი ხელისუფლება მტკიცე ზომებისათვის მიემართა. ამავე დროს თითქმის ყველა მთავარ დამმზადებელ რაიონებში თვით ღარიბებს და საშუალო გლეხობის ინიციატივით კულაკების საწინააღმდეგო ღონისძიებად აღიარებულ იქნება ბოიკოტის გამოცხადების სისტემა. ამგვარ ხასიათის ზეგავლენის მეოხებით პურის დამზადების კამპანია ფართოდ გაიშალა და შემდგომ მუშაობაში კულაკებს წინააღმდეგობა აღმოფხვრილ იქნა.

პურის დამზადებას პირველ პერიოდში ხელი შეუშალა აგრეთვე თანხების დროზე მიუწოდებლობამ და ხორბლის ჩასაბარებელ პუნქტების სიმცირემ. კოლექტიური მეურნეობები სათანადოთ მომზადებულნი ვერ შეხვდნენ პურის დამზადების კამპანიას. ზოგიერთი კოლექტიური მეურნეობანი პურს წესიერად და უკლებლივ არ აბარებდნენ ძირითად დამმზადებელ ორგანოებს და ადგილი ჰქონდა მათ ნაწარმოების გაყიდვას კერძო ბაზარზე.

ეს არანორმალური მდგომარეობა პურის დამზადების პირველ პერიოდშივე აღმოფხვრილი იქნა და შემდეგში კოლექტივები სისწორით ასრულებდნენ საოლქო ხელისუფლების ყველა დირექტივებს.

პურის დამზადების ხელის შემშლელ გარემოებათ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე სიმინდის მოუსავლიანობა კახეთში და მეზობელ რესპუბლიკების ზოგიერთი ორგანიზაციების წარმომადგენელთა გამოსვლა პურის დამზადების ბაზარზე. ისინი არღვევდნენ ცენტრალურ მომწესრიგებელ ორგანოების მიერ დაწესებულ ხორბლეულის მტკიცე ფასებს, ხორბლეულს სცვლიდნენ დეფიციტიან საქონელზე და სხვ. ამ გარემოებას დროზე მიექცა ყურადღება და ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საშუალებით სრულიად აღკვეთილ იქნა მათი გამოსვლა პურის დამზადების ბაზარზე.

პურის დამზადების კამპანიის გაღრმავებას და მასში მშრომელ მოსახლეობის უფრო ფართოდ ჩაბმის მიზნით ოლქის ფარგლებში შემოღებულ იქნა სოციალისტური შეჯიბრება რამაც დიდათ შეუწყო ხელი პურის ინტენსიურად დამზადებას და სოფლის ყველა კულტურულ ძალების და ღარიბ და საშუალო გლეხობის უშუალოდ ჩაბმას დამზადების კამპანიაში.

კამპანიის მსვლელობის პირველ პერიოდში კახეთის ოლქმა მიიღო გორის საოლქო აღმასკომის გამოწვევა სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ოლქის ფარგლებში პურის დამზადება დავალებული ჰქონდა 18 სამომხმარებლო საზოგადოებას, რომლებსაც გეგმის მიხედვით უნდა დაემზადებინათ 194 ათასი ფუთი ხორბლეული, ფაქტიურად კი დამზადეს 197.170 ფუთი, ე. ი. გეგმა შეასრულეს 101,6 პროცენტით. 24 საკრედიტო ამხანაგობას უნდა დაემზადებია 87.958 ფუთი ხორბლეული, აქედან 25.958 ფუთი კონტრაქტაციის წესით და 62.000 თავისუფალი დამზადებით; ფაქტიურად საკრედიტო ამხანაგობებმა დაამზადეს სულ 108.419 ფუთი ხორბალი, აქედან 25.618 ფუთი კონტრაქტაციის წესით და 82.801 ფუთი თავისუფალი დამზადებით, ე. ი. დამზადების გეგმა შესრულეს 123,9 პროც.

კოლექტიურმა მეურნეობებმა პურის დამმზადებელ ორგანოებს ჩააბარეს სულ კონტრაქტაციის წესით და თავისუფალი დამზადებით შეგროვილი 59.043 ფუთი ხორბლეული, რაც ოლქზე დაკისრებულ ძირითად სავალდებულო ნორმის (281.958 ფუთი) 20,9 პროც. შეადგენს.

კახეთის ოლქის კოლმეურნეობებმა დასახული ამოცანა პურის დამზადების კამპანიაში სავსებით შესრულეს.

სულ მთელი კამპანიის განმავლობაში კახეთის ოლქში საკრედიტო და სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით დამზადებულ იქნა 324.081 ფუთი ხორბალი.

ამგვარად, პურის დამზადების კამპანია კახეთის ოლქში ჩატარდა წარმატებით. ღირსეულად შესრულა კახეთის ოლქმა აგრეთვე გორის ოლქთან დადებული სოციალისტური შეჯიბრება.

კახეთის ოლქის ღარიბი და საშუალო გლეხობა ადგილობრივ მშრომელ ინტელიგენციის და ყველა ცოცხალ კულტურულ ძალების აქტიურ მონაწილეობით მთელი თავისი კლასიური შეგნებით წინ აღუდგა თავის კლასობრივ მტერს და ბრწყინვალე გამარჯვებით დაამთავრა პურის დამზადების კამპანია, პარტიისა და ხელისუფლების ეს დიდმნიშვნელოვანი დირექტივა.

განსაკუთრებული ყურადღება დამზადებული პურის მოვლა-პატრონობას

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა „სოიუზხლებ"-ის ადგილობრივ განყოფილებებს, „ზაკსოიუზს", ამიერკავკასიის „სოფლის კავშირს" და კოოპერაციის რესპუბლიკანურ ცენტრებს გამოჰყონ ცალკე პირები, რომელთაც დაეკისრებათ მეთვალყურეობა მიღებულ პურის კარგათ შენახვაზე.

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულებს რესპუბლიკებში დაევალათ მისცენ ადგილობრივ ორგანოებს დირექტივა, რომ დაუყოვნებლივ იქნეს ჩატარებული ცხოვრებაში ყველა მითითებები, რომლებიც დამზადებულ პურის შენახვას ეხება.

ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულებმა რესპუბლიკებში სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ საბჭოთა საზოგადოებრიობის მობილიზაციას პურის შენახვის საკითხების გარშემო და ამ დარგში არსებულ დეფექტების გამომჟღავნებას.

უშუალო პასუხისმგებლობა პურის კარგათ შენახვისათვის დაკისრებული აქვს „სოიუზხლებს", „ზაკსოიუზს", ამიერ-კავკასიის „სოფლის კავშირს" და მათ ადგილობრივ ორგანოებს; ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულების სამმართველოები პასუხისმგებელი იქნებიან, თუ ადგილი ექნა უპასუხისმგებლობას და გულგრილობას ამ საქმისადმი.

—:—

ვინაიდან დამზადებული პურის სათანადოთ შენახვას უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის კომისარიატებს და პურის დამმზადებელ ორგანიზაციებს მოკლე ხანში ჩაატარონ შემდეგი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ პურის რესურსების სათანადოთ მოვლა-შენახვას.

სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით გამოყოფილი უნდა იქნეს სპეციალური უჯრედები ანდა ცალკე პირები, რომლებიც უხელმძღვანელებენ დამზადებული პურის მოვლა-პატრონობას; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პურის საწყობების ცეცხლისაგან დაცვას; მიღებული უნდა იქნეს ზომები, რომ დახარისხებულ ხორბალს არ ურევდნენ ჩვეულებრივ ხორბალში; ენერგიული ზომები უნდა იქნეს მიღებული თაგვების და ბეღლის მავნებლების წინააღმდეგ; დამნაშავენი პურის მავნებლებას სასტიკ პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემული.

ყველა თავისუფალი ტომრები—პურისათვის

ა.-კ. კოოპ. კავშირი, მებამბეობის კომიტეტი და ბინათკავშირი დაუშვებელ დაუდევრობას იჩენენ ტომრების შეგროვების საქმეში

ტომრების შეგროვებას უნდა მიეცეს დაკვრითი კამპანიის ხასიათი

დაუშვებელ დაუდევრობას ბოლო უნდა მოეღოს

ხორბლეულის დამზადების კამპანიის ფართოდ გაშლასთან ერთად წელს მწვავედ დადგა ტომრების საკითხი. ტომრების სიმცირემ ისეთი საგრძნობი შეიქნა, რომ ხორბლეულის დამზადება - განაწილება ზოგან კიდეც შეფერხდა, ამის გამო, სადირექტივო ორგანოებმა გამოსცეს დადგენილება, რომლის მიხედვით ყველა მომქმედი სამეურნეო ორგანიზაცია ვალდებულია ტომრები დაუყოვნებლივ გადასცენ „სოიუზხლებ"-ს, რომ ამრიგად ხელი შეეწყოს ხორბლეულის გადაზიდვა - გადმოზიდვას და ფქვას.

ამ ოპერაციების საწარმოებლად „სოიუზხლებ"-ის საქართველოს განყოფილებას ყოველთვიურად სჭირდება 800—900 ათასი ტომარა. გარდა ამისა ხორბლეულის დამზადების რაიონებში სისტემატიურად უნდა გადაიგზავნოს ტომრების დიდი რაოდენობა, „სოიუზხლებ"-ის განკარგულებაში კი ყოველთვიურად არის არა უმეტეს 300—400 ათასი ტომარისა.

„სოიუზხლებ"-ის ცნობით, 1 ოქტომბრისთვის სხვადასხვა ორგანიზაციებს არ ჰქონდათ მისთვის დაბრუნებული ნახევარ მილიონ ცალზე მეტი ტომარა. ამ რაოდენობიდან ოქტომბრის განმავლობაში „სოიუზხლებ"-ს ჩააბარეს მხოლოდ 90.000 ცალი, ასე, რომ 1 ნოემბრისთვის ორგანიზაციათა დავალიანება უდრიდა 400 ათას ცალზე მეტ ტომარას.

მიუხედავად იმისა, რომ სამეურნეო ორგანიზაციებს მიეცათ დირექტივა თავისუფალი ტომრები დაუყოვნებლივ და სისტემატიურად გადასცენ „სოიუზხლებ"-ს, ისინი მაინც არ აბარებენ ტომრებს დანიშნულებისამებრ. განსაკუთრებით დაუდევრობას იჩენენ „ზაკსოიუზი", მებამბეობის კომიტეტი და „ჰაიგიუხკოოპი". მებამბეობის კომიტეტზე ითვლება 70.000 ტომარა და „ჰაიგიუხკოოპზე" 88.000 ტომარა. მათ ამ რაოდენობიდან „სოიუზხლებ"-ისათვის 1 ოქტომბერს აქეთ არაფერი არ ჩაუბარებიათ.

აღსანიშნავია, რომ ცენტრალური ორგანიზაციები ამ საკითხში ბიუროკრატიულ მიდგომას იჩენენ. თავის ქვემდგომ ორგანიზაციებს აძლევენ წერილობით განკარგულებას და ამით ღებულობენ ისინი თავიდან პასუხისმგებლობას ტომრების თავის დროზე შეგროვების შესახებ: ასევე იქცევიან ვაჭრობის მომწესრიგებელი ორგანოებიც. ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა განიმეორა ცენტრის მიერ გამოცემული ბრძანება, მაგრამ ჯერ არც კი შეუმუშავებია ამ ბრძანების შესრულება-შემოწმების წესი.

ასევე იქცევა ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოც. ნოემბრის დამდეგს მისი განკარგულებით საქართველოში ჩატარდა ტომრების შეგროვება, ხოლო თუ რა შედეგი გამოიღო ამ ღონისძიებამ, ეს რწმუნებულის სამმართველომ ჯერაც არ იცის.

უმოქმედობას იჩენს ბინათ-კავშირიც, რომელსაც დავალებული ჰქონდა ტომრების მოგროვება საბინაო ამხანაგობების საშუალებით.

ერთი სიტყვით, ორგანიზაციები, რომელთაც უშუალოდ ევალებათ აქტიური მუშაობა ტომრების დასამზადებლად, არავითარ რეალურ ზომებს არ ღებულობენ ამ საქმის დაჩქარებით მოსაგვარებლად. საკითხი კი სერიოზულია და აუცილებლად მოითხოვს ზემდგომი ორგანოების აქტიურ ჩარევას. ამას ნათლად მოწმობს ის გარემოება, რომ ტომრების ჩაბარების შესახებ, ბრძანების გამოცემის შემდეგ კარგა ხანი გავიდა და ბაქოს ორგანიზაციები ყურსაც არ იბერტყავდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ, კი მთავრობის კომისიამ, რომელიც სპეციალური დავალებით ჩავიდა ბაქოში, სხვადასხვა ორგანიზაციების საწყობებში აღმოაჩინა 800.000 ცალი ცარიელი ტომარა.

ეს გარემოება ცხადჰყოფს, რომ მარტო ბრძანებებით მიზანს ვერ მივაღწევთ. საჭიროა ამ ბრძანების შესრულებისათვის პირადი პასუხისმგებლობა დაეკისროს ცალკე ორგანიზაციების ხელმძღვანელთ. ამას გარდა, საჭიროა მოეწყოს ამ ორგანიზაციების საწყობების მოულოდნელი გამოკვლევა.

ნ. ტ—ძე.

თბ. მუშკოოპმა შეაგროვა 367.103 ტომარა

თავისუფალ ტომრების პურის დამმზადებელ ორგანიზაციებისათვის გადაცემას თბილისის მუშკოოპი გასული წლიდან აწარმოებს.

თბილისის მუშკოოპს, როგორც ერთ - ერთ უძლიერეს გამსაღებელ ორგანიზაციას ქალაქში, რომელიც აწარმოებს პურის ცხობა-გასაღებას, დიდი რაოდენობით უგროვდებოდა თავისუფალი ტომრები გამოსაცხობად მიღებულ ფქვილიდან. რომ ეს ტომრები არ ჩავარდნოდა ხელში სპეკულიანტებს, მუშკოოპის გამგეობამ გადასწყვიტა მათი დაბრუნება უკან პურის დამმზადებელ ორგანიზაციისათვის, („სოიუზხლები"). გამოყოფილი იქნა სპეციალური საბარგო ავტომობილი — ექსპედიტორით, რომელსაც დაევალა კვირაში ორჯერ მუშკოოპის ყველა ფურნეების და თორნეების ჩამოვლა და თავისუფალ ტომრების შეგროვება.

ამგვარად, 1928 წლის 1 ოქტომბრიდან — 1929 წლის 1 ოქტომბრამდე მუშკოოპმა შეაგროვა და „სოიუზხლებს" ჩააბარა, 367.103 ცარიელი ტომარა.

ეხლა ეს საქმე უფრო გაცხოველებით იწარმოება.

ა.-კ. სატრანსპ. კოოპერაცია ენერგიულად მუშაობს

„ზაკტპო"-ს ხაზითაც ისეთივე მუშაობა სწარმოებს, როგორც მუშკოოპის ხაზით. თბილისის ფარგლებში ეს ორგანიზაცია 3—4 დღეში ერთხელ აწარმოებს ტომრების შეგროვებას თავის პურის საცხობებში და აბარებს „სოიუზხლებს". „ზაკტპო"-ს ადგილობრივი განყოფილებებიც ასევე აგროვებენ ადგილებზე ტომრებს და გზავნიან ზოგი თბილისში, ზოგი ბათომში და ბაქოში.

საშუალოდ თვეში „ზაკტპო", „სოიუზხლებს" აბარებს 9.000-დე ტომარას.

საქ. ცაკში

შრომის ბეგარის შემოღება პურის გადაზიდვის დასაჩქარებლად

საქართველოს ცაკმა ნება დართო ადგილობრივ საბჭოებს პურის დამზადების რაიონებში შემოიღონ შრომის ბეგარა, რათა მათ რაიონებში დამზადებული პური თავის დროზე იქნეს გადაზიდული დანიშნულების ადგილას.

ახალი სასოფლო საბჭოები

დაკმაყოფილებულია ზუგდიდის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობა სოფ. ნარაზენსა, და ლეწურწუმეში ახალი სასოფლო საბჭოების მოწყობის შესახებ.

რა ხდება ადგილებზე

შავი ქვის ექსპორტი

ფოთი, 13 ნოემბერი. ოქტომბრის განმავლობაში უცხოეთის 11 გემით გატანილ იქნა 73.000 ტონა შავი-ქვა (ადს).

ხიდების გახსნა

ცხინვალი, 13 ნოემბერი. 10 ნოემბერს ცხინვალ-როქის გზატკეცილზე გაიხსნა სამი დიდი რკინა-ბეტონის ხიდი (ადს).

კარტოფილის მოსავლის დაღუპვა

ცხინვალი, 13 ნოემბერი. ხანგრძლივი წვიმების გამო წელს მთებში დაიღუპა კარტოფილის მოსავალი. ცხინვალის ბაზარზე 16 კილოგრამი კარტოფილი 2 მან. 50 კ.—3 მანეთად ფასობს (ადს).

მკვლელობა სოხუმში

სოხუმი, 13 ნოემბერი. 12 ნოემბერს საღამოს სოხუმში ხანჯლით მოჰკლეს სოხუმის აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგე ფანცულაია. მკვლელი დააპატიმრეს. სწარმოებს გამოძიება. (ადს).

კულტურული კავშირი უცხოეთთან

განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულმა უცხოეთთან კულტურული კავშირის გამგის სექციამ აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელ გერმანულ საზოგადოებისაგან მიიღო წინადადება გერმანიის ყველა ქალაქებში ქართული ხელოვნების ნიმუშების გამოფენის მოწყობის შესახებ.

სექცია დროზე შეუდგა მუშაობას.

გამოფენისათვის საჭირო მოსამზადებელ მუშაობას ხელმძღვანელობენ პროფ. ჩუბინაშვილი, სამხატვრო გალერეის დირექტორი შევარდნაძე და სხვები.

მოეწყო ექსპედიციები ვარძიაში, ახალციხისა და ახალქალაქის სხვადასხვა რაიონებში, აფხაზეთში, ატალაში და სხვაგან.

ამჟამად გარეჯის მთაში მუშაობს სპეციალური ექსპედიცია 20 კაცის შემადგენლობით. ექსპედიციის მუშაობა დიდი წარმატებით მიმდინარეობს.

გარდა ამისა ქართული ხელოვნების ნიმუშების გადმოსაღებად ექსპედიციები გაიგზავნება ატალაში, ინწყიმში და ლიხნში.

მთელი მოსამზადებელი მუშაობა დასრულდება თებერვლის პირველ რიცხვებში.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება საქართველოს ხელოვნება მე-10 საუკუნიდან მე-19-მდე.

გარდა ამისა გამოფენისათვის მზადდება სხვადასხვა ექსპონატები (ნახაზები და სურათები), საქართველოს არქიტექტურის ევოლუციის გადმოსაცემად.

ქართული ხელოვნების გამოფენისათვის დამზადებულ ექსპონატების ადგილობრივ დასათვალიერებლათ ამას წინეთ თბილისში ჩამოვიდა აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელ გერმანული საზოგადოების გენერალური მდივანი დოქტ. იონასი.

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულმა უცხოეთთან კულტურული კავშირის გამგის სექციამ დოქტ. იონასთან ერთად საბოლოოდ გამოარკვია გერმანიაში გამოფენაზე გასაგზავნ ექსპონატების ხასიათი და რაოდენობა.

უცხოეთთან კულტურული კავშირის გამგის სექციის უკანასკნელ სხდომაზე, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს განათლების სახალხო კომისარი ამხ. კანდელაკი, დოქტ. იონასი, პროფ. ნუცუბიძე, ამხ. კ. მეგრელიძე, ბერიძე, მთვარელიძე და პაპავა, გადასწყდა—გამოფენა მოეწყოს მარტის შუა რიცხვებში.

გამოფენა მოეწყობა გერმანიის ყველა ქალაქებში.

საქ. პროფსაბჭოს მეშვიდე პლენუმი

მესამე და მეოთხე სხდომა

უნდა გაძლიერდეს მუშაობა მუშათა ახალ კადრებს შორის

(ამხ. ბ. მაჩაიძის მოხსენება)

— სახალხო მეურნეობის და კერძოდ ქალაქის მრეწველობის სწრაფი ზრდა,—სთქვა ამხ. მაჩაიძემ,—ბუნებრივად იწვევს მუშათა კადრების ზრდას ჩვენს მრეწველობაში.

მუშათა ახალი კადრებს ჩვენ ვღებულობთ სოფლის ხარჯზე. მუშათა ახალი კადრები წარმოებაში შესვლის შემდეგაც არ სწყვეტენ კავშირს სოფლის მეურნეობასთან, მათ არ მოეპოვებათ საწარმოო გამოცდილება და საზოგადოებრივ - პოლიტიკური მომზადება, რის შედეგია მათი კლასობრივი შეგნების დაბალი დონე.

საქართველოს მრეწველობის შემდგომი განვითარება კიდევ უფრო მეტად გამოიწვევს მუშათა კადრების ზრდას ჩვენს წარმოებებში და მათ შორის მუშაობა კავშირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას შეადგენს, რადგან შემჩნეულია, რომ შრომის ნაყოფიერების და შრომის დისციპლინის დაბალ დონეს უმთავრესად იქ აქვს ადგილი, სადაც მუშათა ახალი კადრები სჭარბობენ ძველ კადრებს. უნდა აღინიშნოს, რომ მუშათა ახალ კადრებს შორის პროფკავშირებს თითქმის არავითარი განსაკუთრებული მუშაობა არ უწარმოებიათ. დღემდე პროფკავშირებს არ მოეპოვებათ მუშაობის რაიმე განსაკუთრებული ფორმები და მეთოდები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა მუშათა ახალ კადრებს შორის.

როგორ სწარმოებს მუშების მიღება ზოგიერთ ჩვენს წარმოებებში? ტყიბულში მუშების მიღება შემდეგი წესით მიმდინარეობდა: ადმინისტრაციის წარმომადგენელმა თავი მოუყარა სამუშაოს შოვნის მსურველებს, ამოარჩია მათგან ყველაზე უფრო მაღალი და ფართომხარბეჭიანი და გაგზავნა სამუშაოდ, განურჩევლად იმისა, თუ რომელ სოციალურ ჯგუფს ეკუთვნოდა ესა თუ ის პიროვნება.

ხშირია შემთხვევა, როცა ჩვენს წარმოებებში ჰპარებიან კულაკები და მათი შვილები. მათ სურთ მიიღონ ის პრივილეგიები, რომლებიც მინიჭებული აქვს მშრომელებს საერთოდ და კავშირის წევრებს კერძოდ (სასწავლებელში მიღება და სხვ.) ცხადია, ისინი ოდნავადაც არ არიან დაინტერესებულნი წარმოების გაუმჯობესებით და მუშაობას უყურებენ, როგორც შემოსავლის დამატებითი წყაროს. ისინი სცდილობენ მერყეობის შეტანას და მტაცებლური ფსიქოლოგიის გაღვივებას მუშათა მასაში. იმ მიზნით, რომ ჩვენი წარმოებები უზრუნველვყოთ ასეთი ელემენტების შემოპარვისაგან, პროფკავშირებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ და წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ იმ სამეურნეო მუშაკებს, რომლებიც სათანადო დაკვირვებას არ გამოიჩენენ მუშათა ახალი კადრების მიღების საქმეში, ამიტომ წარმოებებში ახალ მუშათა მიღება უნდა ხდებოდეს შრომის კომისარიატის საშუამავლო ორგანოების მიერ (რომლებსაც აგრეთვე მართებს ეს სიფრთხილე), იქ კი, სადაც ასეთი ორგანოები არ მოიპოვება, შედგენილი უნდა იქნეს დროებითი მიმღები კომისიები ადგილობრივი საბჭოთა, პარტიულ, პროფესიონალურ ორგანიზაციების და წარმოების ადმინისტრაციის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

რადგან სოფლის მეურნეობასთან კავშირი იწვევს წარმოებაში სამუშაოს გაცდენას (განსაკუთრებით ზაფხულში), რაც თვალსაჩინო ზიანს აყენებს წარმოებას, სამეურნეო და პროფორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა გაატარონ ცხოვრებაში სახკომსაბჭოს დადგენილება 5 თვის განმავლობაში იმ პირთა არდაშვების შესახებ სამუშაოზე, რომლებიც თვითნებურად გააცდენენ სამუშაოს და დაარღვევენ შრომის დისციპლინას. მაგრამ წმინდა ადმინისტრაციული ზომებით ჩვენ ვერ ფერს გავხდებით, თუ ამასთანავე სათანადო სიმაღლეზე არ დავაყენებთ აღმზრდელობითი მუშაობასაც. პროფკავშირებმა ბოლო უნდა მოუღონ იმ უთანხმოებას, რომელსაც ხშირად ადგილი აქვს მუშათა ახალ და ძველ კადრებს შორის. მაგალითისათვის დავასახელებ შემდეგ ფაქტს: ტყიბულის მუშათა ერთმა ჯგუფმა განაცხადა, რომ ისინი მონაწილეობას არ მიიღებენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, თუ მათ ჯგუფში იქნებიან ახალი მუშები. ადგილკომმაც მუშათა ამ ჯგუფს არ განუმარტა მათი მოთხოვნილების მიუღებლობა.

ახალ კადრების კლასობრივი შეგნების ამაღლების საჭიროება (აღმზრდელობითი მუშაობის საშუალებით) გვიკარნახებს იმას, რომ ახალი კადრები დავაშოროთ სოფელს და გადავახაროთ პროლეტარულ ქვაბში, წარმოების შიგნით, მაგრამ ამის წარმატებით შესრულება მოითხოვს წარმოებასთან მუშათა ბინების მოწყობას. ეს გაადვილებს ახალ კადრებს შორის მასიურ, პოლიტიკურ და კულტურულ განმანათლებელი მუშაობის წარმოებას. ჩვენი სამეურნეო ორგანოები კი წარმოების მშენებლობასთან და გაფართოვებასთან ერთად ხშირად არ ითვალისწინებენ საბინაო მშენებლობას ან გაფართოვებას და ბინების წესიერად მოწყობას. ჩვენი კოოპერატიული ორგანიზაცია არა თუ არ ფიქრობს, არამედ ხშირად გაურბის მუშათა რაიონებში კოოპერატიულ სავაჭრო წერტების და სასადილოების მოწყობას. უკეთეს შემთხვევაში ვაჭრობას (უკეთ რომ ვთქვათ ყველგან) კისრულობენ კერძო ვაჭრები, რომლებიც სადილთან ერთად ჰყიდიან სასმელსაც, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს შრომის დისციპლინის დარღვევას. ზოგიერთ ადგილებში კი (მაგ. ჭიათურაში) მუშებს რამოდენიმე კილომეტრის გავლა უხდება სურსათის შესაძენად, რაც აგრეთვე გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერებაზე. ეს დეფექტი აღმოფხვრილი უნდა იქნეს. კოოპერატიულ ორგანოებს უნდა დავავალოთ, რომ მათ მეტი ყურადღება მიაქციონ მუშათა კვების საქმის მოწესრიგებას.

როგორ უნდა ჩავაბათ მუშათა ახალი კადრები საწარმოო ცხოვრებაში? ჩვენ მოგვეპოვება სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მუშათა ახალ კადრებს ჩვენ ცალკე უნდა განუმარტოთ ამ საზოგადოებების მნიშვნელობა და ამოცანები და მხოლოდ ამის შემდეგ ჩავაბათ მათ რიგებში (რომ საწევროს გადასახადი, რომელსაც გადაიხდიან „გადასახადად" არ ჩასთვალონ). ამასთანავე უნდა გავაძლიეროთ ამ საზოგადოებების ორგანოების მუშაობა. კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის ცენტრად დასახულ უნდა იქნეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მუშათა ახალ კადრებს შორის. კლუბებმა, წითელმა კუთხეებმა და სამკითხველოებმა თავისი მუშაობა უნდა წარმართონ ისე, რომ მეტი სამსახური გაუწიონ ახალი კადრების კულტურულ მოთხოვნილებებს. აქვე უნდა მეწყობოდეს საუბრები საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და საწარმოო საკითხებზე. დღეს ჩვენ მოგვეპოვება მნიშვნელოვანი სამრეწველო ადგილები, სადაც კლუბები არა გვაქვს (მაგ. ტყიბული). როგორც პროფკავშირების, ისე სამეურნეო ორგანოების მოვალეობას შეადგენს გადასდგან სათანადო ნაბიჯები მათ დასაარსებლად.

კამათი

კამათში გამოსული ორატორები აღნიშნავდნენ, რომ ახალ კადრებს შორის მუშაობას უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

„მრეწველობის და მუშათა რიცხვის განუწყვეტელი ზრდა იწვევს მუშათა ძველი კადრების ხვედრითი წონის შემცირებას საქართველოს წარმოებებში—სთქვა ამხ. მარკმანმა; თუ ჩვენ წესიერი მუშაობა არ ჩავატარეთ ეხლავე, ამით უდიდეს პოლიტიკურ შეცდომას ჩავიდენთ, რადგან შევასუსტებთ პროლეტარულ ხელმძღვანელობას და გასაქანს მივსცემთ გლეხურ ფსიქოლოგიას ჩვენს წარმოებებში. ზოგიერთ სამეურნეო ორგანოებს ეს საკმაოდ ვერ შეუგნიათ და ხარჯთაღრიცხვების შედგენის დროს ყველაზე ნაკლებ ადგილს უთმობენ მუშათა საბინაო მშენებლობას და ყოფა-ცხოვრებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

იმ დროს, როცა ჩვენ განვიცდით კვალიფიციური მუშა-ხელის სიმცირეს, შრომის ბირჟის აღრიცხვაზე იმყოფებიან ახალგაზრდა კვალიფიციური მუშები (საქარხნო-საფ. სკოლების კურსდამთავრებულნი), საჭიროა მათი გამოყენება. ზოგიერთი პროფკავშირები არა თუ არ ატარებენ რაიმე ახსნა-განმარტებითი მუშაობას მუშათა ახალ კადრებს შორის, არამედ ხშირად ექცევიან მათი გავლენის ქვეშ და მხარს უჭერენ მათ უკანონო, მტაცებლურ მოთხოვნილებებს. „ასეთი ფაბ-ქარხადგილკომები უნდა დაიშალოს"!—აცხადებენ ორატორები.

კამათი გაგრძელდა გუშინდელ დილის სხდომაზეც. ამხ. მაჩაიძის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამხ. ელბაქიძის მოხსენება და არუთინოვის თანამოხსენება პროფტექნიკური განათლების შესახებ.

გავაძლიეროთ მუშათა საწარმოო განათლება

(ამხ. ელბაქიძის მოხსენება)

ჩვენი მეურნეობის ყოველდღიური ზრდა,—ამბობს მომხსენებელი,—ყოველდღიურად ახალ-ახალ მოთხოვნილებებს გვიყენებს. ამ მოთხოვნილებათა შეუსრულებლობა იმავე დროს ნიშნავს ჩვენი სამეურნეო გეგმის შეუსრულებლობასაც. ერთ-ერთ ამ მოთხოვნილებად ჩაითვლება კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადება. საქართველოში ჩვენ მხოლოდ რამოდენიმე საფაბრიკო-საქარხნო სკოლა მოგვეპოვება. ისინი, ერთის მხრივ, ვერ ამზადებენ კვალიფიციურ მუშა-ხელს იმ რაოდენობით, როგორც ეს ესაჭიროება ჩვენს მრეწველობას და, მეორე მხრივ, მათი პროგრამები და სწავლების მეთოდები არაა საკმაოდ შეთანხმებული წარმოების ინტერესებთან. 5 წლიანი გეგმის შესასრულებლად ჩვენ დაგვჭირდება 500-ზე მეტი კვალიფიციური მუშა.

ცხადია, რომ ამჟამად არსებული საფაბრიკო-საქარხნო სკოლები ვერ მოგვცემენ ამ ძალას. საქარხნო - საფაბრიკო სკოლებთან პარალელურად ჩვენ დაგვჭირდება სხვადასხვა სპეციალური კურსების მოწყობა. ამ კურსების პროგრამა შეთანხმებული უნდა იყოს მრეწველობის ამა თუ იმ დარგის (და ცალკე ქარხნების) ინტერესებთან და მნიშვნელობა უნდა მიეცეს, როგორც თეორეტიულ, ისე პრაქტიკულ ცოდნას. ამრიგად, ეს კურსები ჩვენ მოგვცემენ როგორც კვალიფიციურ მუშებს, ისე სამრეწველო ბრიგადირებს (საშუალო ტეხნიკურ პერსონალს). გეგმით, წელს გათვალისწინებულია კურსების მოწყობა მრეწველობის შემდეგ დარგებში: ხე-ტყის მრეწველობაში, კურსები მოწყობილი იქნება 250 კაცის გადასამზადებლად (ბორჯომის სტკეჩო ქარხანაში, მარელისის, შამგონის, თბილისის ავეჯეულობის, ახალ დაბის და ახალციხის ხე-ტყის და ავეჯეულობის ქარხნებში), აბრეშუმის მრეწველობაში კურსები მოწყობილი იქნება 2.500 კაცის გადასამზადებლად, საფეიქრო მრეწველობაში (ქუთ. მაუდის ფაბრიკა, თბილისის საქსოვი ფაბრიკა და სხვ.) 350 კაცის გადასამზადებლად, ტყავის მრეწველობაში, — 120 კაცის, ქეჩის ფაბრიკაში — 30 კაცის, „მკერავი"-ს 2 ფაბრიკაში — 120 კაცის, პოლიგრაფიულ დარგში — 120 კაცის, მარგანეცის მრეწველობაში — 380 კაცის, ქვანახშირის წარმოებაში (ტყიბული) — 200, ცეცხლგამძლე აგურის წარმოებაში (ქარხ. „შრომა")—30 და თამბაქოს მრეწველობის დარგში — 60 კაცის მოსამზადებლად. სულ წელს საქართველოში უნდა მოვამზადოთ და გადავამზადოთ 4.500 კაცამდე (ავტონომიური ოლქების ჩათვლით). ამისთვის დაახლოვებით საჭირო იქნება 115.000 მანეთის დახარჯვა. გარდა ამისა, თბილისში დაარსებული იქნება 2-წლიანი საღამოს ტეხნიკუმი, და გრძელვადიანი საღამოს კურსები ქუთაისში, ბათომში და თბილისში.

უმუშევრების ტეხნიკის შესასწავლად დაარსებული იქნება უმუშევრების ტეხნიკის კურსებიც.

კურსებისათვის ინჟინერ - ტეხნიკოსთა ცენტრალურმა ბიურომ უნდა მოგვცეს პედაგოგიური ძალები. ჩვენ თითქმის არ მოგვეპოვება ლიტერატურა, რომელიც გამოდგებოდა როგორც სახელმძღვანელო ამ კურსებისათვის. ამ ლიტერატურის გამოსაცემად დღემდე არავითარი ზომები არ მიუღია არც სამეურნეო და პროფკავშირის ორგანოებს, არც განათლების კომისარიატს. ეს ნაკლი სასწრაფოდ უნდა იქნეს გამოსწორებული.

მშენებლობის მეცნიერული შესწავლა

სწრაფი, მკვიდრი და იაფი მშენებლობა

(პროფ. კ. ზავრიევის მოხსენება სამეურნეო მუშაკთა კლუბში)

არც ერთ ქვეყანაში და არასოდეს მშენებლობა ისე ფართო მასშტაბით არ მიმდინარეობდა, როგორც დღეს საბჭოთა კავშირში. მაგრამ ჩვენს მშენებლობას ახასიათებს ბევრი ნაკლი. ადგილი აქვს სამუშაოთა შესრულების გაჭიანურებას, მშენებლობისათვის ხშირად ხმარობენ ისეთ ძვირფას მასალებს, რომელთა შეცვლა ადვილად შეიძლებოდა უფრო იაფი მასალით, სისწრაფის გამო ზოგჯერ სამუშაოები არ სრულდება მკვიდრათ და სხვა. ბეტონის სამუშაოებისათვის საჭირო კარგი ხარისხის ხრეში ხშირად ქობულეთიდან მოაქვთ და უცდიათ ადგილობრივ ხრეშის გამოყენება. იქ კი, სადაც ადგილობრივი ხრეში გამოიყენეს, აღმოჩნდა, რომ ბეტონი არ გამოდის მკვიდრი, სკდება და შედეგათ ვღებულობთ დეფექტიურ შენობას. მეორეს მხრივ ნაკლები ყურადღება ექცეოდა ე. წ. დეფიციტიანი საამშენებლო მასალის (თუნუქი, ლითონი, აგური და სხვ.) ხმარების შემცირებას და ადგილობრივ ბუნებრივ საამშენებლო მასალების გამოყენებას (სახურავი ფიქალი, ტუფი, მარმარილო და სხვ.). ფართო მასშტაბით გაშლილი აღმშენებლობა დიდძალ ლითონის მასალას მოითხოვს. ლითონის მრეწველობა კი ვერ ასწრებს შეკვეთების დაკმაყოფილებას. ეს კი იწვევს ზოგიერთ საამშენებლო სამუშაოთა გაჭიანურებას და მაშასადამე, მათ გაძვირებას.

მშენებლობის წინაშე წამოჭრილი საკითხების შესასწავლად და გამოსაკვლევად ამას წინათ ჩამოყალიბდა ამიერ - კავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტი, რომლის მუშაობას ხელმძღვანელობს პროფ. კ. ზავრიევი. ინსტიტუტი შეუდგა აღმშენებლობასთან დაკავშირებული ყველა პრაქტიკული საკითხების შესწავლა - გამოკვლევას. ყველაზე უფრო აქტუალურ საკითხად ამჟამად ითვლება ბეტონის დამზადება. ინსტიტუტი შეუდგა ამ საკითხის შესწავლას და შეადგინა ცალკე ნაგებობათათვის ბეტონის დამზადების რეცეპტი, რაც უზრუნველჰყოფს შენობის სათანადო სიმკვიდრეს. მეორე საკითხი, რომელსაც ამჟამად ამუშავებს ინსტიტუტი, არის დეფიციტიანი საამშენებლო მასალების შეცვლა ადგილობრივი მასალით. ამ მიმართულებით უკვე ჩატარებულია რამოდენიმე ცდა, რომლებმაც კარგი შედეგი გამოიღო. გადაწყვეტილია — დაწვრილებით იქნეს შესწავლილი, თუ რა სიმკვიდრით უნდა ააგონ შენობები (ბეტონის დამზადების წესი, აგურების წყობის მეთოდი და სხვ.), რომ მათ გაუძლონ უძლიერეს მიწის ძვრას.

ამიერ - კავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტის ძირითად ამოცანას შეადგენს დაუკავშირდეს ყველა არსებულ საამშენებლო სამუშაოებს და ხელი შეუწყოს მკვიდრი და იაფი მშენებლობის სწრაფი ტემპით განვითარებას.

ახალწვეული წითელარმიელები ყაზარმაში

საზეიმო სხდომა

ახალსენაკი, 13 ნოემბერი. (ჩვენი კორესპ.) შესდგა ქალაქის საბჭოს გაფართოებული საზეიმო სხდომა პარტიის, კომკავშირის, პროფკავშირის, ქალთა და 1907 წელში დაბადებულთა წითელ არმიაში გაწვეულ მშრომელ გლეხობასთან ერთად. სხდომას დაესწრო 550 გაწვეული სენაკის, ზუგდიდის და ფოთის რაიონებიდან. საზეიმო სხდომა გახსნა სამხედრო კომისარმა ამხ. ზიორბაძემ, რის შემდეგ ახალწვეულებს მიესალმენ პარტიის, ხელისუფლების, კომკავშირის, ქალთა და სხვ. ორგანიზაციების წარმომადგენლები. სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ქალ. სენაკში ამჟამად მყოფ ამხ. ვანო სტურუამ და ანდრო ფირცხალავამ, რომელთა გამოჩენამ წითელარმიელებში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. მათი სიტყვები დაიფარა მქუხარე ტაშით და მუსიკის გრიალით. წითელარმიელების მოთხოვნით ამხ. ვანო სტურუა და ანდრო ფირცხალავა ჩარიცხული იქნენ საპატიო წითელარმიელებათ, რამაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა პარტიის ცეკას, საქ. ცაკს და სახკომსაბჭოს და სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს. ბოლოს წითელარმიელებს უჩვენეს კინოსურათი. 12 ნოემბერს საღამოთი ახალგაზრდები სენაკიდან გაემგზავრნენ თავიანთ ნაწილებში.

ბ. უჩანეიშვილი.

წებელდის კულაკების პროცესი

ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვები

სოხუმი, 13 ნოემბერი. მხარეთა კამათი დამთავრდა. უკანასკნელი სიტყვები ეძლევა ბრალდებულთ. ბრალდებულთა ნაწილმა, ბოლოს, სცნო თავი დამნაშავედ და ითხოვა სასამართლოს სასჯელის შემსუბუქება. დანარჩენები კვლავ უარჰყოფენ დანაშაულს.

მარკოზ თოფჩიანი, რომელმაც ორი საათი ილაპარაკა, სცდილობს დაარწმუნოს სასამართლო, რომ მოწმეთა ჩვენებები აგებულია პირად ნიადაგზე და რომ ყველა მოწმე — მისი მტერია. მარკოზ თოფჩიანი თავის თავს ახასიათებს უაღრესად პატიოსან ადამიანად და „საუკეთესო საბჭოთა მუშაკად". მარკოზი სთხოვს სასამართლოს — გაამართლოს იგი.

მესროფ თოფჩიანი მთელ ლექციას კითხულობს, იგი სასამართლოს უამბობს წებელდის ისტორიას, თოფჩიანებისა და ზეითუნიანების მტრობის ისტორიას, ძარცვა - მკვლელობების ისტორიას და სცდილობს ყველაფერი ეს ისტორიული აუცილებლობით ახსნას.

„ფაფაზიანი, — ამბობს მესროფი, — ჩვენი კაცია და მას ვერ ესროდნენ თოფჩიანები"-ო.

დასასრულ მესროფ თოფჩიანი კითხულობს ლექციას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩაიდინო დანაშაული, რომ ვერ დაგიჭირონ.

„არა, — აცხადებს მესროფი, — მე, რომ ჩამედინა დანაშაული, რომელსაც მაბრალებენ, თქვენ ვერასოდეს ვერ დამიჭერდით"-ო.

მესროფმა დამნაშავეთ სცნო თავი მხოლოდ თამბაქოს სპეკულიაციაში.

წებელდის საქმის გამო, პასუხისგებაში მიცემულნი ხაჩიკ ოღლიანი და მიხრან კესიანი, რომლებიც იმალებოდნენ, დააპატიმრა აფხაზეთის სახელმწ. პოლიტსამმართველომ: პირველი იშერახში, ხოლო მეორე — გაგრაში. (ადს).

სოხუმი, 13 ნოემბერი. სასამართლო ისმენს ბრალდებულთა უკანასკნელ სიტყვებს. უმრავლესობა დამნაშავედ სცნობს თავს „წვრიმალ" შეცდომებში და ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას. თვით კულაკმა მავროპულომაც კი მოიკრიბა გამბედაობა და განაცხადა, რომ ის ნამდვილი კულაკია, აქვს საკუთარი სახლი სოხუმში, წისქვილი წებელდაში და სხვა. მავროპულო არ ეთანხმება პროკურორის მოთხოვნას 10 წლის სასჯელის შესახებ.

„10 თვეა დაპატიმრებული ვარ, — ამბობს იგი, — ვგონებ, ეს საკმარისი უნდა იყოს"-ო.

ბრალდებულები ჩვეულებრივ თავიანთ უკანასკნელ სიტყვებს ორი-სამი ფრაზით განსაზღვრავენ.

13 ნოემბერს უკანასკნელად ილაპარაკა პოლოს თოფჩიანმა და ისეთი აბდა - უბდა გააბა, რომ საერთო სიცილი გამოიწვია.

სხდომა შესწყდა 15 ნოემბრის დილის 10 საათამდე.

15 ნოემბერს მოელიან განაჩენს. (ადს).

დახმარება დამშეულებს

დახმარება დაზარალებულ გლეხობას

სოხუმი, 13 ნოემბერი. სტიქიურ მოვლენათა გამო დაზარალებული გლეხობის დამხმარე კომიტეტმა გადადო 320 ტონა პური, რომელიც უფასოდ უნდა დაურიგდეს ავადმყოფ და შრომის უნარმოკლებულ გლეხობას ღარიბ და საშუალო ფენებიდან. (ადს).

დამხმარე კომისიის დაარსება სამხ. ოსეთში

ცხინვალი, 12 ნოემბერი. წელს სამხრეთ-ოსეთის ბევრ რაიონში მოსავალი სტიქიური უბედურებისაგან მთლად ან ნაწილობრივ დაიღუპა. ამ რაიონების მოსახლეობა დამშეულია. დამშეული მოსახლეობისათვის დახმარების აღმოსაჩენად დაარსდა საგანგებო კომისია სამხრეთ-ოსეთის ცაკთან და სამეურნეო—სარაიონო აღმასკომებთან.

ცენტრიდან უკვე მიღებულ იქნა 5 ნახევ. ვაგონი ფქვილი. ფქვილი მტკიცე ფასებში ეძლევა ვანათის, როქის, ყემულთის და კუდაროს ხეობების მოსახლეობას. მოელიან 89 ვაგონ მარცვლეულს, უმთავრესად სიმინდის, მდღებს. გარდა ამისა, 15 ვაგონი მარცვლეული უფასოდ დაურიგდება ავადმყოფებს და შრომისუნარმოკლებულებს დაზარალებული რაიონების ღარიბთა წრიდან.

იწყება შემოწირულებათა შეგროვება დამშეული მოსახლეობის სასარგებლოდ. (ადს).

წითელი არმია ეხმარება დამშეულებს

წითელ ყაზარმაში ფართოდ გაიშალა კამპანია დასავლეთ საქართველოს მოუსავლიანობისაგან დაზარალებულ რაიონებისათვის დახმარების აღმოსაჩენად. მთავრობის მოწოდებამ დამშეულთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ მხურვალე გამოძახილი ჰპოვა წითელ არმიელთა და მეთაურთა შორის.

სომხეთის დივიზიის ყველა ნაწილებში და ცალკე ერთეულებში ჩატარებულ იქნა მოხსენებები დამშეულთა მდგომარეობაზე და იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც ღებულობს მთავრობა დამშეულთა უზრუნველსაყოფად სურსათ-სანოვაგით და სათესი მასალით. მოხსენებების შემდეგ მეთაურებმა და წითელ არმიელებმა ერთხმად დაადგინეს გადასდონ დამშეულთა დასახმარებლად ერთი დღის ხელფასი. ბევრმა წითელ არმიელმა თავისი სურვილით გადასდო დამშეულთათვის თავისი კუთვნილი ულუფა.

კავკასიის წითელ დროშიან არმიის თითქმის ყველა ნაწილებში იმართება ფასიანი წარმოდგენები, კინო-სეანსები და საღამოები, რომელთა შემოსავალი მთლიანად ირიცხება დამშეულთა დამხმარე ფონდში.

ნაწილების კედლის გაზეთებში სისტემატიურად შუქდება დამშეულთა დახმარების კამპანიის მსვლელობა.

პროფ. ა. ცაგარელის გარდაცვალების გამო

დაარსდა პროფ. ალ. ცაგარელის დამკრძალავი კომისია განათლების სახ. კომისარის ამხ. დ. კანდელაკის თავმჯდომარეობით.

კომისიაში შედიან: ამხ. მ. ტოროშელიძე, პროფ. მაჭავარიანი, პროფ. კეკელიძე, პროფ. შ. ნუცუბიძე, სალუქვაძე, ხუნდაძე, ყაუხჩიშვილი, უკ. ბერიძე, ირ. სურგულაძე და პროფ. გ. ახვლედიანი.

ცხედარი დასვენებულია რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში, სადაც დღეს, 14 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი.

დამკრძალავი კომისიის დადგენილებით, პროფ. ა. ცაგარელის ნეშტი დაკრძალული იქნება მთაწმინდაზე.

დაკრძალვა მოხდება 15 ნოემბერს.

ამხ. მარიამ მიქაძის ხსოვნას

გარდაიცვალა მარიამ სპირიდონის ასული მიქაძე. ის ძველი რევოლიუციონერი და საბჭოთა აქტიური მუშაკი იყო. მისი მოღვაწეობა შავ-ბნელ რეაქციის დროს მიმდინარეობდა უმთავრესად ქუთაისში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამხ. მარიამი აქტიურ მონაწილეობას იღებს საბჭოთა საქართველოს განმტკიცება - გამაგრებაში. ის 1923 წ. მუშაობდა საქ. კ. პ. (ბ) ცკას ქალთა განყ-ბის ინსტრუქტორად, შემდეგ ქალთა განყ. გამგეთ ქუთაისისა და სენაკის მაზრებში.

ამხ. მარო პირნათლად და თავდადებით ასრულებდა პარტიის ყველა დავალებებს. მას კარგად ესმოდა პარტ-დისციპლინა, როგორც ძველ ბოლშევიკს. მიუხედავად დიდი დაღლილობისა, ის ერთხელ კიდევ ცდილობს ქუთაისის მაზრკომის დავალების შესრულებას: ის თანახმაა უხელმძღვანელოს მუშაობას ქუთაისის საბავშო სახლში, მალე მარო ავად ხდება. მიმდინარე წლის 9 ნოემბერს ამხ. მარო მიქაძე გარდაიცვალა. მისი ხსოვნა წარუშლელი იქნება ყველა მათ შორის, ვინც იცნობდა მარო მიქაძეს.

ამხანაგი.

საჭირო განმარტება

„კომუნისტი"-ს № 255 მოთავსებული იყო წერილი სათაურით „ყოფილი ხალხის თაავული სახელგამში". წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ სახელგამში მსახურობენ ყოფილი ოფიცრები და საეჭვო წარსულის პირები: ი. მიხაილოვსკი, შპაიბილინი, ნ. დუმჩენკო და გ. ჟღენტი. ამ საკითხზე შეკრებილ დამატებით ცნობებიდან ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული პირები, გარდა გ. ჟღენტისა მსახურობენ არა სახელგამში, არამედ ტეხნიკურ ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობაში („გოსტეხიზდატ").

რაც შეეხება გ. ჟღენტს, ბრალდებები მის წინააღმდეგ სიმართლეს არ შეეფერება.

ქრონიკა

165.000 მანეთი ინდუსტრიალიზაციის ფონდში

12 ნოემბრისათვის პროფკავშირების ხაზით ინდუსტრიალიზაციის ფონდში ირიცხებოდა 165.000 მანეთი, აქედან საკავშირო პროფსაბჭოში გადაგზავნილია 150.000 მანეთი. თანხების შეგროვება გრძელდება.

ქართული წიგნები გერმანულ ენაზე

უცხოეთთან კულტ. კავშირის საზ-ბის საქართველოს სექციამ გადასწყვიტა გადათარგმნოს გერმანულ ენაზე რამოდენიმე ქართული ლიტერატურული ნაწარმოებნი. ახლო მომავალში დაიწყება გერმანულ ენაზე გამოსაცემ ნაწარმოებთა შერჩევა.

მეფრინველეობის და მეკვერცხეობის კომბინატი

7 ნოემბერს ქ. სამტრედიაში მოხდა მეფრინველეობა-მეკვერცხეობის კომბინატის საზეიმო გახსნა.

კომბინატი მოაწყო ამიერ-კავკასიის ვაჭრობის კომისარიატმა. კომბინატს აქვს სპეციალური საქათმეები, საკვები ეზოები, ინკუბატორები და სხ. იქვე მოწყობილია საექიმო-სასანიტარო სადგური და საციებელი. პირველ წელს კომბინატი დაამზადებს 150.000 მანეთის საექსპორტო ქათმებს და კვერცხს.

განათლების კომისარიატში

◆ განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე ჯერჯერობით გადაყვანილია 9 სკოლა.

◆ **მისაბაძი მაგალითი.** ძველ აბაშაში ადგილობრივ კულტურულ ძალების თაოსნობით 7 წლედისათვის აგებული იქნა 13 ოთახიანი შენობა, რაც დაჯდა 15.000 მანეთი.

სხვადასხვა

◆ **ინდუსტრიალიზაციის პირველი სესხის** მე-9 ტირაჟი მოხდება 20, 21 და 22 ნოემბერს ვიტებსკში.

◆ **ახალი კოლექტივი.** აფენში (კახ. ოლქი) დაარსდა კოლექტივი სახელწოდებით: „ლენინის ხმა". კოლექტივში გაერთიანებულია 30 მეურნეობა.

◆ **დღეს საღამოს 6 საათზე** უნივერსიტეტის კლუბში პროფკომის ასარჩევად მოწვეულია საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის წევრთა საერთო კრება.

საქართველოს ექიმთა საზოგადოებაში ხუთშაბათს 14 ნოემბერს სოციალური ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ. 12) საღამოს 8 საათზე შესდგება საზოგადოების მორიგი მეცამეტე სხდომა. მომხსენებელნი: **ნ. ანდრიაძე**—კალიუმის და კალციუმის რაოდენობა მალარიიან ავადმყოფთა სისხლის შრატში, **ი. ბურჯანაძე**—სამტრედიის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების 4 წლის მუშაობის მიმოხილვა, **ქ. ნაროუშვილი**—ქოლესტერინის ცვალებადობა ორსულთა და მელოგინეთა სისხლში.

◆ **ა. წ. 16 ნოემბერს საღამოს 7 საათზე** სახ. უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტის შენობაში (აუდიტორია № 1) შესდგება საზეიმო სხდომა ლენინგრადის სატყეო ინსტიტუტის დაარსებიდან 125 წლის შესრულების გამო.

◆ **ხუთშაბათს, 14 ნოემბერს,** საღამოს 7 საათზე სახელგამში შესდგება კლასიკური მწერლობის სექციის სხდომა.

შემთხვევები

როგორ იქნა მოკლული პ. სალია

28 ოქტომბერს უგზო-უკვლოდ დაიკარგა მეცხვარეთა ამხანაგობა „მწყემსი"-ს მოლარე პლატონ დავითის ძე სალია. იმავე დღეს საღამოთი, სალიას ცოლი ალექსანდრა და უკანასკნელის ძმა—ივანე მარგიშვილი გამოცხადდენ თბილისის სისხლის სამართლის მილიციაში და განაცხადეს, რომ დაიკარგა „მწყემსი"-ს მოლარე პლატონ სალია. მეორე დღეს, ივანე მარგიშვილმა და ალექსანდრა სალიამ სისხლის სამართლის მილიციაში ხელმეორედ შეიტანეს განცხადება, რომ შესაძლებელია სალიამ გაიტაცა „მწყემსი"-ს ფულები და იმალება. სალიას ცოლმა მილიციაში წარადგინა ქმრის ფოტოგრაფიული სურათი და სთხოვა მიეღოთ ზომები მის შესაპყრობად.

მილიციაში ივანე მარგიშვილს და სალიას ცოლს მღელვარება ეტყობოდა და მიკიბულ - მოკიბულ ჩვენებას იძლეოდნენ. სისხლის სამართლის მილიცია შეუდგა სალიას ძებნას. 30 — 31 ოქტომბერს, სალიას გვამი იპოვნეს სოღანლუღის შარა-გზაზე (თბილისიდან 4 ვერსის მანძილზე). შემთხვევის ადგილზე გამგზავრენ ს. ს. მილიციისა და პროკურორის წარმომადგენლები. მკვლელობის ადგილ-მდებარეობისა და გვამის საექიმო შემოწმებით გამოირკვა შემდეგი: ბოროტმოქმედებს სალია წაუყვანიათ ქალაქს გარეთ და ჩაუციათ ხანჯალი.

სალია შებრძოლებია მკვლელებს. ეს იქიდან სჩანს, რომ მოკლულს ხელები ჰქონდა ხანჯლით დასერილი. ბოროტმოქმედებს 18-ჯერ ჩაუციათ სალიასათვის ხანჯალი და 15 საჟენის სიგრძეზე თავით გაუთრევიათ იგი, რომ ხევში გადაეგდოთ. გვამის ხევში გადაგდება მათ ვერ მოახერხეს და დასტოვეს ბუჩქებში.

როგორც ირკვევა, ბოროტმოქმედებს სალია ჯერ წაუყვანიათ საქეიფოდ და შემდეგ კი მოუკლავთ.

კვლევა-ძიების პროცესში ამ საქმეზე დააპატიმრეს სალიას ცოლის ძმა ივანე მარგიშვილი და სალიას ცოლი ალექსანდრა სალია.

ბრალდებულთა განცხადებით, სალიას ახლო კავშირი ჰქონდა ივანე მარგიშვილის ცოლთან.

მარგიშვილის ფეხსაცმელსა და ტანსაცმელზე იპოვნეს სისხლის წვეთები.

ამ საქმეზე დაპატიმრებულია აგრეთვე სამი ბოროტმოქმედი, რომელთა წინააღმდეგ მოიპოვება დანაშაულის საკმაო ნიშნები.

გადმოვარდნა ტრამვაის ვაგონიდან

კარლ მარქსის მოედანზე მიმავალ ტრამვაის ვაგონს შეახტა ეკატერინე ოგანეზის ასული გოგიევა, რომელსაც ფეხი დაუსხლტა და გადმოვარდა ვაგონიდან. გოგიევას ქალი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში. მას ნაღრძობი აღმოაჩნდა მარცხენა ხელი.

ავტომობილის დაჯახება

მუშკოოპის ავტომობილი, რომელსაც მართავდა შოფერი ილია ჰიჭინაძე, ელბაქიძის დაღმართზე დაეჯახა ტრამვაის ვაგონი № 217. ვაგონი დაზიანდა. როგორც გამოირკვა, დაჯახება მოხდარა შოფერის დაუდევრობით. ი. ჰიჭინაძე დაპატიმრებულია.

60 სული ცხვრის გატაცება

სოფ. კიზილ - კაჩაში (ყოფ. ბორჩალოს მაზრა) მამედ - ალი - ოღლის თავს დაესხა 12 შეიარაღებული ბოროტმოქმედი. მძარცველებმა გაიტაცეს 60 სული ცხვარი და მიიმალენ.

ქურდობა

ცენტრალურ კლინიკაში (პლეხანოვის პროსპ.) არუს გიოგჯაევას მოპარეს პალტო, ღირებული 300 მანეთად; — აკაკი ჩხაიძეს ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს 100 მანეთი; — გარდა ამისა 12 ნოემბერს ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის 6 შემთხვევა.

ხულიგნები

ქუჩაში დებოშის მოხდენისათვის დააპატიმრეს: გიორგი არშაკისძე ხარაზოვი, ილიკო გიორგისძე ლუდუშაური და ვარლამ ივანესძე ბუდაშვილი.

განმარტება

„კომუნისტი"-ს № 195-ში მოთავსებული იყო ცნობა, რომ ქურდობისათვის დააპატიმრეს ფოსტა - ტელეგრაფის ქსელის დარაჯი მიხეილ მაისურაძე. გამოძიების შედეგად მაისურაძის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება არ დადასტურდა.

ხელოვნება

პროფკავშირთა საჩვენებელი თვითმოქმედი თეატრი

„პირველი ნაბიჯი" გადმოკეთებული შანშიაშვილის მიერ, დადგმა ჟაოშვილის, მუსიკა მანსვეტოვის, მაკეტები დ. კაკაბაძის.

ამ თეატრს თანამედროვე და აქტუალური ამოცანები დაუსახავს. ძალები თითქმის მხოლოდ მუშებისაგან შესდგება. თეატრს განუზრახავს მუშა პროპაგანდისტების აღზრდა. ეს პროპაგანდისტები თავისებური, თეატრალური საშუალებებით უნდა ეხმარებოდენ ჩვენს პარტიას ახალი ამოცანების შესრულებაში. მაგრამ თეატრალობა ამ თეატრში მომუშავე მუშებისა არ უნდა იყვეს ისეთი, როგორიც პროფესიონალურ თეატრებში—ყოველ მსახიობს სცენაზე თამაშის გარდა პოლიტიკური მოხსენების და საერთოდ სხვა იდეოლოგიური მუშაობის შესრულება უნდა შეეძლოს.

თეატრი ცდილობს და ასეც უნდა იყვეს—პოლიტიკურად აქტუალურ თემებზე დადგმების მოცემას. ამიტომ თეატრი უშუალოდ უნდა იყოს დაკავშირებული ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან და კერძოთ პარტიულ ცხოვრებასთან.

წელს ამ თეატრის სეზონი გაიხსნა სოფლის კოლექტივიზაციისადმი მიძღვნილ პიესით, რომელიც შანშიაშვილს გადმოუკეთებია რუსულიდან (პიესა „მიწა გვეძახის"). პიესის შინაარსი შეგუებულია საქართველოს სინამდვილესთან და ამ მხრივ ის საკმაოდ კონკრეტულია.

სამწუხაროა მხოლოდ, რომ ჩვენში, განსაკუთრებით პროლეტარული მწერლები ხაკლებ მუშაობენ საკლუბო და თვითმოქმედ თეატრების რეპერტუარზე.

ჩვენში პიესის დადგმისას, ხშირად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ გარეგან (ფორმალურ) მხარეს, ეფექტიურ „დადგმას", —როგორც რეჟისორები ამბობენ ხოლმე. მაგრამ მხოლოდ ამ გზით სვლა შეუძლებელია, თუ მსახიობები არ არიან გაწვრთნილი. მსახიობის თამაში მთავარი ელემენტია თეატრალურ დადგმაში და ამას პროფესიონალურ თეატრებში ხშირად გვერდს უვლიან.

„პირველი ნაბიჯის" დამდგმელს კი დიდი ყურადღება მიუქცევია მსახიობზე და ამ მხრივ მას დიდი მიღწევები აქვს, რადგან არა პროფესიონალურ მსახიობებთან ჰქონდა საქმე. მაგრამ აქ შესაძლებელია მეორე გადახრაც: მხატვრობის და „დეკორატიული მომენტების" სრული დავიწყება. ეს კი არ უნდა მოხდეს.

უბრალოება და ეკონომია დადგმის გაფორმებაში საჭიროა, ამ მხრივ კაკაბაძის პრინციპი ძლიერ მიზანშეწონილია, მაგრამ საჭიროა ყოველ ახალ სცენას, რომელიც მეორე ადგილას სწარმოებს, რაიმე სწორედ ამ ადგილისთვის დამახასიათებელი მაკეტი მაინც ახლდეს. ამ დადგმაში კი ზოგან ოთახს მოედნისაგან ვერ გაარჩევ. ეს ნაკლი ადვილი გამოსასწორებელია და ალბათ რეჟისორი მიაქცევს მას ყურადღებას.

მსახიობების მხრივ საჭიროა მეტი დინამიურობა თამაშში, მეტი მოქნილობა და გამბედაობა. მასიური სცენები კარგად იყო გაკეთებული, მაგრამ არ იქნება ზედმეტი, თუ აქ მხრივაც მეტ მუშაობას ჩაატარებენ.

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ეს სპექტაკლი ძალიან საჭირო და სასარგებლოა.

მ.

—:—

◆ „ევგენი ონეგინი". ოპერის თეატრში დღეს მეშვიდე აბონემენტისათვის წარმოდგენილი იქნება „ევგენი ონეგინი".

◆ რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში დღეს გაიმართება მოსკოვის ბოშათა კონცერტი.

სასამართლო

ვარდოშვილს და გაწილაშვილს დახვრეტა შეეცვალათ

როგორც ვსწერდით, ს. ბლმატის (ყოფ. თელავის მაზრა) მცხოვრებთ ვასილ გრიგოლის ძე ვარდოშვილს და ლევან იოსების ძე გაწილაშვილს ყაჩაღობისათვის უზენაეს სასამართლოს სესიამ მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

კასაციის წესით ეს საქმე გუშინ განიხილა უზენაეს სასამართლოს პრეზიდიუმმა, რომელმაც კანონიერად სცნო ბოროტმოქმედების კვალიფიკაცია, მაგრამ მიიღო რა მხედველობაში მსჯავრდადებულთა სოციალური მდგომარეობა და ის გარემოება, რომ მათ მიერ პირველად არის ჩადენილი დანაშაული, დახვრეტა შეუცვალა ათ-ათი წლის პატიმრობით სასტიკი იზოლიაციით.

—:—

პ. ფანჯავიძის და სხვათა საქმე

საქართველოს უზენაესი სასამართლო შეუდგა სვანეთის ხე-ტყის დამამზადებელ რაიონის ყოფილ გამგის **პორფილე დავითის ძე ფანჯავიძის, სიმონ შუბლაძის და ნესტორ ქეჩაყმაძის** საქმის განხილვას.

როგორც ვსწერდით, ფანჯავიძის დაუდევრობით სატყეო ტრესტმა იზარალა 45.000 მანეთი. ფანჯავიძეს, გარდა დაუდევრობისა, ბრალად ედება საგრძნობი თანხის გაფლანგვა და კერძო. მოიჯარადრეების ინტერესების დაცვა.

გუშინდელი სხდომა მოუნდა საბრალმდებლო ოქმის წაკითხვას. ბრალდებულები თავს არ სცნობენ დამნაშავედ.

საქმის გარჩევა განახლდება დღეს დილის 9 საათზე.

ჭადრაკი

მეორე კატეგორიის მოჭადრაკეთა შეჯიბრება

დღეს, 14 ნოემბერს, საღამოს სრულ 6 ნახ. საათზე ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დაიწყება მეორე კატეგორიის მოჭადრაკეთა მორიგ შეჯიბრების გათამაშება. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებს 16 მოჭადრაკე: ალოვსკი, არუთინოვი, ახნაზაროვი, მოვსესოვი, დანილოვი, დავიდოვი, სიჭინავა, იცკოვიჩი, შიშოვი, ჩერნიავსკი, კარლინსკი, პოგოსოვი, ფალავანდიშვილი, წერეთელი, დანილოვი და ჯაგეტიანი (ან საკოვი). მონაწილენი დაყოფილი არიან ორ ჯგუფად, ჯგუფში შედის 8 კაცი: პირველ ჯგუფში თამაშობენ: სიჭინავა, შიშოვი, ალოვსკი, ახნაზაროვი, დანილოვი, ჩერნიავსკი, მოვსესოვი და დავიდოვი. მეორე ჯგუფში: ლევიტასი, იცკოვიჩი, კარლინსკი, ფალავანდიშვილი, წერეთელი, პოგოსოვი და ჯაგეტიანი (ან საკოვი). აღნიშნულ შეჯიბრებიდან ლევიტასს და ალოვსკის შარშანდელ ჩემპიონატში მიღწეულ შედეგების თანახმად უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა თბილისის მორიგ ჩემპიონატში, გარეშე მეორე კატეგორიის შეჯიბრებაში მიღწეულ შედეგებისა. ამათ გარდა საჭადრაკო სამშო ბიუროსთან არსებულ საკვალიფიკაციო კომისიის დადგენილებით თბილისის ჩემპიონატში მონაწილეობის მიღების უფლებას ღებულობს თვითეულ ჯგუფიდან ორ-ორი მოჭადრაკე—ვინც უკეთეს შედეგს მიაღწევს. პირველ ტურში თამაშობენ: სიჭინავა-დავიდოვი, შიშოვი-მოვსესოვი, ალოვსკი-ჩერნიავსკი, ახნაზაროვი-დანილოვი, ლევიტასი-ჯაგეტიანი (ან საკოვი), იცკოვიჩი-პოგოსოვი, კარლინსკი-ფალავანდიშვილი და არუთინოვი-წერეთელი.

ნარევი

მეჩექმე ექიმის როლში

სარაპულის ოლქის სოფ. რიაბკის მეჩექმემ ივანე კოლესნიკოვმა დაამზადა ყალბი დოკუმენტები ექიმ ნელსკის სახელზე და 8 წლის განმავლობაში ეჭირა ტაშკენტის საავადმყოფოს ორდინატორის, ჩერნობილის რაიონულ საავადმყოფოს და კიევის ოლქის სხვა საავადმყოფოების მთავარ ექიმის თანამდებობა.

თავისი „საექიმო მოღვაწეობის" სამი წლის განმავლობაში ჩერნობილის საავადმყოფოში „ექიმმა ნელსკიმ" გააკეთა 600 მეტი გინეკოლოგიური და ქირურგიული ოპერაცია. სიკვდილიანობის პროცენტი მისი ოპერაციების დროს ძლიერ უმნიშვნელო იყო, რაც აიხსნება შემდეგით: როგორც კი „ნელსკი" შეატყობდა, რომ ავადმყოფი კვდებოდა, გამოსწერდა საავადმყოფოდან და ის სახლში კვდებოდა.

რომ „ნელსკის" არავითარი საექიმო ცოდნა არ გააჩნდა, ამას ყველა ექიმები ატყობდნენ. მისი უვიცობა ანეკდოტურ ხასიათს იღებდა. ასე მაგალითად, როცა ერთხელ თვით „ნელსკი" გახდა ავად, ექიმებმა ავადმყოფობა მას ლათინურად დაუსახელეს, როგორც „საშვილოსნოს ანთება" და „ნელსკი" სავსებით დაეთანხმა ამ „დიაგნოზს". მიუხედავად ამისა, ექიმებმა ვერ გაბედეს ამ ცრუ-ექიმის გამოაშკარავება, ვინაიდან მას დამხმარეები ჰყავდა კიევის ჯანმრთელობის განყოფილებაში. მხოლოდ წრეულს აეხადა ფარდა „ნელსკის" საგმირო საქმეებს.

გამოძიების დროს შემაძრწუნებელი ფაქტები გამოირკვა: ზოგიერთი ოპერაციები „ნელსკიმ" არაადამიანურის სიმკაცრით ჩაატარა. ასე, მაგალითად, ჩერნობილის საავადმყოფოში იწვა ერთი სოფლელი ფეხმძიმე ქალი. „ნელსკიმ" აბორტის გაკეთების დროს ნაყოფს თავი წასჭრა. მეორე სოფლელ ქალს მან ძუძუ მოსჭრა, ვითომდა იმიტომ, რომ მას სარკომა ჰქონდა.

„ექიმ ნელსკის" მიუსაჯეს 6 წლის ციხე. პასუხისგებაშია აგრეთვე მიცემული კიევის ჯანმრთელობის განყოფილების ზოგიერთი მუშაკები, რომლებმაც თავიანთი დაუდევრობით და უყურადღებობით საშუალება მისცეს ცრუ-ექიმს 8 წლის განმავლობაში დაუსჯელად განეგრძო თავისი „მოღვაწეობა".

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 14 ნოემბერი

დღეს, დილით, თბილისის რადიო - ცენტრი გადასცემს „მუშათა შუადღეს" — ახალი ამბები და კონცერტი.

საღამოს 5 საათიდან გადაცემული იქნება: პიონერისა და მოსწავლის საათი, რუსულ ენაზე; რადიო - გაზეთი, ქართულ ენაზე; სოფლის საათი — აღმოსავლური მუსიკის კონცერტი; ინფორმაციისა და ცნობების გადაცემა; დროს შემოწმება და 15 ნოემბრის რადიო - პროგრამის გადაცემა; გაზეთი „კრასნი ვოინი" რადიოთი, რუსულ ენაზე; კონცერტი, სრულიად საკავშირო რადიო - ქსელით — „საქართველოში მოსახლე ეროვნებათა მუსიკალური შემოქმედება", ქართულ მხატვრული მუსიკა; უკანასკნელი ამბები.

შრომის ბირჟაში

დღეს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

რკინისგზელთა სექციიდან: ვლადიმერ ცერცვაძე, ალექსანდრე დერიუგინი, გიორგი სადალაშვილი, ვლადიმერ დემეტრაშვილი, ალექსანდრე მგელაძე, ივანე ბექაური, პავლე ბონდარენკო, ჩიტო ქვრივიშვილი, გიორგი უსანეთაშვილი, ალექსანდრე ჭუმბურიძე. ალექსანდრე კუპრიაშვილი; იოსებ გეჯაძე.

კვალიფიციურ მუშათა სექციიდან: გრიგოლ სტეფანოვი, აქსენტი გოგავა, ანდრია არუთინოვი, გიორგი ბანდალოვი, სიმონ თუშიშვილი, ექვთიმე ლეშკაშელი, ვალარშაკ რუსიანცი, გალაქტიონ ჩაჩანიძე, სარქის ისრაელიანცი; ოქროპირ კობერიძე ალექსანდრე კოდენკო, ხაჩატურ აივაზიანცი, ლევონ სიმონიანცი, იოსებ აკოფოვი, მიხეილ თვაური, კირილე კილაძე, დარია ნეუდაჩინა, იოსებ ჩერქეზიშვილი, ბესარიონ მაისურაძე, ალექსანდრე ტყეშელაშვილი; მელიტონ ხომასურიძე, ვართანუშ გრიგორიანცი, ანა მელაშვილი, ალექსანდრე არხანგელოვი, ანა ტიმოფეევა;

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: ვარლამ ყაციტაშე, რევაზ ავაზაშვილი, ილია გუბელაძე, ოლიმპიადა სტრონსკაია, ვარვარა ხარიტონოვა, ირინა ნეგრებეცკი, დავით პანტურია, ელიშ ტუმაევ, სერგო ალპეევი, ნინა აკობჯანიანი, ალექსანდრე რომანოვი, სედრაკ კოჩაროვი, დავით ჯიბლაძე, ანა კიკოიანი, მარდონ ბაგასოვი, პეტრე საზონოვი, სოფიო ნიკოგოსოვა, ელისაბედ ფომინა, ივანე კუზნეცოვი, დიმიტრი ჭუმბურიძე, აბელ ჩიტაშვილი, მარგალიტა ზარგაროვა, კონსტანტინე იმნაძე;

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

ფსიქიატრიულ საავადმყოფოთა სამედიცინო პერსონალის მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივნისის 21 დადგენილებას „ფსიქიატრიულ საავადმყოფოთა სამედიცინო პერსონალის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ" (კან. კრ. 1929 წ. № 14, მუხ. 151) დაემატოს 1^1 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„1^1. ფსიქიატრიულ დაწესებულებათა იმ სამედიცინო პერსონალისათვის, რომელიც მუშაობას ეწევა სულით - ავადმყოფთა მკურნალობისა, მოვლისა და, საერთოდ, მათი უშუალო მომსახურეობის დარგში (ექიმები, ფერშლები და ფერშალი - ქალები, სამედიცინო ძმები და დები, მზე-დები, სანიტარები, მომვლელი - ქალები, პალატების დამლაგებელი ქალები და კაცები, დამბანი - ქალები და კაცები და სხვ.) დაწესდეს სამუშაო ხელფასის სამი პერიოდული მომატება ძირითადი განაკვეთის 20 პროც. რაოდენობით ყოველი სამი წლის განუწყვეტელი სამსახურისათვის აღნიშნულ თანამდებობებზე.

იმ პირს, რომელსაც 1929 წ. ოქტომბრის 1-სათვის სამ წელზე მეტი ექნება ნამსახურევი 1^1 მუხლში აღნიშნულ რომელსამე თანამდებობაზე, პირველი მომატება დაენიშნოს 1929 წ. ოქტომბრის 1-დან, ხოლო იმას, ვისაც ამ ვადისათვის არ ექნება აღნიშნული სამი წლის სტაჟი ან და ვინც თანამდებობას დაიჭერს ამ ვადის შემდეგ, სტაჟი პირველ მომატების უფლების მოსაპოებლად გამოიანგარიშოს იმ უახლოეს ოქტომბრის 1-დან, რომელიც თანამდებობაზე დანიშვნის დროს მოსდევს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოვ. აღმ.
გ. ყურულაშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
პ. მეგრელიშვილი.

1929 წ. ოქტომბრის 11.
თბილისი—სასახლე.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ხუსეინ ბაჟელიძეს

კითხვა:

ვარ 65 წლის აჭარელი გლეხი. 35 წელიწადია ორივე თვალით ბრმა ვარ და ვითვლები მეჩონგურეთ. მყავს სარჩენი ცოლი, სამი მცირე წლოვანი ბავშვი და 80 წლის დედა. არავითარი ქონება არ გამაჩნია. ვღებულობდი აჭ. სოც. უზრუნველყ. განყოფილებიდან პენსიას 7 მ. 50 კაპ., ახლა ეს პენსია მომიხსნეს. გეკითხებით, რამდენად კანონიერია ეს და ვის უნდა მივმართო?

პასუხი:

თუ თქვენი მატერიალური მდგომარეობა არ შეცვლილა; შეგიძლიათ ხელახლა სთხოვოთ სოც. უზრუნველ. განყ. [illegible] პენსია. საჩივარი უნდა შეიტანოთ [illegible] კომისართა საბჭოში.

ჭრებალოს რაიონი, ს. ზ[illegible]

კითხვა:

ვარ შრომის უნარს მოკლებული. მყავს მოხუცი მამა და მეუღლე. მიუხედავად ამისა სამეურნეო გადასახადი შემაწერეს შეძლებულ გლეხზე მეტი. გთხოვთ გვიპასუხოთ, რამდენად კანონიერია ეს, ან ვის და სად მივმართო?

პასუხი:

საჩივარი უნდა შეიტანოთ თემაღმასკომში საშემოსავლო ფურცლის მიღების დღიდან—ერთი თვის ვადაში.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ ხუთშაბათს, ა. წ. 14 ნოემბერს, ნაშუადღევის სრულ სამ საათზე გაიმართება თათბირი სოფლის თეატრის საკითხზე. სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება: ბუხნიკაშვილი, ჩანტლაძე (პოლიტგანი), პოპოვა (ხელოვნების მთავ. სამმ.), კოლმეურნეობათა ცენტრის წარმომადგენელი, სოფლის კავშირის წარმომადგენელი, დიასამიძე (განათლ. მუშაკთა კავშირი), ცხოვრებაშვილი (მიწა-ტყის მუშაკთა კავშირი) და სახალხო მამულების ტრესტის წარმომადგენელი.

—:—

ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტთან არსებულ დაწინაურებულთა კურსებზე მეცადინეობა დაიწყება 18 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე. კურსებზე მივლინებული ყველა ამხანაგები ვალდებული არიან გამოცხადდნენ სარეგისტრაციოდ და ანკეტების შესავსებად არა უგვიანეს 16 ნოემბრისა. კურსების კანცელარია ღიაა ყოველ დღე, საღამოს 6-დან 8 საათამდე. ცნობების მიღება შეიძლება ტელეფონით 15—21.

—:—

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის სააღრიცხვო სექტორი სთხოვს ამხ. ივანე ვლადიმერის ძე შნეიდერს და ივანე სპირიდონის ძე გოდერძიანს შემოიარონ ცენტრალურ კომიტეტში ამხ. ჩარკვიანთან (ოთახი № 22).

—:—

14 ნოემბერს, დღის 12 საათზე, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში, ამხ. ბედიას კაბინეტში (ოთახი 21) შესდგება თათბირი კომკავშირის კულტკომისიების მოწყობისა და მათი სოფლად გაგზავნის საკითხზე.

სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება: ჩხარტიშვილი (პოლიტგანის მთავარსამმართველო), სოსიანი (პოლიტგანი), არუთინოვი (საქ. პროფსაბჭო), გვარამია (სოფლის კავშირი), ქუთათელაძე (ცეკავშირი), ბუჯიაშვილი (კომკავშირის კომიტეტის მდივანი), ნებაყოფლობითი საზოგადოებების წარმომადგენლები.

16 ნოემბერს, დილის 10 საათზე, საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში გაიმართება თათბირი. საჭიროა შემდეგი ამხანაგების დასწრება: ვართანიანი (ცენტ. კომიტეტი), ბელოზეროვი (ცენტ. კომიტეტი), [illegible] (საქართველოს ცაკი), ასლიბეკოვი (საქ. ცაკი), ლინეცკი (სახ. პოლიტ. სამმართველო), მარკმანი (საქ. პროფსაბჭო), მახარაძე [illegible] (განათლების სახ. კომისარიატის ეროვნულ უმცირესობათა საბჭო), ზეინალ-ზადე (განათლების სახ. კომისარიატი), ამატუნი (განათლების სახ. კომისარიატი), ბენიაშვილი (სოფლის კავშირი), კაპრიზოვი (თბილისის საოლქო კომიტეტი), ისააკოვი (თბილისის განათ. განყოფილება), ნარიმანოვი (თბილ. განათ. განყ.), ხეჩუმოვი (პროფკავშირთა საბჭო), [illegible]

—:—

დღეს ხუთშაბათს (14 ნოემბერს) 11 საათზე ცეკას აგიტპროპბეჭდვითი განყოფილებაში შესდგება რედაქტორების თათბირი, რომელსაც დაუგვიანებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხ. კიკნაძე („კომუნისტი"), პ. საყვარელიძე („ახ. სოფელი"), სიხარულიძე („მუშა"), გრიგორიანი („რაბ. პრავ."), მახარაძე („ახ. კომუნისტი"), ვართანიანი („პროლეტარი"), რასულ-ზადე („ენი კენდი"), [illegible] („წითელი არმიელი"), ვ. სიხარულიძე („მუშ. ხმა") და ხომერიკი („ჩვენი კოოპერაცია").

—:—

სამკურნალო ფაკულტეტის კომუჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს, 14 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე უნივერსიტეტის ქიმიურ აუდიტორიაში შესდგება კომპარტიის წევრების და კომკავშირის წევრების გაერთიანებული კრება, კრებას უნდა დაესწრონ ოდონტოლოგიური კურსების მსმენელები—კომპარტიის და კომკავშირის წევრები.

—:—

სახ. უნივერსიტეტის პარტ. ბიუროკოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, 14 ნოემბერს, სრულ დღის 12 საათზე მოწვეულია ბიუროკოლექტივის სხდომა. წევრების დასწრება აუცილებელია.

ხუთშაბათს, 14 ნოემბერს, დღის 4 საათზე შესდგება ს. ს. პ. ი. ა. ლ. კ. ქ. ბიუროკოლექტივის სხდომა. დასწრება ახლად არჩეული უჯრედის მდივნებისათვის სავალდებულოა.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება

დამსახურებული პროფესორის

ალექსანდრე ცაგარელის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 საათზე. რესპუბლიკის მთ. საავადმყოფოს პროზექტურაში.
6045

გაუბედურებული დედა კატო, დეიდები: მინადორა მგალობლიშვილისა და ეკატერინე ბერიძისა ქმარშვილებით, ბიცოლა ლოლა მგელაძისა შვილებით იუწყებიან, რომ შაბათს, 16 ნოემბერს, 3 საათზე, ს. აკეთში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

დაუვიწყარ

ვალიკო დათუნაიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავათ.
4192

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი

ხუთშაბათი, 14 ნოემბერს მე-7 აბონ. 1-ლი წარმოდგ. **ევგენი ონეგინი** პირველი შემადგენლობა

პარასკევი, 15 ნოემბერს მე-10 აბონ. 1-ლი წარმოდგ. პრემიერა **გედების ტბა**

12 ნოემბრისათვის აღებული ბილეთები გამოდგება 15 ნოემბერისათვის

ა ნ ო ნ ს ი: 17 ნოემბერს აბონემენტის ციკლში აბონემენტის გარეშე არ შედის

მ. პ. მაქსაკოვას მონაწილეობით **სამსონ და დალილა**

ყველა საბონემენტო წარმოდგენებზე ბილეთების ნაწილი დატოვებულია თეატრის სალაროში საერთო წესით გასასყიდად. მთლიანად ფასგადახდილ ტალონებით ბილეთები გაიცემა თეატრის სალაროში რიგს გარეშე დღის 2 საათამდე.

აპოლო / ხოლეი / მინიონი
პრემიერა
ცოცხალი ლეში
ლ. ტოლსტოის დრამის მიხედვით
რეჟისორი ოცეპი
მთ. როლებში: პუდოვკინი, მარია იაკობინი, ნატა ვაჩნაძე.
სეანსების დასაწყ. I—5 ს. 50 წ., II—7 ს. 20 წ., III—9 ს., IV—10 ს. 40 წ.

პალასი — ოსი ოსვალდი კომედიაში **ეს ჩემი საქმროა**

არფასტო — საზღ.-გარეთ. ნაწარმ. **შავი ციკლონი**

დარბაზი — **ზეროს ვაჟი** ვილიამსის გასტროლები

მ ა ლ ე—მკვდარი მარყუჟში 0—7

კვირას, ნოემბრის 17-ს, დილის 9 საათზე
(ყოფ. ზუბალოვის სახელობის) სახალხო სახლში
(ქორესის ქ.) დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა

ინვალიდთა კოოპერატიული არტელის

„გლარჯა"-ს

წევრთა წლიური საერთო კრება

დღის წესრიგი:

1) გამგეობის საანგარიშო მოხსენება
2) ბალანსი და მისი ანალიზი
3) ურთიერთ დამხმარე სალაროს მუშაობა საოპერაციო წლის განმავლობაში
4) რევკომისიის მოხსენება
5) მოგება-ზარალის განაწილების პროექტის განხილვა და დამტკიცება
6) მომავალ წლის სამუშაო გეგმის და ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება
7) არჩევნები გამგეობის და რევკომისიის
8) სრულიად საქართველოს ინვალიდთა არტელების ყრილობის დელეგატების არჩევნები
9) მიმდინარე საკითხები

არტელის წევრების დასწრება სავალდებულოა.

გამგეობა.

მათემატიკოს მასწავლებელი ივ. მაჩაიძე
ამზადებს გერმანულში, რუსულსა და მათემატიკაში
(არითმეტ., ალგებ., გეომეტ., ტრიგონ., სიმწიფ. მოწმ. უმაღლ. სასწავ მე-9 და მე-10 ჯგუფ. შესასვლელად და ყველა საგნებში 7-წლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ. (ინდუსტ. ქიმ. და ფარმაც.), ვასწორებ სუსტსა და ჩამორჩენილ მოწაფეებს. შესავალი პლეხანოვის პრ. № 25 და ჩერნიშევის ქუჩის კუთხიდან № 5.
9—12 საათ. 4—6 საათ.
8—1 4213

ა. წ. 6 ნოემბერს ს.მ.უ.ს. თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. **ივანე პევცოვის კაბინეტიდან** სხვა ნივთებთან ერთად **მოიპარეს** საქ. ცაკის წევრობის მოწმობა № 62 და რკინისგზით უფასოთ მიმოსვლის ბარათი, ჩ. გ.

— მიხა ცხაკაიას სახელობის —

ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახელმწიფო ინსტიტუტი
(ლენინის ქ. № 49)

მკურნალობის ყოველგვარი ფიზიკური მეთოდები: ელექტრონი, ტალახით, წყლით, სინათლით მკურნალობა, მექანოთერაპია, რენტგენო-რადიოთერაპია, ინგალიაცია, რენტგენოდიაგნოსტიკა.

მკურნალობა ამბულატორული და სტაციონარული.

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე კვირა-უქმე დღეების გარდა დილის 10 საათიდან 1 საათამდე.

შ ი ნ ა გ ა ნ ი (სპეციალურად გულის, ნივთიერებათა ცვლის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების ავადმყოფობანი, რევმატიული დაავადებანი და სხვ.), ნ ე რ ვ ი უ ლ ი და ქ ა ლ თ ა ავადმყოფობანი.

ავადმყოფების ჩაწერა დილის 9-დან 11 საათამდე.

ფასიან ავადმყოფების მიღება. მკურნალობის პირობების შესახებ ცნობების გაცემა ინსტიტუტის კანცელარიაში, აგრეთვე წერილობით და ტელეფონით 15—87. ნ. 3303.

თბილისის ცირკი
სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატთან არსებული სრ. საქ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტ. ტელეფონი 8—64.

დღეს, ხუთშაბათს, 14 ნოემბერს
საგასტროლო წარმოდგენები
სამ დიდ განყოფილებად
1-ლი გასტროლი ა. ხეიფეცისა, რომელიც პ-რველად ჩამოვიდა თბილისში
ცოცხალი საანგარიშო მანქანა. ფენომენალური მეხსიერება. გარდა ამისა,
12 შერჩეული ნომერი. წაიკითხეთ აფიშები!
ნ. 3325 წარმოდგენის დასაწყისი საღამოს სრულ 9 საათზე. დირექცია.

კინო-მინიონი
მალე
საუკეთესო ამერიკული ფილმი
სიცოცხლის ფასად
(ინჟენერ სტრონგის პროექტი)

კინო-პალასი
დღეს
ხუთშაბათიდან 14 ნოემბრიდან
ოსი ოსვალდი
კომედიაში
ეს ჩემი საქმროა

აჭარისტანის ვაჭრობა-მრეწველობის სამმართველო

„აჭარმრეწველობა"

ბათომი, კამოს ქუჩა, № 5, ტელ. №№ 177--98.

აჭარისტანის მრეწველობის სამართველო აერთიანებს შემდეგ საწარმოებს:

1. „ა ჭ ა რ ტ ყ ე"—ქარხნები: ხის დამმუშავებელი, ხე-ტყის სახერხი ნანუზ-ოღლუში. ფიჭვი, სოჭი, ნაძვი, თეთრი ხე, წიფელა, კაკალი, ჭადარი, ბზა; ხის ნაწარმი საშენებელი მასალა, ფანერა ერთშრეიანი, დაწებებული (დიქტი, ტყეჩი წიფლის საექსპორტო, სადურგლო-საჯეჯო ნაწარმი.
2. „აჭართამბაქო"—თამბაქოს ნაწარმოები სოხუმის რჩეულ თამბაქოდან პაპიროსები: „ანტიკ", „აჭარპრომ", „ბათრაბკოოპ", „პრიატნიე" და სხვ.
3. ტყავეულობის ქარხანა—ნახევრად მოქნილი ტყავი, ჩასაფენი ტყავი, იუფტი, ხრომი.
4. თუთიას ქარხანა—სახურავი რკინა თუთიით დაფარული (პატენტი), ჭურჭელი თუთიით დაფარული, სხვადასხვა ნაწარმის თუთიით დაფარვა.
5. მექანიური და ჩამომსხმელი ქარხნები—ავტომანქანების შეკეთება, თუჯის და ფერადი ლითონის ჩამოსხმა. ჩამონასხამის დამუშავება.
6. სარექტიფიკაციო, არყის და მინერალური წყლების ქარხნები—სპირტი, არაყი, კონიაკი, ლიქრები. „სავალ"-ის სისტემის რექტიფიკატიოორი ქობულეთში და ხელოვნური მინერალური წყლები.
7. ქიმიური ქარხანა—საღებავები მინერალური და სინთეტიური, მშრალი და გახეხილი: სურიკი, ოხრა, ბარიტი, მუმია, მწვანე და სხვ.
8. პოლიგრაფგანყოფილება—სტამბა ლიტოგრაფია, სამკინძავო და სახაზავი სახელოსნოები.
9. დელფინის ქარხანა—დელფინის სტანდარტული ცხიმის დამზადება.
10. ტეხნიკური საწყობი—მანქანები ორთქლის, შინაგანი წვის ძრავები, ქვაბები, ტუმბოები, ელექტროძრავები, გენერატორები, ლითონისა და ხის დაზგები, არმატურა და სხვ. გაყიდვა დაწესებულ ფასებში.
11. სათბობი მასალების განყ-ბა—ნავთის პროდუქტების გაწმენდა და თხევადი და ხის სათბობის და საცხები ზეთების რეალიზაცია.
12. კერამიკიული სახელოსნო—ჭურჭელი თიხის, მოჭიქული, საყვავილე ქოთნები და ტეხნიკური კერამიკა.

„აჭარმრეწველობა".

კურსები
ა. წ. 20 ნოემბრიდან საზოგადოება „წერა-კითხვა" ხსნის 8 თვიან
ჭრა-კერვის კურსებს
კურსებზე მიიღებიან პროფკავშირის წევრები და მათი ოჯახის წევრნი. უცოდინარნი შეისწავლიან, როგორც ხელობას, ისე წერა-კითხვას
უ ფ ა ს ო დ
სწავლება ქართულ და რუსულ ენებზე
პირობების გაგება საღამოს 5—7 საათამდე ჭავჭავაძის ქ. № 10, კურსების გამგესთან. ნ. 3337 2—1

ონის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
კ. გამყრელიძე
აცხადებს, რომ ის 1929 წ. 23 ნოემბერს, დღის 12 საათზე, ქ. ონში პირველი **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოვალე სიმონ ოქრუას-ძე ტყეშელაშვილის ერთ ორსართულიან საცხოვრებელ სახლს, რომლის ქვედა სართული ქვისაა, ორი ოთახისაგან შემდგარი და ზედა სართული ხის ხუთი ოთახისაგან და ორი საკუჭნაოსაგან შემდგარი, ორი აივნით და ორი კიბით, ერთ თხმელის ქოხ-ბოსელს, ნაძვის სამზარეულოს შიგ ფურნით და ერთ წიფლის ბეღელს; ყველა ეს შენობები დახურულია ყავრით, გასასყიდათ შეფასებულია 3500 მან. გარდაცვალებულ გრამიტონ ბაქრაძის ობლების ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ამბროლაურის უბნის სახალხო სასამართლოსაგან 27 სექტემბერს 1929 წ. № 2917—აღმასრულებელ ფურცლისა. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 311—312 მუხ. და ცვით.
4209

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

პ. ს. ფონ-ირტელი პლეხანოვის პროსპ. № 10 – სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, კანის და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი). ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფი მამაკაცების და ქალების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და საღამოს 4-დან 8 საათამდე. 13—3

ი. პ. მჭედლიშვილი შინაგანი სნეულებანი. სპეციალ. კუჭის და ნაწლავების დაავადებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ავადმყოფ. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქ. (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ელსმენი № 15—02. 25—13

გ. ო. ზანდუკელი შინაგან და ნერვიულ სნეულებათა ელექტროსინათ. სამკურნალო კაბინეტი. იღებს საღამოს 7—8 საათ. ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11. ტელ. 4—82. 25—15

ზესტაფონი **პ. ს. ანანოვი** სიფილისი (შეშხაპუნება 914) ვენერიული (სუსუნატი და მისი შედეგები) და კანის სნეულებ. მიღება: 1—2 დღით, საღამოს 6—8 ს., 25 თებერვლის ქ. 130. 25 12

დ. ს. რიჟინაშვილი კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა, პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 ს. და 5—7 საათ. საღ. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის პრ. კუთხე. ტელ. 10—14. 25—4

დ. ლ. თევზაძე ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა—ხმის და მეტყველების მოშლილობათა. აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-ტერაპიული მეთოდებით მკურნალობა. მიღება: საღამოს 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩის) სოლოლაკში. ტელ. 25—73. 25—14

ნ. კონსტოროვიჩი თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ყოფ. ფრეილიხის ქ. № 1 აღმაკომის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—12

ა. გ. სოლოღაშვილი კბილების მკურნალობა—რუსთაველის პრ. № 12. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანნები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—14

დ. ე. პაპიტაშვილი შინაგანი სნეულებანი, სპეც. კუჭ-ნაწლავების და ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის დაავ-დებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე 5—7 საათამდე. კრილოვის ქ. № 8. 25—5

გ. ნ. ონანოვი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 13—8

ი. ი. გერიშვილი ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 8—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოვ"-ს პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—8

პ. ტყეშელაშვილი სიფილ. ვენერიული და კანის სნეულებანი. ბელგიის ქ. № 1, ყოფ. მიხეილის საავადმყოფოს ახლოს, დილით 8—9, საღამოთი 6—8. 25—7

ი. გ. ხარებავა-ბაქრაძე კბილის ექიმობა, პლომბები, ყოველი ფორმის ხელოვნური კბილები. სნეულ კბილების ამოღება უმტკივნელოდ. კლარა ცეტკინის (ყ. ელისაბედის) ქუჩა, № 117. 25—7

გ. გ. შახნაზაროვი სპეციალურად სიფილისი, „914" შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალები 4—5 საათამდე. ვასილის ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩის კუთხე). 25—1

ლოგოპედი **ა. ა. კაიშაური** ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა. ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაბლუნგებს, აფაზიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს. იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01. 25—12

ტერ-ოვაკიმოვი სპეციალურად ექიმობს სქესობრივ ფუნქციონალურ მოშლილობას, სქესობრივი ნევრასთენია), ფსიქოტერაპია. მიღება დილის 9 ნახ. 11 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე. ა.-კ. ფედერაციის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 22. 25—2

ი. გაჩეჩაძე ავადმყოფების მიღება სიფილისი, ვენერიული, კანის და საშარდე-სასქესო ორგანოების სნეულებათა. ქალის გონორეა. მიღება 8 საათიდან 10-მდე და საღ. 6-დან 8 საათამდე. პლეხანოვის პრ. 65. 25—4

ს. ანდრეევა შინაგან ავადმყ. სპეც. სახსრების და ჯირკვლების დაავადება (ტუბერკულიოზი), საღ. 6—7 ს. ელბაქიძის დაღმართი 29, (ცირკის პირდაპირ) ტელ. 11—78.

მ. ორლოვსკაია თვალის ოპერაციები და სათვალეების შერჩევა. ღებულობს დილის 9-დან 12 საათამდე და საღამოს 5-დან 7 საათამდე. ამოს (ყოფ. ქსენიას) ქუჩა, № 9. 25—5

ი. ი. ჭეიშვილი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. იღებს: დილ. 8—9 საათ., საღ. 6—8 საათ., ნაშუად. 4—5 ს. მხოლოდ ქალებს. მისამართი: კამოს ქ. № 72 (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩა. ქალაქის მეორე საავადმყოფოს პირდაპირ. 25—4

გ. ე. ფხალაძე სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება დილით: 7—8 საათ. საღ. 6—8, 5—6 ქალების. მარტის ქ. № 6 (ყ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოქროს ქუჩიდან აფთიაქთან. 25—4

პ. ი. ჯალალოვი ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ. კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—8

ქუთაისი **ო. ვ. აკოფაშვილი** შინაგანი სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ., № 7 (მე-3 საბჭოთა აფთიაქის გვერდზე).

ალ. მაღალაშვილი საღამოს 5—7 საათამდის, ყორღანოვის ქუჩა № 12. 25—1

ა. დ. კეკელია სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება. პლეხანოვის პროსპ. № 116. სასტუმრო „ოდ"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ. —12—67.

ა. ვადაჭკორია ქალთა ავადმყოფობანი დილის 8 ს.—12 საათამდე, საღამოს 4 ს.—7 საათამდე. ლენინის ქუჩა № 35 (ყოფილი ოლღას). 3219 25—1

მალაევი თვალის ექიმი ღებულობს ავადმყოფებს საღ. 6—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) 47. ტელ. 5—90.

ი. ვ. ხანდამოვი სპეციალურად მკურნალობს სიფილისს, კანის და ვენერიულ ავადმყოფობას. მიღება დილის 2 საათიდან 4 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე. ძნელაძის (ყოფ. მესანგრეთა) ქუჩა, № 35, (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან). 25—1

ი. დ. თოფურიძე იღებს ავადმყოფებს კალინინის ქუჩა (ყოფ. ნიკოლოზის) № 33. სიფილისი, კანის და ვენერიული (სუსუნატით გამოწვეული გართულებები). დილის 7 საათიდან 8 საათამდე. დღით ქალები და ბავშვები 3—5 საათამდის, მამაკაცები 5—8 საათამდის. 25—1

ნ. გ. გეგეჭკორი შინაგანი სნეულებანი; სპეციალ. ფილტვების დაავადებანი. ავადმყოფების მიღება 6—7 საათამდე. პეროვსკის ქუჩა (ყოფ. ანასტასიევის) 7. ტელეფონი 20—33.

თოდაძე სპეციალ. ქირურგია და უროლოგია თირკმელების, შარდის და სასქესო ორგანოების დაავადებანი. ბელგიის ქ. № 1. 4—5 საათამდე. 25—20

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად.

- პირადობის მოწმობა კონსტანტინე სოლომონის-ძე ჯიქურაშვილის სახელზე. 4206
- ფოთის ჰუმანიტარულ ტეხნიკუმის დამთავრების მოწმობა 1924 წ. ნინო ზოსიმეს ასული კვაჩაკიძის სახელზე. 4207
- პირადობის მოწმობა და აღრიცხვის ბარათი ტრიფონ ილარიონის-ძე გიორგობიანის სახელზე. 4208
- პირადობის მოწმობა სონია ივანეს ასული სამხარაძეს სახელზე. 4210
- პროფკავშირის წიგნაკი № 13781 ანა მიხეილის ასული ბიჯიაშვილის სახელზე. 4211
- პურის წიგნაკი (6 სულის) მიხეილ გიორგის-ძე ალიხანოვის სახ. 4212
- საკანდიდატო ბილეთი № 19758 იოვე კერესელიძეს სახელზე. 4215
- ლომბარდის ქვითარი № 114472. 4217
- მეტრიკული ამონაწერი და 7 წლედის მოწმობა, გაცემული მე-2 შრომის სკოლის მიერ, ვახტანგ მუხაძეს სახელზე. 4216
- კავშირის წიგნაკი, გაცემული ქუთაისის „ზაკტპს" მიერ № 14879 ნინა კვირიკაძეს სახელზე. 4218
- მუშკოოპის წიგნაკი № 21096, დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 64 და პირადობის მოწმობა № 64 ლიუდმილა გოგიტიძეს სახელზე. 4219
- პურის წიგნაკი № 2953 ბ. (2 სულის) ევა ჩხაიძეს სახელზე. 4244
- მუშკოოპის წიგნაკი № 38125 გიორგი ხუროძეს სახელზე. 4246
- განათლების კავშირის წიგნაკი № 34603 და იარაღის ნებართვა გიორგი არჩილის-ძე აბაშიძეს სახელზე.
- საბინაო წიგნაკი სახლის მდებარე ვარდისუბნის ქუჩა № 23 [illegible] დიშვილის სახელზე.

ტირაჟი—43.200
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904